

ლუარა სორდის

სიტყვით ნათლისმცემელი
გოდერძი ჩოხელის “მგელი”
(პრობლემატიკა და სახეები)

თბილისი

2009

ნაშრომში ნაჩვენებია ჯერ კიდევ ათეისტური საბჭოთა იმპერიის ტირანულ ეპოქაში როგორ გაექცა გოდერძი ჩოხელი ცალთვალა მატერიალიზმის დოგმებს, მწერლის თავისუფლების შემბოჭველი სოციალისტური რეალიზმის არტახებს და ბიბლიურ წინასწარმეტყველთა, ქართველი და მსოფლიო კლასიკოსთა ნააზრევით გაბრძნობილმა როგორ იდგაწა პიროვნების, ეროვნული ტრიადის – ენა, მამული, სარწმუნოება – გადარჩენისათვის.

ურწმუნო ადამიანის სულში ნადირის, ურჩხულის ჩასახლება გარდაუვალია, თუ ამას სახელმწიფოებრივმა იდეოლოგიამაც შეუწყო ხელი. დაწყებული ბიბლიიდან, მითოლოგიიდან ყველა ქვეყნისა და დროის ისტორია და მწერლობა კაცისა და მხეცის გაუთავებელი ჭიდილის მაცნეა. შებრძოლება თუ შერიგება, გათქვეფა თუ მსხვერპლშეწირვა? გოდერძი ჩოხელის წინაშე ალტერნატივა არ მდგარა: სულიწმინდის მადლით ცხებულმა მწერალმა უცდომლად გაარჩია წარმავალი და მარადიული, ეშმაკეული, ხორციელი სიბრძნე (ბარუქი, 3.25) და ზეციური, ღვთიური სიბრძნე (პავლე მოციქული, კოლასელთა 2,18,1,9)

სულიერი გონებით, სულიერი თვალით მომადლებული, სიტყვით ნათლისმცემელი მწერალი აღიჭურვა რწმენის ფარით, სულის მახვილით და გაბედულად შეერკინა აპოკალიფსურ მხეცთა ნაშიერებს იმ მარადიული, დაუმარცხებელი ნათლის სახელით, არსთაგანმრიგე რომ უბოძებს ხოლმე თავის რჩეულო.

წიგნით “მგელი” გოდერძი ჩოხელი გაეპაექრა ქრისტიანული რწმენის ქართველ და უცხოელ ადეპტებს და მოგვევლინა, როგორც მარადიულ წყაროს დაწაფებული “ქრისტეს მებაღე, ქვეყნად მოსული უფლის ბაღის მოსაშენებლად”, დან ტეს რომ დავესესხოთ.

ნაშრომი განკუთვნილია ფილოლოგიის ფაკულტეტის ბაკალავრებისა მაგისტრანტების, ასევე, გოდერძი ჩოხელის შემოქმედებით დაინტერესებული მკითხველებისთვის

რედაქტორი პროფესორი მარინე ბოკუჩავა

რეცენზენტები: ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი მარინე ტურავა

ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი მადლენა ოჩიგავა

შესაგალი

“მებადეა იგი ქრისტესი,
ქვეყნად მოსული უფლის ბადის მოსაშენებლად”
(დანტე, “ლვთაებრივი კომედია”)

გოდერძი ჩოხელი თანამედროვე ქართული პროზის რჩეულთა რჩეულია, ჩვენი ეროვნულობის, რწმენის, სულიერების, სიკეთის ფარად მოვლენილი არსთაგანმრიგის მიერ. იგი ქართული მრავალსაუკუნოვანი ფასეულობების განმტკიცება-მსახურებას ისახავს მიზნად თავისი მადლიანი მხატვრული სიტყვით. ასახავს რა სულისა და ხორცის, სიკეთებოროტების, დემონ-ანგელოზების დაპირისპირებას, ადამიანის სულის გაუხეშებას გვიჩვენებს ეპოქისეული, ათეისტური კატაკლიზმებით, ამავე დროს, ზნეობრივი კათარსისის პრობლემას, თავისი თანამემამულეების მოქცევის პროცესს უდრმავდება.

ჭასავით ღრმა და მზერაჩაუწვდენელია გოდერძი ჩოხელის პერსონაჟების სული, მათში მგლური ინსტინქტები თვლემს, მხეცური კომპლექსები იფერჩქნება, მაგრამ, ამავე დროს, “ნაწილიანთა” სულის ყვავილის სურნელიც გვაბრუებს. ამ სამყაროში გულქვაობის ყინულით გათოშილი სულს მარადიულ ცეცხლზე ითბობენ, არსობის წყალსა და პურს გულით ადღეგრძელებენ და გონიერ, სულიერ ცას გაჰყურებენ. აქ სასწაულების სჯერათ და ტოტალური ცოფის მკურნავ წამალს ეძებენ, საბედისწერო შავისა და წითელი ფერის მოძალებას უთეორესისა და უწმინდესის მოვლინება ენაცვლება, გამოცხადების მადლი კი, ნათლის შემოქმედის წყალობით, საწარმართო გზაზე აყენებს იჭვნეულთ.

გოდერძი ჩოხელის შემოქმედებას დიდი ვაჟა ფშაველას აჩრდილი დასცემის. არამარტო ფშაველი გენიოსის, მისი სულიწმინდის მადლით მოსილ სიტყვას კაცობრიბის გულისა და გონის უმაღლესი საფეხურების ნათელიც შეუკრებია. მწერლის სულში მდერის სიტყვა ქართული, წმინდა გენი, ნაზიარები კოსმიურ მუსიკას.

სადგომი მადლით განგრძობილი, მთის წმინდა წყლის ბროლს შემოგვაშხეფებს, მისი სიტყვის ტაძართან მიახლოებით იწმინდება, იკურნება, იზრდება, მარადიული ჭეშარიტებებით ნათდება სული.

ზეციურ სამყაროსთან წილნაყარი ნათელმოსილი პროზაიკოსი ყველაზე დიდი მწერლის – უზენაესის მანუსკრიპტს კითხულობდეს თითქოს, ზეციდან ნაკარნახევი გადაჰქონდეს ქაღალდზე.

გოდერძი ჩოხელის მშობლიური გუდამაყრის ხეობიდან ამოსული ნათელი საერთოა, სამთელქვეყნო, მარადიული ამოსავალი ლოკალურია, სვლა კი უდიდესისკენ ხდება, როგორც დიდი გალაკტიონი იტყოდა: “უდიდესისკენ მიჰყავდა სული მცირედისაგან ასე წასული” (1.51)

ისევ გალაკტიონს რომ დავესესხოთ, გოდერძი ჩოხელის მიერ სიტყვასთან ჭიდილში გადახდილი ომები “საერთო და სათვისტომოა”, მას თავისუფლად შეეძლო გაემეორებინა პოეტების მეფის ფრაზა: “არცერთი ომი არ წაგვიგია” (2, 686).

უფლისგან ხელდასხმული გუდამაყრელი მწერლის შემოქმედების გაცნობა ეროვნული თუ უცხოური სიტყვის გოლიათების ასოციაციას იწვევს და ეს არის არა შეგირდის მიმართება აღიარებული ოსტატებისადმი, არამედ ლირსეულის გაბედული გაპაექრება ტოლებთან. ამ პარალელებზე ჩვენ გზადაგზა გვექნება საუბარი.

მწერლის წყაროების კვლევა, ჯერჯერობით, არც დაწყებულა, მაგრამ მისი პროზის უპირველესი მასაზრდოებელია წმინდა წერილის სიბრძნე, ცნობილ დვთისმეტყველთა, ფილოსოფოსთა, ხალხური შემოქმედების მოგვთა, ქართული თუ უცხოური კლასიკოსების ნააზრევი.

დიდი ინტელექტისა და წინასწარმტყველური ინტუიციის ნაყოფია ქართველი რომანისტის ის განსაკუთრებული ხიბლით გამორჩეული სიტყვა, ნებისმიერი ქვეყნისა და ერის სულის განძთსალაროს რომ სიამაყით აავსებდა.

გოდერძი ჩოხელის პროზას ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ლიტერატურის ტრადიციები, სულიერება მსჭვალავს, აწმყოს პრობლემების ძირეულწვდომის პარალელურად, მომავალში გასაღწევი გზების, ქვეყნის შუქნიშანის პოვნა იყო მისი მთავარი ორიენტირი.

ათეიზმის ბატონობის ავადსახსენებელი პერიოდის სასაკვდილო ბაცილების გამომზეურება-მოკვდინებას, ჩვენი უბედურების სათავის მიგნებას, სულიერი, პულტურული ღირებულებების გადარჩენას ემსახურებოდა იგი, როგორც რეჟისორი, როგორც მწერალი.

სატანისეულთა სასიკვდილო შხამ-გესლის ჩამოცილება-გაუგნებელყოფის წამალს ეძებდა, მიწას მიჩერებული თაობების ყურადღებას მიმართავდა უმაღლესი იდეალებისკენ, მიგვანიშნებდა, გვმოძღვრავდა, როგორ გადაგვერჩინა ცხოვრების ნათელი საზრისი.

დიქტატორული სახელმწიფოს მოდელია მის მიერ აღწერილი დორაისხევი გაუგონარი ინტრიგებით, სისხლის წყურვილით, გაცემა-დაუნდობლობით, ყოველგვარი სიკეთის გათელვით, ბოროტ ნებაზე დაფუძნებული ძალაუფლებით, მზაკვრობით რომ დაუმკვიდრებია საყოველთაო შიში. ეს ის ქვესკნელია, ის ჯოჯოხეთი, პროგრესის მსახურებს რომ ფარ-ხმალს აყრევინებდა, თავისი მომაკვდინებელი ცოფის გავრცელების არეალის გაფართოებისათვის რომ იღწვოდა დღენიადაგ.

წითელი და შავი ამ მიკროსახელმწიფოს არსის წარმომჩენი ფერებია, მოჯადოებული წრის მახასიათებელი, სადაც საბედისწერო ჭირით ნადგურდებიან ადამიანები.

ამ ჩაკეტილ სივრცეში ადამიანები მგელკაცებს ემსგავსებიან და მგლური კანონებით ცხოვრობენ, თითქოს არ ჩანს გარდვევის პერსპექტივა.

აპოკალიფსური მხეცების სათარეშოდ ქცეულა ქვეყანა.

მაგრამ ბნელეთის ამ უდაბნოში “ნაწილიანნიც” არიან, რომლებიც გრძნობენ დაფარულს, ჩხრეკენ მიზეზებს, სათუთად ინახავენ ყვავილის, ცეცხლის (საღვთო სახელებია) ხსოვნას, სადაც არა ოდენ ცოდვით დამძიმებულნი, “ტრფობის მთაზე” ამაღლებულნიც არიან, მათ კიდევ ძალუმთ წაბილწულ მიწაზე ამაღლება და ფრენა.

“ნაწილიანთ” “თმათეთრი მოხუცი” (ღმერთი) ამხნევებს, ყვავილს უტოვებს, წმინდა სულის ადამიანებს უფალი ამაღლებს.

ნუგეშმწყურვალეთ არ ტოვებს სანატრელი: ეცხადებათ ის, ვისაც მათი სული ქვეცნობიერად ეძებდა და გადარჩენაც გარანტირებულია ...

გადარჩება სული, ცეცხლშემოგზნებული დედამიწა.

გამოჩნდება უნათლესი, უწმინდესი. არ გაიწირება დავით წინასწარმეტყველის შთამომავალი ერი, “არ გახმება იესოს ფესვი”.

ამ გადარჩენისთვის მლოცველი იყო გოდერძი ჩოხელი, სიცოცხლეშივე ნათელშემოსილი, სიხარულშემოსილი, სულიწმინდის მადლით ცხებული.

“კაბალისტები ვარაუდობდნენ, რომ სულიწმინდის მიერ შთაგონებული წიგნი სრულყოფილ ტექსტს წარმოადგენს, ანუ ისეთნაერ ტექსტს, სადაც შემთხვევითობის ელემენტი ნულამდეა დაყვანილი” (3,51).

ბიბლიურ წინასწარმეტყველთდარად, გოდერძი ჩოხელიც იგავებით წერს და თვითონაც იგავია, დვთიური საიდუმლოებებით სავსე, ბიბლიური დავითივით: “იგავებით გავხსნი პირს, ავამეტყველებ გამოცანებს დასაბამისა”. (ფს.77,2) (4,604). “უურს მოგუგდებ იგავს, ქნარზე ამოგხსნი ჩემს გამოცანას” (ფს.48,5) (4,572).

გოდერძი ჩოხელს თითქოს ადგილის დედა უამბობს იგავებს, გუდამაყრის ხეობაში ეხსნება ცა და ევლინება დვთიური ხილვები.

“გაიხსნა ცა და ვიხილე დვთიური ხილვები”, გვამცნობს ბიბლიური წინასწარმეტყველი (ეზეპიელი 1,1)

“აპა, გაიხსნა ლაუვარდი ბროლის”, გვიმხელს გალაკტიონი (“ორი მრისხანე სტიქის ბრძოლა”) (2,273).

გოდერძი ჩოხელის ხილვები, გამოცხადებები დვთის რჩეულის, უზენაესისგან ინსპირირებულის ხილვებია, ისინი ქვეყნის მომავალზე მიანიშნებენ და ათეიზმის ბაცილებით მოწამლულ სულს აიაზმასავით ეპკურებიან.

ერის სულის მკურნავის საპატიო მისია ამ სიდიადით, უპრეტენზიობით, სულის სიმაღლით გამორჩელ, ვაჟას გენის მქონე გოდერძი ჩოხელს, მთის გენიოსივით ერის წყლულების მოზარეს არგუნა განგებამ.

გუდამაყრელი მოგვი თავისივე რომან “მგელის” თანდილას მიაგავს, სურნელოვანი ყვავილებით შემოსილ, სასწაულებრივ თაიგულად ქცეულს, თავისი ფერადოვანი სულის გამოსხივებით რომ გვაბრუებს, მარადაქტუალური მოწოდებით რომ შეგვძრავს: “იპოვე ყვავილი!”

მწერალი თვით არის თავისი “ნაწილიანი” პერსონაჟების არქეტიპი, მართალი, წმინდანის წინასწარმეტყველური სიტყვის მოფენის მისით მოვლენილი, კაცოა სულის გაძლიერება-განმტკიცებისათვის დამაშვრალი.

გოდერძი ჩოხელი იმ ხორციელების დამტევებელ მფრინავ ბერებს ენათესავება თავისივე შემოქმედებიდან, რომელთაც უძლევიათ “სოფლის საცდური”, უბრალო სენაკში დამკვიდრებულთ, სანთლის შუქზე უწერიათ ბნელისა და ნათლის, სიკეთისა და ბოროტების, სულისა და ხორცის ჭიდილის, ცოდვითდაცემისა და მადლის მიღების საკაცობრიო მანუსკრიპტი, რომელთაც რენტგენის სხივების გარეშე, საკუთარი ყოვლისმხილველი თვალით გადაუდიათ სულის შეუმცდარი კარდიოგრამა, მკურნალად მოვლენიან ათეოზმისაგან დასწებოვნებულ სულს და მერე თავის მარადიულ სავანეს – ცას დაბრუნებიან წმინდათა სასუფეველში.

გუდამაყრელმა გენიოსმა ინტერნაციონალიზმის, კოსმოპოლიტიზმის, ნიპილისტების მძლავრობის ეპოქაში იცხოვრა, როცა აპოკალიფსურმა ტირანებმა აიშვეს და მთელ კაცობრიობას ემუქრებიან გადაშენებით.

გოდერძი ჩოხელმა გაბედულად ამხილა სატანისტები, სიტყვით დაუნგრია მათ თავიანთი უწმინდური ბუდეები, გაიზიარა მართებული აზრი, რომ “არარელიგიური კულტურა ფსევდოკულტურაა”(ნ. ბერდიავი), რომ “უნაყოფო, კულტურის საწინააღმდეგო ნიპილისტური მორალიზმიდან პირი უნდა ვიბრუნოთ შემოქმედი, კულტურისმქმნელი რელიგიური ჰუმანიზმისკენ” (სემიონ ფრანკი, “ნიპილიზმის ესთეტიკა”) (6,66). ზენაესისგან ნუგეშმწყურვალეთ გოდერძი ჩოხელის წიგნებში იპოვეს იმედი, ბოროტის მოგერიების ძალა.

ეს არის შედეგი მარადიულის და წარმავალის გარჩევისა, მიწიერი, ეშმაკეული და ზეციური, წმინდა სიბრძნის განსხვავებისა, იმ უჭკნობი სიბრძნის გათავისებისა, ბიბლიურ წინასწარმეტყველებს რომ მიპმადლა განგებამ.

ბიბლიაში გარჩეულია ორგვარი სიბრძნე: მიწიერი, ხორციელი ცოდნა და დვთის სიბრძნე (ბარუქი, 3,23) ეშმაკეული, წუთისოფლის მაცდური სიბრძნე და “დვთის სიბრძნე, საიდუმლოებაში დაფარული” (პავლე მოციქული, I კორინთელთა, თ.2,6) (4,358).

ამასთან, პავლე მოციქული განარჩევდა მდაბალ, “ხორციელ გონებას” (კოლასელთა, 2,18) და “სულიერ გონებას” (კოლასელთა, I,9) (4,431)/

გოდერძი ჩოხელს არსთაგანმრიგემ “სულიერი გონება”, სულიერი თვალი, ზეციური სიბრძნე მიპმადლა.

მეოცე საუკუნე გამოირჩა პრაგმატისტული რაციონალიზმით, ბოლშევიკური ათეიზმით.

გრიგოლ რობაქიძე ჩიოდა : “ორი ასტროლოგიური ნიშანი მართავს აწმყოს ; მერკური და მარსი. მერკური – ევროპა-ამერიკის რაციო, მარსი კი ძალა ბოლშევიკური გაქანებისა” (“ჩაკლული სული”, 7,25).

ეზეკიელის წინასწარმეტყველებაში ნათქვამია: “განა მსურს ბოროტეულის სიკვდილი, ამბობს უფალი ღმერთი, არამედ რომ მოიქცეს თავისი გზებიდან და იცოცხლოს” (ეზეკიელი, 18,23) (5,).

სულის სიკვდილის, სულის სიბნელის წინააღმდეგ მებრძოლი მწერალია გოდერძი ჩოხელი თავისი გამორჩეული სიტყვით, მარადიული სინათლის მოვანებისათვის, სულის განწმენდა-განათებისათვის მლოცველი.

“ღვთაებრივ კომედიაში” წმინდა სული ეკითხება დანტეს: “წადილი შენი?” – “სიყვარული და სიბრძნის ნიჭი”, პასუხობს იტალიელი გენიოსი (8,336).

სიყვარული და წარუვალი სიბრძნეა გოდერძი ჩოხელის წინამდლვარი, მწერლობის ურთულეს გზაზე, “ის სიყვარული, რაც აბრუნებს მზეს და პლანეტებს” (8,320).

“ნააზრევმა ფილოსოფოსთა და ხმამან ციდან ჩვენს მიწაზე ჩამოლწეულმან, მათ ამოტვიფრეს სიყვარული იგი ჩემს გულში” – ამბობს დანტე (8,324) და გოდერძი ჩოხელსაც ცოდნის, სულიერი გონების, უცდომელი ინტუიციის პარალელურად, ცის ხმა წარმართავს თითქოს და ახილვებინებს ისეთ სასწაულებრივ სიღრმეებს, რისი ხილვაც ერთეულთა ხვედრია.

ასევე გვახსენდება დანტეს ნათქვამი დომენიკოს მისამართით: “ მებალეა იგი ქრისტესი, ქვეყნად მოსული უფლის ბალის მოსაშენებლად” (8,324).

გოდერძი ჩოხელი ქრისტეს მიწიერი ვენახის, ბალის (ქართველი ხალხის) მევენახე იყო, რომელიც სარეველებისაგან, უნაყოფო ლერწებისაგან წმენდდა უფლის ქმნილებას და მკითხველის სულს მარადიული ყვავილის სურნელით აბრუებდა.

საგულისხმოა მისი განაცხადი: “მწერალი ის არის, ვინც იცის ვისთვის, რატომ და რას წერს და რომ ამას უდმერთოდ არ აკეთებს. ვერც იზამს, ვერც გააკეთებს” (9, 24).

მწერალი “იმ მზის სხივს უნდა ჰგავდეს, გაზაფხულზე ნაადრევად მოსულ ყვავილს მოყინულ ფოთლებს რომ გაულხობს, გაყინულ ფესვებში გამლხვალ თოვლის თბილ ცრემლებს რომ ჩააწვეთებს, საიდანდაც წითელ პეპელას რომ შეისვამს და ყვავილის მხრებზე რომ დასვამს”.

“ყვავილებმა კი აუცილებლად უნდა უსმინონ მწერლებს, თორემ ამქვეყნად მწერლებზე ადრე არავინ ჭკნება, თუ მათ არ უსმენენ”.

“მეც მინდა ვიყო ისეთი მწერალი, თუნდაც ერთ ადამიანს მაინც არ დავუჭკნე საქართველოში” (9,25).

სწორედ ასეთი ყვავილივით ფაქიზი და, ამავე დროს, უზენაესივით ყოვლისშემძლე და მარადიულია გოდერძი ჩოხელის შემოქმედება, სიტყვის მარადიული ყვავილი, რომელიც არასოდეს დაჭენება და არც სურნელს დაკარგავს.

ლიტერატურა

1. გალაკტიონ ტაბიძე, “შშვიდობის წიგნი”, თხზულებანი 12 ტომად, ტ. 11, თბ. 1973.
2. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ორ წიგნად, წიგნი I, თბ. 1988.
3. ხორხე ლუის ბორხესი, “ენიგმათა სარკე”, თარგმნა თამაზ ჩხერიელმა, თბ. 1996.
4. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, თბ. 1992.
5. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ. 1990.
6. რუსი ფილოსოფოსები დემოკრატიასა და რევოლუციაზე, თბ. 1994.
7. შერისხულნი, 15 ტომად, ტ. II, თბ. 1994.
8. დანტე, “ღვთაებრივი კომედია”, თარგმანი შესავალი წერილი პ. გამსახურდიასი, თბ. 1941.
9. გოდერძი ჩოხელი, “ღმერთის შვილები”, თბ. 2002.

თავი I

გაქცევა სიცრუის სამეფოდან

გუდამაყრელი ჭაბუკის ლუკას ნიჭმა თეატრალური ინსტიტუტის მისაღებ გამოცდებზე მოაჯადოვა გამომცდელი პროფესორები. მიზანმიმართულმა მცდელობამ შედეგი გამოიღო და ლუკა სტუდენტი გახდა. ამიერიდან სამყაროში შეელაფერს საზეიმო იერი პქონდა, გამარჯვებულს მთებიც უფრო მაღალი ეჩვენებოდა.

მაგრამ მალე ფერი იცვალა ქალაქში, რომელიც, ლუკას პირველი შთაბეჭდილებით, „უჩვეულო, ამაღლებული და იდუმალი“ ჩანდა.

ლუკას ჯერ არ ეწვნია ურბანისტული გარემოს მაცდურობანი, „ჭრელი ქალაქის“ სიავე, იგი წმინდა მთის შვილი იყო.

სტუმრობის ვადა რომ გავიდა და ქალაქში დამკვიდრება სცადა, მისთვის შეელაფერი უცხო და მიუდებელი გახდა, გარიყულად გრძნობდა თავს, თითქოს ჯოჯოხეთში მოხვედრილიყო. როცა გაქცევა სცადა, „ეგონა, მთელი ჯოჯოხეთი უკან მისდევდა“ (1, 27).

სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი, საავადმყოფო, საგიუეთი, ქუჩა – შეელაფერი გაუსაძლის შთაბეჭდილებას უტოვებდა.

გარდერობიდან პალტო მოპარეს და გაუყიდეს, საავადმყოფოში მორფის გაკეთება და პლანის მოწევა შესთავაზეს, პოლიციელები ახალგაზრდებს ანალიზს უკეთებდნენ მორფინისტების გამოვლენის და ამ გზით ფულის წაგლეჯის მიზნით.

თავის მრწამსიდან გამომდინარე, ლუკა გულგრილი ვერ იქნებოდა იმ უსამართლობებისადმი, რაც ქალაქში იწვნია. მან ფიზიკურად გაუსწორა ანგარიში კატის მწვალებელს, ლამაზი გოგონას შეურაცხმყოფელს, უხამსი ავარები დააფრთხო.

ლუკას ეჩვენებოდა, რომ სბულდა ქალაქს, იგი მთაში ბრუნდებოდა, რომ გაქცეოდა აუტანელ სიყალბეს.

გზაში გაქსის მძღოლმა ცილი დასწამა, მთვრალია და მაგინებსო, პოლიციელთან დააბეჭდა. თურმე ის პოლიციელები მძღოლთან შეკრულები იყვნენ, რათა დემაგოგიური ხერხით ფული წაერთმიათ კლიენტებისთვის. ლუკა ამათაც ხელს შეუბრუნებს, რისთვისაც კამერაში შეაგდებენ და ავად ხდება.

„ერთი სული ჰქონდა ლუკას, როდის გაექცეოდა ქალაქს, თითქოს ქალაქს სტულდა იგი, ვერ ითვისებდა, თავისიანად ვერ ჰგუობდა“ (1, 29).

ქალაქის შეშლილ ქუჩებში სხვა ბაგშებიც წაქცეულიყვნენ, მათაც ეგემნათ სოფლური იდილიის და დების სიწმინდის მონატრება: „ქალაქში, მტვერში წაიქცა ბაგშვი, ნუკრის თვალებით, თმით-მიმოზებით და მწუხარების მალენიავში მოფრინდნენ ლურჯი ანგელოზები. შეშლილი სახით ჰქიოდა ქუჩა, შორს კი მზე დარჩა და მშობლის კერა! მზეზე ჰყვაოდა სოფლად ალუჩა და მოისმოდა დების სიმღერა!“ („ი.ა“) (2.401).

ქალაქში, მტვერში ბაგშვის წაქცევა ფეხის წაბორძიკებას კი არა, უმანკოების დამარცხებას ნიშნავდა, მაგრამ ნუკრისთვალებიანი ბაგშვის სულს ლურჯი ანგელოზები დაეპატრონენ.

პოეტების მეფეც გაუცხოებული და გულდაკოდილი იყო ცხელი ქალაქის ცივი გულებისგან: „ცხელი ქალაქის ქვაფენილმა მე ვერ მიშველა. შუადღის მტვერში, როს უქუდო და ფეხშიშველა მივდიოდი და გამწარებით ვიმტვრევდი თითებს, ვინ გაგიგონებს, ვინ მოგხედავს, ვინ დაგამშვიდებს?“ („ქალაქისაკენ“) (2, 435-436).

იგი „ძვირფასი დედის“ – დედამიწის წინაშე „შვილური სიყვარულით“ იყრიდა მუხლებს და ყველაფრისათვის ემადლიერებოდა. „უცნობ და მიუღებელ სამყაროში“ მკვიდრდებოდა „ზამბახივით ნაზი და უდრუბლო ბაგშვი“: „მივალ უცნობ და მიუღებელ ცხოვრების ზღვაში, ოდესმე ნაზი, ზამბახივით უდრუბლო ბაგშვი“ (2, 437).

კონსტანტინე გამსახურდიამ „დიონისოს ღიმილის“ მთავარი პერსონაჟი ჯოჯოხეთში ჩაიყვანა („ჯოჯოხეთად ჩასვლა კონსტანტინე სავარსამიძისა“). ამით ხაზი გაუსვა თავისი თანამედროვე ყოფის ტრაგიკულობას (3, 362-374).

„ვით სამოთხიდან ალიგიერი, მე ჯოჯოხეთით ვარ დაფარული“, გვესიტყვებოდა გალაკტიონი („სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“) (4, 129).

„...ცხოვრება ჯოჯოხეთია, სიცოცხლე დეპორაცია“ – უდასტურებდა ტერენტი გრანელი თავის თანამედროვეთ“ (5, 302).

ჯოჯოხეთი განსაკუთრებით ქალაქის გაუცხოებულ გარემოში ხდებოდა საცნაური.

ლუკა გაექცა ქალაქის ჯოჯოხეთს, როგორც გურამ დოჩანაშვილის დომენიკო „ლამაზ ქალაქის“ მაცდურ სამყაროს (6, 113-345).

შეუძლალავი სულის ლუკა ავტობუსით მშობლიურ სოფელში ბრუნდებოდა. მძღოლმა იგი გზების მოყინვის მომიზეზებით შუა გზაში დატოვა, თან ასანთი და ბენზინში დასველებული ჩვარი მისცა, ამ ჩვარს მოუკიდე, ერთ საათს მაინც სინათლეზე ივლი, თან ნადირიც ფრთხება მის შუქზეო.

ლუკა გარინდებული იყო მაღალ მთებს შორის მოქცეული სივრცის იდუმალებით.

„შავ მიწაზე ზეციური საგალობლის“ მოსმენას პგავდა თოვლის ფანტელების შრიალი.

მალე ხეობაში მგლის ყმუილი გაისმა.

გაახსენდა: ხანდახან, როცა ტყიდან მგელი ყმუოდა, სოფელში ერთი დედაკაცი შუადამისას სახლის ბანზე გადადგებოდა და საზარლად ეხმიანებოდა ნადირს.

ასეთ დროს გულადი ძაღლებიც ჩუმდებოდნენ.

მგლისა და მგელქალას ეს შეხმიანება უბედურებით თავდებოდა. ხალხმა გუმანით იცოდა იმ ქალის ვინაობა, მაგრამ ყმუილის დროს ვერ იჭერდნენ, დღისით კი ის არაფერში ამჟღავნებდა თავის მგლობას, ბავშვს ძუძუს აწოვებდა, ქსოვდა.

ერთხელ მწყემსმა თავად დაინახა ცხენიანი ბიჭი და სოფლიდან გამოსული თუნგაკიდებული ქალი, რომელიც გაგორდა მტვრიან მიწაზე და მგლის სახით წამოდგა, გამოეკიდა ცხენს, დააფრთხო იგი და ცხენი ბავშვიანად მდინარეში გადავარდა. მგელი ისევ გაგორდ-გამოგორდა მიწაზე და ქალად წამოდგა.

მწერების მას გაეკიდა და მთელი სოფლის ქალები შეაგროვებინა, მან იცნო მგელქალა, რომელიც მაშინაც ბაგშვს ძუძუს აწოვებდა, უნდოდა ემხილებინა, მაგრამ მისმა შეხედვამ შეაკრთო და გაეცალა.

როცა დაღუპული ბიჭის დედა თეთრუა შვილის მოსაძებნად წავიდა, მგელქალა კატის სახით ერდოდან შეძვრა სახლში დანარჩენ ბავშვებთან. თეთრუას მამამ ცემით დაასისხლიანა კატა, რომელიც გაიქცა და მგელქალას სახლის კიბუებს აუყვა. სადამოს ცხვრიდან დაბრუნებული ქმარი შეაკრთო ცოლის ნაცემმა სახემ. ქალს ხერხემალი ჰქონდა გადატეხილი, როცა ტანისამოსი გახადეს, თეთრი კუდი უნახეს. მომაკვდაგმა მგელქალამ თეთრუას სიზმარში გაუმხილა თავისი გარდაცვლილი შვილის ადგილსამყოფელი. ავსული მალე გარდაიცვალა. იგი არ დაუმარხავთ, ერთ მიუდგომელ ხევში ჩააგდეს.

მშვიდობით გაიზარდნენ თეთრუას ქალ-ვაჟი, მაგრამ ბიჭს სულ ჰქონდა მგლის შიში, როცა მასწავლებელმა მგელი ახსენა, მან იღრიალა.

ლუკა ფიქრობდა, რომ მგელქალას ძუძუთი გაზრდილი ბაგშვი თვითონაც მგლად მოიქცეოდა და კაცთა შორის ივლიდა (1, 35-43).

მგლების გარემოცვაში მოქცეულ ლუკას მთელი სამყარო სამგლეთად ეჩვენებოდა: „ვინ იცის, რამდენჯერ გადაჲყრია მგელს. იქნებ დაძრწიან დღისით და ღამით სამგლო საქმეებით დატვირთულნი, უჯდებიან ერთმანეთს მანქანებში ან საავადმყოფოებში იპარებიან... ანდა უცებ თავს დაგესხმიან და ციხეში ამოგალპობენ, ან საგამოცდო კომისიაში დაგხვდებიან, ვინ რა იცის, რომ მგელთანა აქვს საქმე. კაცის სახე აქვს და ფარდობითობის თეორიას გეკითხება“ (1, 43).

„მგელი ხომ შესჭამს ადამიანთა წილ სიყვარულს, კაცივით მათ შორის იტრიალებს და ნელ-ნელა გამოსწოვს, რაც კი რამ წმინდაა მათ შორის“ (1, 44).

შედამებაც მგელს დაუკავშირა: „საცაა უნდა შემომგლისფერდეს“ (1, 47).

გაახსენდა, ძაღლის სახით მოვლენილმა მგელმა როგორ გამოფატრა ფაშატი.

შიშმა მძღოლიც მგლად მოაჩვენა, მაგრამ მისი უქმაკო თვალები წარმოიდგინა და მიხვდა, რომ ცდებოდა.

ლუკამ ბენზინიან ჩვარს მოუკიდა, მაგრამ მალე მისკენ მიმავალი მგლების ხროვა დალანდა. შიშით ხან ყვიროდა, ხან უსტვენდა. მერე მგლების რკალში კაცი ჟემოვარდა, ხელიდან ანთებული ჩვარი გამოსტაცა, გამხევება დაუწყო და უშიშრად დაფანტა მგლები. ლუკა გადარჩენილი იყო. მისმა მსსნელმა თევდორები იარაღის გარეშე დააფრთხო მტაცებლები და ამ სასწაულებრივმა გადარჩენამ გააოგნა ლუკა. მისი მასპინძელი თევდორე აღმოჩნდა ყოფილი მგელი, კვლავ ადამიანად მოქცეული.

ლუკა სულ მგლებზე ფიქრობდა, ჯერაც ვერ დაეთრგუნა შიში.

კაცობრიობას ხომ დასაბამიდანვე ამგზავრებოდა მგელი, საერთოდ მხეცნი, მტაცებელნი.

„მხეცი (103, 11 ფსალმ.) ლომი, ვეფხვი, დათვი და მისთანი, რომელნიც ხორცთა ჭამენ და მაგნებელნი არიან ხმელთა ანუ ზღვათა შინა; გველნიცა მხეცად ითქმიან და უფროსად ეშმაკნი, მხეცნი, სულთა მიმტაცებელნი“. „მხეცი ბოროტი (ოთხფ.) (37, 33 დამატ.) მგელი (7, 554).

ამ მხეცებსა და მის ვარიაციებზე მრავალ ინფორმაციას გვაწვდის ბიბლია.

ეზეკიელის წინასწარმეტყველებაში „შეთქმულნი... წინასწარმეტყველნი ლომებივით ბრდდვინავენ,... მთავრები მგლებივით გლეჯენ ნადავლს, სისხლს ღვრიან, სიცოცხლეს უსწრაფებენ ანგარებისთვის“ (ეზეკიელი, 25, 27) (8, 775).

სოფონია წინასწარმეტყველის „გაჯიუტებული, წაბილწული, მოძალადე ქალაქი“ უღმერთობით არის განთქმული, „მისი მთავრები მბრდდვინავი ლომებია მის შუაგულში, მისი მსაჯულები სადამოს მგლებია, დილისთვის ძვალსაც რომ არ ტოვებენ“ (სოფონია, 3, 1-3) (8, 848).

იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებაში გვხვდება სამი მხეცი: წინასწარმეტყველებთან მებრძოლი უფსკრულის მხეცი (11, 7, 13, 4) (9, 504, 506, 507), ღვთის მგმობელი ზღვის მხეცი (13, 1, 5), მიწის მხეცი (13, 11). ისინი თაყვანს სცემენ გველეშაპს.

ზღვის მხეცში ხალხის მასებიდან მოსული ლენინის, ხოლო მიწის მხეცში იატაკქვეშელი სტალინის მოვლინების წინასწარმეტყველებას ხედავენ ბიბლიის კომენტატორები (10, 411).

ქართულ სასულიერო პროზაში (იაკობ ცურგაველის „შუმანიკის წამება“) მგლად სახელდებულია ვარსექენი: „...მოვიდა მგელი იგი ტაძრად“ (11, 229).

„შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად სძოვდეს“ – ასეთი სამართლიანობის სურვილით მთავრდება შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ (12, 316).

„თხა და მგელის ერთად ძოვა... მარტო წიგნებში შეიძლება, სინამდვილეში ეს არ მოხდება და არც უნდა მოხდეს“, იჭგნეულად აცხადებს მეოცე საუკუნის მწერალი (13, 479).

გოდერძი ჩოხელის ლუკა შიშით უკუიქცა ქალაქისგან, თუმცა მთის ხეობაშიც იყო მგლების სიმრავლე და იგი ვერ აცდა მტაცებლებთან შეხვედრას. საბედნიეროდ, მას მხსნელად მოევლინა თევდორე, რომელიც ადრე მგლების ბეჭდით იყო დაღდასმული, მაგრამ უფლის შეწევნით და საკუთარი ძალისხმევით მერე თვით იქცა „ნადირთა“ რისხვად.

მართლაც, უკეთესად ვინ უნდა იცოდეს მგლობის საიდუმლო, მისი დათრგუნვის ხერხები, თუ არა ნამგლარმა.

ლუკა შეძრა ბარსა თუ მთაში დანახულმა საფრთხეებმა, ერთი შეხედვით, უძლეველთა მძლეველთან შეხვედრამ, მით უფრო, თევდორეს იდუმალებით მოცულმა პიროვნებამ, მის მკერდზე მიკერებული გამხმარი ყვავილის ხილვამ. თევდორემ განაცხადა, რომ იგი ყვავილის ჩამომავალია, რომ ეს ყვავილი მამამისია.

თევდორე ლუკას ცხოვრების მეგზურად იქცევა, ამ უცნაური ადამიანისაგან იგებს მგლადყოფნის ტრაგედიას, მონობის ჯაჭვის დამსხვრევის გზებს... ლუკას ახალი ჭეშმარიტება ეწვეთება, თუმცა თვითონაც „ნაწილიანია“, ჯერ ბევრი, ძალიან ბევრი უნდა მოიხილოს, შეიცნოს, რათა სრულად ეზიაროს საღვთო, მარადიულ სიბრძნეს.

ლუკას ქალაქიდან გაქცევა სულის ხსნაა, ახალ გზაზე შედგომა, უკეთურებისთვის ზურგის შექცევა, თვითდამკვიდრების საშუალება.

ლუკას შეუძლია დავით წინასწარმეტყველის სიტყვები გაიმეოროს:
„შევიძულე კრებული უპეტურთა, ბოროტთა გვერდით არ დაგჯდები“
(ფსალმუნები, 26, 5) (9, 546).

„შევიძულე ამაოების დამცველები და მე მივენდე უფალს“ (ფსალმუნები, 30, 7) (9, 551).

მგლების, ბნელის შვილების დამარცხება, ზნეობრივი სრულყოფისთვის
ბრძოლა, – აი, მწერლის იდეალი.

მგლები, მხეცები კი ყოველთვის მრავლად არიან ირგვლივ.

„მხეცებში ადამიანები ამოელანდებათ, ადამიანებში მხეცები მოსჩანანო,
ირწმუნებიან. ირწმუნებიან და გარწმუნებენ: დააკვირდი თუნდაც კეთილი
თვალითაო,... ოდონდ საგულდაგულოდ დააკვირდიო, – კაცი წაიშლება, მხეცია
თითქოსაო. შინაურ პირუტყვზე ნულარას იტყვი: იმდენი ხანია მოშინაურდნენ,
იმდენი ხანია შეეწყვნენ ერთმანეთსა, – ფერი ფერსა, მადლი ღმერთსაო.
შეეწყვნენ, შეხმატებილდნენ. სახება რაღაა, ანარეკლია სულისაო“, გვესიტყვება
ოთარ ჩეიძე (14, 4).

სხვა მწერალმა ახლებურად შეხედა ადამიანის ფენომენს, იპოვა და
გამოძერწა კაცი-მიმინო, კაცი-ლამურა, კაცი-ბელურა, კაცი-მწერი, კაცი-გუ, კაცი-
პინგვინი, კაცი-ვეშაპი, კაცი-ურჩხული, კაცი-ვირი, ადამიანი-ჯაგლაგი, ადამიანი-
ფინია, ადამიანი-ცხვარი, ადამიანი-მაიმუნი, ადამიანი-აქლემი, ადამიანი-მანქანა,
ადამიანი-ტოროლა, ადამიანი-მაჩვი, ადამიანი-საფრთხობელა, ადამიანი-ტიკინა,
ადამიანი-თეთრი ყვავი, ადამიანი-თოჯინა თუ ქამელეონი, ხალხი-ნახირი (15, 9).

პერმან პესეს პარი პალერი ტრამალის მგელია, იგი შინაგანი გაორებისაგან
გატანჯული მარტოსულია, ვიდრე არ მოათვინიერებს თავის არსებაში მხეცს და
სულიერ პარმონიას არ ეზიარება (16, 322).

გოდერძი ჩოხელის თევდორეც თავისი არსების ველურ საწყისებს ებრძვის
და გამარჯვების საწინდარია ქრისტიანული მრწამსი.

თითქოს განგებამ შეახვედრა ერთმანეთს ლუკა და ნამგლარი, მაგრამ კვლავ
ადამიანად მოქცეული თევდორე, ცხოვრებისაგან დაბრძენებული ადამიანი,

რომელსაც შეუძლია ვაჟა-ფშაველას სიტყვები გაიმეოროს: „ვიცანი, დმერთო, სამყარო“.

ლუკა მგლებისგან გამოქცეული, გამოუცდელი ახალგაზრდაა, რომელიც ღმერთს ეძებს.

თევდორე და ლუკა ერთმანეთს ხვდებიან იდუმალ, ჩამყუდროებულ ხეობაში, სადაც არ ისმის ამქვეყნიური მიეთ-მოეთი და შესაძლებელია მოვლენების გულდინჯი განსჯა, „შავ მიწაზე წამოსული ზეციური საგალობლის მოსმენა“. მწერალმა მიგნებულად მოიაზრა მათი შეხვედრის ადგილი – ჩაკეტილი გარემო, თევდორესა და მისი მამის – თანდილას უსპეტაკესი სულებით განწმენდილი, სიავისგან დაცული, ჩაკეტილი გარემო და არა ბრძოთი აყაფანებული ბაზარი ან ხალხმრავალი მოედანი.

ცნობილია, რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ედგარ პო ყორნისა და მიჯნურის შეხვედრის ადგილის შერჩევას „ყორანში“, როგორ ეძებდა შესაფერ ადგილს და როგორ იპოვა იგი: „...შემდგომი გასათვალისწინებელი საკითხი გახლდათ ის, თუ როგორ დამეკავშირებინა მიჯნური და ყორანი და უპირველესად მოქმედების ადგილი მეპოვა. შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ამისთვის შესაფერი ადგილი ტყე ან მინდვრებია, მაგრამ ყოველთვის ვამჩნევდი, რომ ჩაკეტილი გარემო ყველაზე უკეთ პქმნის განმარტოების ეფექტს: – მას აქვს ისეთივე ძალა, რაც ჩარჩოს სურათისათვის. აქვს ეჭვმიუტანები მორალური ძალა ყურადღების მიზიდვისა, და, რა თქმა უნდა, ჩაკეტილი გარემო არ უნდა ავრიოთ ადგილის ერთიანობაში“ (ედგარ პო, „კომპოზიციის ფილოსოფია“) (17, 214).

ლიტერატურა:

1. გოდერძი ჩოხელი, „მგელი“, თბ., 1989.
2. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ., 1977.
3. კონსტანტინე გამსახურდია, თხზულებანი ოც ტომად, ტ. II, თბ., 1992.
4. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ორ წიგნად, წიგნი I, თბ., 1988.
5. „ცისფერი სიშორე“, თბ, 1998.
6. გურამ დოჩანაშვილი, „სამოსელი პირველი“, თბ., 1990.
7. სულხან-საბა თრბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, ილია აბულაძის რედაქციით, თბ., 1991.
8. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ., 1990.
9. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკოლმი, 1992.
10. იოანე იონა, რა უნდა ვაკეთოთ, თბ., 1994.
11. ქართული მწერლობა ოცდაათ ტომად, ტ. I, თბ., 1987.
12. შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, თბ., 1991.
13. რევაზ მიშველაძე, თხზულებათა სრული კრებული სამ ტომად, ტ. I, თბ.
14. ოთარ ჩხეიძე, „თეთრი დათვი“, თბ., 1999.
15. რევაზ მიშველაძე“, შეგონებანი, გამონათქვამები, ხატოვანი თქმები, შეადგინა ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ლუარა სორდიამ, თბ., 1999.
16. პერმან პესე, „დამსვენებელი. ტრამალის მგელი. გერმანულიდან თარგმნა ნანა გოგოლაშვილმა. წინასიტყვაობა და შენიშვნები რეზო ყარალაშვილის, თბ., „მერანი“, 1985.
17. ესეები, ინგლისურიდან თარგმნეს პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა, თბ., 1989.

თავი II

დორაისხევი – სატანური სახელმწიფოს მოდელი

თევდორეს ნაამბობიდან საცნაური ხდება ტოტალიტარული ხელისუფლების ახალი მოდელი, ახალი მიკროკოსმოსის, მაკროსამყაროს არსზე მიმანიშნებელი სახელმწიფოს შექმნის ფაქტი.

ვიდრე ასეთი სამყარო არსებობს, ადამიანის თავისუფლება მოჩვენებითია, ამა ქვეყნის ძლიერთ დაუმორჩილებელთა დასათრგუნავი ქამანდი აქვთ მომარჯვებული, „შეგუების ეტლში“ შესაბმელთ დარაჯობენ გამუდმებით, მოსათვინიერებელ გალიაში უკრავენ თავს.

თევდორე დვორისნიერი თანდილას შთამომავალი იყო, მაგრამ ვერ დაიცვა მამის „სავენახე“, ნადირობის ჟინს გადაჰყვა, ზერელედ ახსოვდა მამის ანდერძი–შეგონება, რომ ეძებნა ყვავილი, მიწიერ ვნებებს აჰყვა, გზა აებნა და სიფხიზლემოდუნებული დორაისხეველთა კარზე აღმოჩნდა თავისდაუნებურად.

თურმე ეშმაკეულთ თავიანთი ადგილის დედა პყავდათ – სტეფა და თევდორე მის ხლართებში გაება. უკეთურებმა იგი მგლად მონათლეს.

დორაისხეველთ თავიანთი „საფიხვნო“ პქონდათ, მათ სათავეში იყო ცალთვალა ეშმაკი. ამ ცალთვალობაზე აქცენტი შემთხვევითი როდია. ცალთვალანი იყვნენ ურწმუნონი, ათეისტები, ისინი ნივთიერის, მატერიალურის გარდა ვერაფერს ხედავდნენ, სული და სულიერება უცხო იყო მათთვის. კოჭლი და ცალთვალა იყო გოეთეს „ფაუსტის“ მეფისტოფელიც.

„ძირი ეთხება წმინდა ოცნებას, სოფლის საცდური როცა ძალადობს“ („შენს სილამაზეს მივესალმები“), გვამცნობდა ანა კალანდაძე (1, 215).

სოფლის ცდუნებებს აყოლილი, საღვთო მადლის დამკარგავი თევდორე მგლადყოფნის საშინელებას გამოსცდის. ეს მისი სულიერი მიძინების, სიფხიზლის მოდუნების, მიწიერი ინსტინქტების გაფეტიშების შედეგია.

ეშმაკეულთა ხელდასხმის, დამონების, დამორჩილების ნიშანია თევდორეს ყელზე შემოხვეული ალერდი (ალერდი იგივე საბელია, ჯაჭვი).

ნათლობის მთავარი ატრიბუტია სისხლი.

„ინათლება მგლად... დღეის მერე უვალება: იყოს მგელი და მხოლოდ მგელი. სახე მისი არა კაცის ფერი, არა სხვა რამის მსგავსი, არცა კატის, არცა ეშმაკისა.

დღეის მერე იყოს მორჩილი მბრძანებლისა ჩვენისა და მისგან განწევებული ყოველი კანონის.

დღეის მერე სვას სისხლი და ერიდოს მძორს!

არ დაინდოს ადამიანის ძე!

არ უდალატოს მგლებს!

ნადირობისას არ მოშალოს რკალი!

არ გადავიდეს წინამდლოლის ნება-სურვილს!

ყოველივე, რაიც განწევდება ჩვენს სამსჯავროზე, იყოს შეუგალი კანონი მისთვის!

ყელს გადაცმული ალდახი იყოს მისი მგლობის ბეჭედი.

მოინათლოს!

მოიტანეს მგლის სისხლი და გადამასხეს“ (2, 71).

კომუნისტების პარტიულ წესდებას გვაგონებს დორაისხეველთა ეს ქცევის კოდექსი კანონის ფარად აფარებით, რადგან ყოველთვის პუმანურობის ნიღბით თარეშობენ მტაცებლები.

მგელთა ტოტალურ მძლავრობას ხედავს ავტორი არა მარტო მთაში, არამედ ქალაქში, სოფელში, ყველგან.

მთელი ეპოქის სულის წარმომჩენია თევდორეს ნათქვამი: „ხალხში ვედარ ვჩერდები. გული ხან რომელ კაცზე მეტყვის, აეს კაცი მგელიაო, ხან რომელზე ერთხელ ქალაქში ვიყავი, კინაღამ გადავირიე – სოფელში ცოტა ხალხია და ისე არ იგრძნობა.

სადაც კი წავსულვარ, ყველგან მგლის სუნი ტრიალებს. ხალხი ცხვარია, როგორც კი მგლის სუნს იკრავს, დაფრთხება, მით უმეტეს, თუ სინათლე არსაიდან ჩანს, და თუ სიბნელეში ცხვარი დაფრთხა, დაღუპულია იმ ფარის საქმე“ (2, 147).

ორი გზა არსებობს: ან მგლების რკალის გარდვევა (რაც ერთეულთა ხვედრია) ან მათი მორჩილება. მგლები მთელ ქვეყანას არიან მოღებულნი: „მოქცეული ხარ მგლების რკალში, თუ შეძლებ და გეყოფა შენს თავში რწმენა და ძალა, მიდი, გაარდვიუ ეს წრე, თუ არადა, დანებდი, შენც მგლად იქცი, შენც იმათ წრეში ჩადექი და სხვას ჩაუსაფრდი. მერე რა, რომ მგლად იქცევი?! განა ერთი და ორი მგელია შენს გარშემო?

ქმედია საგსეა მგლებით, იმათია ასპარეზი, ხოლო ვინც კაცი გააჩინა, დაკარგულია, სადღაც იმალება... მგლებს კი წრე აქვთ შეკრული“ (2, 172).

დორაისხეველნი პირველობისთვის ეცილებიან ერთმანეთს, სულის წაწყმედის, ანგარების გზით აღწევენ პირველობას, რაც აგრე მომნუსხველია თავმდაბლობის უარმყოფელთათვის, ამპარტავანთათვის, ეს კი, წიგნთა წიგნის მიხედვით, უდიდესი ცოდვაა: „ამპარტავანი კაცი მატყუარა ღვინოსავითაა, არ მოისვენებს, ჯოჯოხეთივით იბერება მისი სული და სიკვდილივით გაუმაძლარია; თავისკენ შემოიკრებს ყველა ხალხს და ყველა ერს თავისთან შემოხვეტავს“.

....ვაი მას, ვინც უსამართლოდ იხვეჭს თავის სახლისთვის და მაღალზე იბუდებს, რომ თავი დაიხსნას ბოროტის ხელიდან!

...ვაი მას, ვინც სისხლზე აშენებს ქალაქს და უსამართლობაზე აფუძნებს დარბაზებს...

...ვაი მას, ვინც თავის თვისტომს ასმევს თავისი რისხეის თასს და ათრობს, რომ მათ სიშიშვლეს უყუროს!

პატივის ნაცვლად დამცირებით გაძლები; შენც სვი და გაშიშვლდი; შენც შეგხვდება უფლის მარჯვენის თასი და შენი პატივის დამცირება“ (აბაკუმ წინასწარმეტყველი, 2, 5, 9, 12, 15, 16) (3, 291).

მგლისსულიანი არსებების ზრახვები ამ პირველობისთვის ბრძოლაში შიშვლდება: „ნუთუ იმისთვის მიჰყიდეს მგლებს სული, რომ მგლებს ცხოვრებაში პირველობის მეტი უფლება აქვთ.

„ვინ არის პირველი? ვინც უფრო მგელია (2, 95).

მგელი „სიბრალულის სიმგაწყვეტილია“ (2, 106).

ნამგლარი, მერე კი კაცადმოქცეული თევდორე აცნობიერებს ლუკას: „ჩვენ ვართ და ლვთის სამართალი. მგლების სამართალი კი სხვაა. იმათ სხვა უწერს მგლურ კანონებს, ლვთის განგებას იმათთან საერთო არაფერი აქვთ... რო არა სულიწმინდა, მგლებს დარჩებოდათ ეს ქვეყანა...“

ქალაქში მგელი, რამდენიც გინდა, იმდენია, თუმცა შენ რას გამოიცნობდი. კაცი კაცს ჰავავს და არა მგელს... ჩაუსახლდება ვინმეს სულში მგელი და ააყმუვდებს იმის არსებობას, იმდენს აქნევინებს, ახლა სხვას მოაქცევს მგლად...

სადაც სულიწმინდა ფეხს ვერ იკიდებს, იქ იმ წუთში მგელი ჩასახლდება. მერე ეს მგელი ცდილობს, საზოგადოებას კარგად მოაჩვენოს თავი... მგლებს ხომ კანონები უყვართ. პოდა, ეს კრავიც კანონებს ეფარება...

„დაილოცოს, წმინდა სამებავ, შენი განგება და ნუ მოაქცევ ქვეყანას სამგლეთად“ (2, 640).

დორაისხევში იმას აწინაურებდნენ, ვინც შეუბრალებლობით იყო გამორჩეული. ერთხელ ერთ თათარს (დორაისხევი, სხვათა შორის, ინტერნაციონალური „სამოთხეა“) დაევალა ჯარჯის მოკვლა, მაგრამ ჯარჯიმ იმარჯვა, თვალში ხანჯალი ატაკა მომხვდურს და ბრძანება ვერ შესრულდა. ეს არ აპატიეს თათარს დორაისხეველებმა, თავიანთი რიგებიდან გამოაგდეს და მგლადქცევის ნიჭი წაართვეს (2, 161).

„დორაისხეველებს არ უყვართ ის, ვისაც არ ეშინია და თავის ნება-სურვილზე არ დადის“ (2, 162).

მერე ჯარჯის მოქცევა გადაწყვიტეს, მაგრამ ამაოდ.

თევდორე ყვება: „მგლებმა სუსველაფერი გადაგვავიწყეს. თუ კაცი ერთხელ მგლობის გზას დაადგა, ადამიანობას ივიწყებს“ (2, 192).

მგლური ინსტინქტების ადამიანები საკუთარსაც არ ინდობენ. ერთხელ თევდორეს „მგლობის შიმშილი“ ეწვია და თავის უცოდველ ძმას – ლეგოს წაეტანა, მაგრამ ის გაიქცა და თევდორეს ძმის ჩექმა შერჩა ხელში. კეთილი ლეგო ძაღლმა იხსნა.

დორაისხეველთა შტაბი უდაბურ ხევში იყო. სუფრაზე ისხდნენ მგლები, კატები, ალები. ზევით იჯდა მბრძანებელი დორაისხეველი, რომელსაც

აბარებდნენ ანგარიშს, ვინ როგორ იმარჯვა უკუდმართულ საქმეებში. თათბირზე დორაისხეველის ბრძანებით ვიღაც აწამეს და ისე გამოტეხეს რაღაცაში, მერე შეკრეს ბალახის ალდახებით და დილეგში ჩააგდეს.

მგელი ბასა მონადირეთა წინამდოლი იყო, მას დაჰყვებოდნენ მგლები: ჯალაბა, ბოლრა, ჯლუნა, აპარეკა, წიწილო, ფეფო, უოუა, ჯაყო, ქორა. დამსმენი იყო მგელი ცაცო-ქალი. მისგან გაიგეს, რომ დონატა მთაზე იმყოფებოდა და მგლებმა დაგლიჯეს.

ვინც სათანადო სისასტიკეს ვერ გამოიჩენდა, საყვედურს იმსახურებდა. ერთხელ ერთი ლამაზი ბიჭი მოკლეს, დედა მის ნაფეხურებს კოცნიდა. ჯალაბას უნდოდა, ის მგლოვიარე დედაც მოეკლა, მაგრამ თევდორემ არ მისცა ნება, ეცნენ სხვებიც და წინამდოლი ჯალაბა მოკლეს. გადაწყვიტეს, სამსჯავროზე არ ეთქვათ ჯალაბას მოკვლის ამბავი.

დორაისხეველმა მგლებს მოენე მგლები მიუჩინა.

მგლებს უნდოდათ ხელში ჩაეგდოთ ძალაუფლება, გადაეგდოთ და შეეპყროთ დორაისხეველი, მაგრამ გახსნეს შეთქმულება, შეიპყრეს გაფიცულები და წამებით მოკლეს. გამცემი იყო წიწილო. ერთხანს ის იყო წინამდოლი, მაგრამ მერე ისიც მოკლეს და ქორა აირჩიეს.

დორაისხევში ისევ მომზადდა შეთქმულება, მაგრამ ისევ გამოჩნდა ჯაშუში. უცხო მგლები შემოუსიეს ადგილობრივებს და უდაბნოს გზას გაუყენეს ურჩები. შემდეგ ჯაყო გახდა წინამდოლი.

დორაისხეველთათვის უცხო იყო ურთიერთგატანა. რომანში მხოლოდ ხარისა და ძალლის ერთგულება მოჩანს სამაგალითოდ (2,87).

„...იმათ, ვისაც კაცის სახით ხალხში უშვებდნენ, ზოგს რა ჰქონდა დავალებული და ზოგს რა. მგლები... შენს კეთილ საქმეს ავად მოაჩვენებენ ხალხს, თავისნაირ მგლებს შენზე დაგეშავენ და სისხლს გამოგწოვენ. შენი შურთ... და თანაც დავალებული აქვთ ყელი გამოუღადრონ კეთილ საქმეს. ამისთვის იშველიებენ ყველანაირ კანონს და გაჰყმუიან ამადა და ამ კანონის ძალით, ამას და ამას მიესაჯოს ესა და ეს. ხალხი ცხვარია, როგორც კი მგლის

სუნს იკრავს, ფითოდება, მით უმეტეს, თუ სინათლე არსაიდან ჩანს და სიბნელეში ცხვარი დაფრთხა, დაღუპულია იმ ფარის საქმე“ (2,143).

გ. ჩოხელის რომანში მგლების დავალებაში შედიოდა ქმრიანი ქალების ცდუნება ქრთამით, სამსახურით, ფულით, რომ თავიანთი მსგავსები გაემრავლებინათ. ასეთ ნამუსახდილ ოჯახში უფრო მეტი შანსი იქნებოდა მგლის დაბადებისა და გაზრდის. „ასე მტკიცდება და მრავლდება მგლების საზოგადოება“, ასკვნის თეგლორე (2, 144).

„საზოგადოება ყოველთვის ორი ფაქტორის – უმცირესობისა და მასების დინამიური ერთობაა. უმცირესობა ინდივიდუმთა ჯგუფია, თვისობრივად რომ განსხვავდება ბრძოსაგან. მასა კი ადამიანების ბრძოა, ადამიანებისა, რომლებსაც არავითარი სპეციფიკური თვისებები არ გააჩნიათ. მასა ადამიანთა თავმოყრაა“, „გამონაკლისის გარდა, იგივე ბრძო, რომლის ნება ინსტინქტებზეა დამყარებული“ (4,8).

ნიცშეს ადაშფოთებდა „ბრძოსთან ვაჭრობა და ჩარჩობა ხელმწიფო-ბისათვის“ (5, 75-76).

პოლ ვალერს სახელმწიფო წარმოედგინა „უზარმაზარ, საზარელ, ჩლუნგ, მოუქნელ, მოუხეშავ ციკლოპად, ურჩხულად“, რომელიც „მხოლოდ პატარა კაცუნების მოფუთფუთე ბრძოით სულდგმულობს. მისი ვეება შუშის თვალი ვერაფერს ამჩნევს, გროშებისა და მილიარდების გარდა“ (6,129).

ზვიად გამსახურდია აღნიშნავს, „მეოცე საუკუნის კაცობრიობის მასის ტოტალურ გადაგვარებას“ (7,30) და „ჰეშმარიტებისა და სიკეთისათვის თავდადებულთა მცირერიცხოვნებას“ უპირისპირებს „ბნელეთის მოციქულთა ლეგიონებს, მრავალრიცხოვნების წყვდიადს“ (7,32-33).

მწერალი გულისტკივილით აცხადებს: „სოციალისტურმა ტოტალიტარიზმა კირკესეული ჯადოქრობით ღორებად აქცია მასა“ (7,61-62).

დორაისხევის უბედურება იყო კოლექტივი, რომელიც ხალხის ყვლეფის ოსტატურ ფორმას წარმოადგენდა. კულაპობის ბრალდებით ხალხს ქონებას ართმევდნენ. ჩოხელაანთ გოგიას სახლი და საქონელი ჩამოართვეს, მის სახლში კანტორა გახსნეს.

განკულაკებისას ორი ქვაბი თუ ჰქონდა ვისმე, ერთი მიჰქონდათ, ზოგი ტყეში მალავდა ნივთებს, მაგრამ მოენების საშუალებით ყველაფერს იგებდნენ მეთაურები. როცა სოფელში დათვს ხაფანგი დაუგეს და დაიჭირეს, მის ბუნაგში ნახეს ქვაბები, ვარცლები, ფარდაგები, გარმონი, მატყლი.

ქვაბებთან ერთად კოვზებსაც ართმევდნენ. ერთ ოჯახში სპილენძის ქვაბი მოეწონათ და ფაფიანად წაიღეს.

მშრომელ კაცს „კულაკს“ უწოდებდნენ და მის ქონებას თვითონ ითვისებდნენ. თუ რას წარმოადგენდა ეს ქონება, კარგად ჩანს კონსტანტინე ლორთქიფანიძის რომანში „კოლხეთის ცისკარი“, ბარნაბა საგანელიძის მთელი ქონება ერთ ურემზე დაეტია.

მგლების მეთოდი იყო მამა-შვილთა, მმების გადაკიდება. თადეოზ მღვდელი ამოიჩემეს, ეკლესიაში განძი აქვსო. თადეოზი ვერ იპოვეს და თავისი შვილი ქორა გამსიველი მიუსიეს. ქორამ მამას თმა-წვერი გაკრიჭა, გადამალული ქონება ზედ დაჰკიდა და ასე სოფელ-სოფელ მოჰყავდა ყელზე საბელშებმული. მამის მწვალებელი ქორა დააწინაურეს. თადეოზმა შვილი დასწყევლა და გადაიკარგა.

მერე იგი მთაში ნახა თევდორემ, მფრინავი ბერების მთაზე.

მთა წმინდა ადგილად ითვლებოდა. სოფლისა და საკუთარი შვილისაგან განწირული მოხუცი ლოცვანით იმშვიდებდა აფორიაქებულ სულს. ჯალაბაძ თადეოზისკენ გაიწია, წინამდოლმა ნება არ მისცა.

ქორას დორაისხეველის ბრძანება ჰქონდა მღვდელზე თავდასხმის. თადეოზმა პირჯვარი გადაიწერა, როცა მიუახლოვდნენ. ქორამ კლანჭები ჩაასო. მღვდელმა უთხრა: მოგეკითხებათ.

მგლები არ ინდობდნენ ობლებს, გაჭირვებულებს.

დორაისხევში ხშირად იცვლებოდნენ მბრძანებლები. ზოგი თვითონ კვდებოდა, ზოგს კლავდნენ. მბრძანებლებს დორაის კლდეებში არაქართველებიც ჰყავდათ, გულადებს ემტერებოდნენ, იმდენს ეცდებოდნენ, სანამ ასეთ კაცს სულს არ გააყიდვინებდნენ და სათავისოდ არ მოაქცევდნენ. ზოგს თვითონ იშორებდნენ გზიდან, ან მგლებს მიუსევდნენ, ან რაიმე ხიფათს გადაჰყრიდნენ. ეს კანონი უცვლელი იყო (2, 158).

სამგლეთში გარდაცვლილ ბელადებს კლდეში ასაფლავებდნენ პატივით. ღირსების საზომად სისასტიკე ითვლებოდა. თევდორემ თავისი გაზრდილი ხარი არ დაინდო, ხმო დედის რძეში მოხარშა, რაც ძალზე ცინიკურია. ერთხელ ძმისკენაც გაიწია.

მგლად მონათლულს გამოცდას უწყობდნენ, კლდიდან ყინულის ლოლუები უნდა ჩამოეგდო შეუმუვლებით.

ნამდვილ ჯოჯოხეთს გავდა მათი სერობა.

მგლქალა ცაცო გაწირეს, რადგან ეცოტავათ მისი სისასტიკის ხარისხი, აქტიურობა.

მგლებს აღიზიანებდათ სიყვარული, ერთმანეთს აშორებდნენ შეევარებულ ცოლ-ქმარს, რადგან დანგრეულ ოჯახში მეტი შანსი იქნებოდა მგლის გაზრდის.

„...საზოგადოებაში, სადაც ღმერთი უარყოფილია, ადამიანი გადაიქცევა მხეცად, რადგან ღმერთის უარყოფა იმას ნიშნავს, რომ გაუქმებულია ზნეობა. ხოლო იქ, სადაც ღმერთი ანუ ზნეობა უარყოფილია, უარყოფილია ადამიანიც“, წერდა აკაკი ბაქრაძე „მწერლობის მოვარინიერებაში“ (8, 115).

ამ წრეში სიყვარულზე ცინიკურად საუბრობენ, უფრო მეტი, საერთოდ უარყოფენ მას. „მარადიული სიყვარული და მსგავსი რომანტიული სისულეები მთვარეულთათვის დაგვილოცნია. პროლეტარიატს არ სჭირდება მთვარეულები. ძალიან კარგი იქნებოდა, თუ ამას ლიტერატურულ განყოფილებაშიც შეიგნებდნენ“ (გრიგოლ რობაქიძე, „ჩაკლული სული“) (9, 26-27).

პროლეტარული მწერლობის კრიტიკოსები აშკარად უარს აცხადებდნენ ქრისტიანულ სათხოებაზე და ყველაფერზე მაღლა კლასობრივ ბრძოლას აყენებდნენ: „ქრისტიანული სათხოება ჩვენთვის უცხოა. სამკვდრო-სასიცოცხლო კლასობრივი ბრძოლის დროს არავითარ სასიყვარულო დაომობებს არ შეიძლება ექნეს ადგილი. ჩვენი კლასობრივი ალლო ისე არ დაჩლუნგდება, რომ ბრძოლაში სიყვარულს დაუთმოს ადგილი“, სიამაყით აცხადებდა 1934 წელს საბჭოთა ლიტერატურის ნაფიცი კრიტიკოსი ბენიტ ბუაჩიძე (8, 136).

თევდორე შვიდი წელი იყო მგელი და იტანჯებოდა თავისი ჩანადინარი საქმეების გახსენებით.

მწარე მოგონების გარდა, მისი სასჯელი ისიც იყო, რომ მძორის სუნი სცემდა, თუ სოფელში ვინმეს სიკვდილი ელოდა, სიკვდილისათვის გადადებულ კაცში ადრევე იგრძნობოდა ეს სუნი. „მგლობიდან გამომყვა ეს ალღო“, ამბობს თევდორე.

გურამ ფანჯიკიძის მოთხოვბაში „რექვიემის“ პერსონაჟს წარსულის ცოდვა (უდანაშაულო ჭაბუკის მოკვლა ომში) მიცვალებულის მძაფრი სუნის სახით ეწვია და სიცოცხლე მოუსწრაფა.

სოფელში მრავლად იყვნენ მონათლული თუ მოუნათლავი მგლები. ისინი ადდგომის დღესასწაულს უშხამებდნენ უმანკო, სულწაუბილწავ ბავშვებს, არწმუნებდნენ მათ, ადდგომა არ არსებობსო. ლუკა წითელი კვერცხებით რომ გამოცხადდა სკოლაში, დირექტორმა იმით დასაჯა, რომ ეზო შემოარბენინა და პერცხები დაემტვრა.

გვასენდება კომუნისტების მოწყობილი ანტირელიგიური პროცესიები პ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცებაში“ (10,221).

სკოლის მასწავლებლებიც იყვნენ წითელი ბაცილებით მოწამლული. ერთხელ მათ შველი დალანდეს ადდგომის წინა დღეს და გამოეკიდნენ. შველი ტყეში გაუჩინარდა. იმდენი სდიქს, სანამ არ მოიხელოთ და სიცოცხლეს არ გამოასალმეს.

შვლის მტრები ვაჟა-ფშაველას „შვლის ნუკრის ნაამბობიდან“ გვეცნაურება (11, 279-288).

გალაკტიონს ბედისწერასავით სდევდა „უმიზეზოდ მოკლული“ შვლის სევდა, მისი „სინაზის“ მოკვლას რომ მოასწავებდა, საერთოდ ნაადრევი და უმიზეზო სიკვდილის ტკივილი: „გაისმა შორი სროლის ხმა მთაში და მონადირებ დაჰკოდა შველი... საღამო იწვა ხავერდის ყდაში, ვით წიგნი ლურჯი და ძველისძველი... კუბო უმიზნოდ მცურავი ქარში და უმიზეზოდ მოკლული შველი!... რისთვის მოჰკალით ჩემი სინაზე? მახსოვს ფოთლები, ვენახი, თივა.... ო, მეგობრებო, სანამდე მივა ოცნება ფერფლზე, მზეზე, წვიმაზე!“ („სროლის ხმა მთაში“) (12,289).

მწერალი მგლური სახელმწიფოს შესახებ გვიამბობს, რომლის კოლექტივი იყო ხალხის ყვლეფის მოხერხებული ფორმა.

კულაკობის დროს გლეხი პროტესტის ნიშნად თავის შვილივით გაზრდილ საქონელს ხოცავდა („სტიროდნენ ბნელში სისხლის წვეოები“ (10, 264).

„მგელში“ მინიშნებულია ერთპარტიულ არჩევნებზე, ტოტალურ გაყალბებაზე.

რომანში მგლად მონათვლის მთავარი ატრიბუტია სისხლი.

ცნობილია, რომ სისხლით ნათლობაში განსაკუთრებით კომუნისტებმა გამოიჩინეს თავი.

გრიგოლ რობაქიძის „ჩაკლულ სულში“ კომუნისტი პეტროვი თამაზ ენგურს უყვება, რომ ზოგიერთი გპუ-ელი სისხლში იბანს ხელებს. ერთი გპუ-ელი მძიმე ჩექმებიან ლამაზ ქალს აიძულებს, სისხლით სავსე აბაზანაში ჩაწვეს.

„ვინც სისხლს დვრის, ოკულტურ ძალას იღებს“, ამტკიცებს პეტროვი.

„მხოლოდ მაშინ, თუ სისხლი ღმერთს ეწირება მსხვერპლად“, უსწორებს თამაზი, რასაც არ ეთანხმება პეტროვი, სისხლი ეშმაკსაც სჭირდებაო (9, 60-70).

თამაზი განარჩევს ღმერთთან მისტიური კავშირის სისხლით შენარჩუნებას, სამშობლოსთვის სისხლით შეწირულთ და ეშმაკისთვის სისხლის შეწირვას, რაც ბოროტეულთ ხელეწიფებოდათ (9, 70-71).

„ჩაკლულ სულში“ სისხლის სუნი უდიოთ ლენინს, სტალინს, პეტროვს, ბერზინს, ბოროტეულთა იმპერიის მსახურთ. სისხლით გაუმადლარია რევოლუციონერი ზურაბ გურგენიძე მიხეილ ჯავახიშვილის რომანში „ქალის ტვირთი“, ხოლო პროტოტიპად რევოლუციის ამ ლიდერისა მიიჩნევა სტალინი, რომელიც კლასობრივ მტრებზე შურისძიების გრძნობით გახელებული ამბობს: „ოცდაათი კაცი მოჰკლეს, ასიოდე დაჭრეს. ამ რიცხვს ოდესმე სამიოდე ნულს მივუმატებთ და ვალს გადავუხდით... იქნება ოთხიც და ხუთიც მივუმატოთ, ერთმანეთის ხორცს დავაგლეჯინებთ, გაჩენის დღეს ვაწყევლინებთ“ (ლია ყაზაშვილი, „წითელი გველეშაპი ბროლის კოშკს მოჰკვევია“) (13, 59).

ქრისტიანობაში ნათლისდება წყლით, სულიწმინდით და ცეცხლით ხდება. იოანე ნათლისმცემელი ეუბნება ისრაელიანებს: „მე წყლით გნათლავ

მოსანანიებლად, მაგრამ ჩემს შემდეგ მომავალი ჩემზე ძლიერია, ის მოგნათლავთ თქვენ სულიწმინდით და ცეცხლით“ (მათე, 4,11) (14,5).

ნათლისდება სისხლით რწმენისთვის მსხვერპლის გამდებთა ხვედრია: „...ნათელვიდო სისხლითა ჩემითა და ცეცხლითა და სულითა... და მერე კვალად შთავხდე წყალთაცა და კვალად განვნათლდე...“, ამბობს ქრისტიანად მოქცეული არაბი აბო (იოანე საბანისძე, „აბოს წამება“) (15, 461).

გაქრისტიანებული აბო ლმერთს ემადლიერება, რადგან წმინდა მოწმეთა გზა არგუნა: „გმადლობ და გაკურთხებ შენ, სამება წმიდაო, რამეთუ ღირს მყავ მე მიმოხვევად ღვაწლსა მას წმიდათა მოწამეთა შენთასა!“ (15, 464).

როგორც ცნობილია, ყველა მორწმუნება, რომელიც უკვე ნათელდებული იყო, მარტვილობა, სისხლის დათხევა მეორე ნათლობად ერაცხება (16,136).

გალაკტიონ ტაბიძემ აპოკალიფსურ მხეცთა ნაშიერების მთელი პლეადა გვიჩვენა: „მხეცი თოკიანი“, მალული მხეცი, უფსკრულიდან მომავალი მხეცი, ბნელი საუკუნის მდგრიე ნადირი, ისინი სისხლისდვრის, ცრემლის გუბეების დაყენების, ნგრევის, განადგურების ოსტატები არიან (ლუარა სორდია, აპოკალიფსური მხეცების სახეები გ. ტაბიძის შემოქმედებაში) (17, 18-24).

მოვლენათა გოდუმალების ხერხით გვიჩვენა გოდერძი ჩოხელმა საბჭოთა წყობილების სახე. მის მიერ დახატული დორაისხევი სატანური იმპერიის მოდელია, ხელისუფლებისგან ხელდასხმული დამქაშებით, გამორჩეული უღმერ-თობით, გაცემა-დაუნდობლობით, ბოროტი ქმედებებით, სისხლის წყურვილით, რეპრესიებით.

მაგრამ არსებობს უკურნებელი სენიც.

„უკურნებელია შენი ჭრილობა, სამემკვიდროა შენი წყლული“.

შენი დიდი დანაშაულის გამო, (იერემია, 30, 12-15) (18, 154), ამხელს დმერთი ცოდვილ იერუსალიმს.

ბიწიერების მკურნალობა, განწმენდა, ცოდვათა ჩამორეცხვაა ქრისტიანის ცხოვრების მიზანი, რაც სინანულით, ლოცვით, დიდი ძალისხმევით მიიღწევა.

„ყველას თავისი გზისებრ განვხვით... შეინახეთ და მოიქაცით ყველა თქვენი შეცოდებისგან და ადარ გექნებათ დაბრკოლებად უკეთურება.

მოიშორეთ ყველა თქვენი შეცოდება... შეიქმნით ახალი გული და ახალი სული“, გვასწავლის ბიბლია (ეზეკიელი, 18, 30-31) (18, 209).

ეშმაკისთვის შეწირული სისხლით ნათლისდება კი არ ხდება, არამედ სულის უკურნებელი დაბინძურება.

„თუ შეიცვლის ზანგი თავის კანს და ვეფხვი თავის აჭრელებულ ბეწვს?“ (იერემია, 13, 23). უსაფუძვლო როდია ეს ეჭვი. უმეტესად ბოროტეულთა გზას აგრძელებენ უმეცარნი.

„მზაკვარნი მზაკვრობენ, მზაკვარნი ზაკვით იმოსებიან“ (ესაია, 24,16).

„შიში, ხარო და ხაფანგია შენს წინ, ქვეყნის მკვიდრო“ (ესაია, 24,16) (18,90).

ბიბლიის მიხედვით, მახვილის ამდები მახვილით დაიღუპება, სისხლისმდვრელი სისხლში იცოცხელებს:

„ჩაგიარე და დაგინახე შენსავე სისხლში ამოთხვრილი, გითხარი: შენს სისხლში იცოცხელე-მეთქი!, გითხარი: შენს სისხლში იცოცხელე-მეთქი“ (ეზეკიელი, 16, 6) (18, 205).

„ამბობს უფალი: სისხლად გაქცევ და სისხლი დაგედევნება. ხომ არ გძულებია სისხლი და სისხლი დაგედევნება“ (ეზეკიელი, 35,6) (18, 228).

ბოროტეული საბჭოთა იმპერიის სახეს მინიშნებებით, ქვეტექსტებით, მოვლენათა გაიდუმალების ხერხით ქმნიდნენ ქართველი მწერლები. ისინი გვიჩვენებდნენ სახეებს მსოფლიოში ცნობილი ტირანების, აპოკალიფსურ მხეცთა ნაშიერებისა, რომელთაც უარყვეს ღმერთი, სატანის მსახურებად იქცნენ, ქვეყნის სათავეში მოსულებმა კანონი იფარეს ფარად და სიკეთის ნიღბები მოირგეს. ცნობილია მათი პოლიტიკური სიბეცე, ბოროტება, ტახტის ხელში ჩაგდებისათვის გამოჩენილი ვერაგობები. რევაზ მიშველაძის ნოველა „ფრთები“ საბჭოთა კავშირის მესაჭე ბრეუნევს ეძღვნება. ნოველაში მას იპიის გუბერნატორი იპიუს მეცხრე ჰქვია. აღწერილია, როგორ გაენდო იგი სამ კაცს, და დასასვენებლად წასული წინამორბედი გუბერნატორის ტახტი როგორ მიითვისა. სინდისი არ აწუხებდა, რადგან წინამორბედების გზას აგრძელებდა, მათაც ამ გზით მიითვისეს სხვისი გვირგვინი. 56 წლის იპიუს მერვე პენსიაზე გაუშვეს ხანდაზმულობისა და ავადმყოფობის მომიზეზებით. ოუმცა გაზეთები ასე

იუწყებოდნენ, ვინ არ იცის, რომ 56 წელი „სამოხუცო ასაკი“ არ არის. თვითონ იპიჯს მეცხრე კი გამონაკლისად თვლიდა თავს, თუმცა 87 წლის სკლეროზიანი მოხუცი იყო (19, 40-41).

მწერალი თანმიმდევრულად გვიჩვენებს ამ „ყოვლისშემძლე“ მესაჭების გადაშენებას ნოველაში „დადლილი კაცის ნათქვამი“. მის პერსონაჟს სამუდამოდ დაამახსოვრდა ახლო მომავალში ახდენილი წინასწარმეტყველება მამისა: „ნუ გეშინიათ, მალე დაერევიან ეგენი ერთმანეთსო“ (19, 130).

ერთმანეთს ცვლიდნენ „თავშეგავებული მოლოტოვები“, მათ „მიტმასნილი კაგანოვიჩები“.

მალე სტალინურ კიტელში გამოწყობილმა მალენკოვმა „ბეცი პოლიტიკოსის“ იარლიფით დატოვა ტახტი და სვერდლოვსკს იქით მოუწია პატარა საწარმოს დირექტორობა.

ინდოეთში სპილოებზე ამხედრებული ბულგანინი და ხრუშჩოვი გამოჩნდნენ. ხრუშჩოვმა დაიდგა გვირგვინი, ხოლო ბულგანინი „ეკონომიკაში გაურკვეველ, სუბიექტივისტურ, ამბიციით შეპყრობილ სნობად გამოცხადდა“.

ერთ დროს საგარეო პოლიტიკის თავი და სტალინის მარჯვენა ხელი მოლოტოვი ნოვოდევიჩევზე მეტროთი დადიოდა.

ყრილობათა დარბაზის კულუარებში ნაცემი ძაღლივით დააბიჯებდა კორომილოვი.

„ერთმანეთის მიყოლებით, ჩუმად, უხმაუროდ, თავიანთ მღვიმეებში შემკრთალ-შეყუულები კვდებოდნენ ძველი რევოლუციური გვარდიის ბუდიონები და მიქოიანები“ (19, 130).

თბილისში, „ბურევესტნიკის“ სტადიონზე, ერთ ქარიან დდეს, სულ მუშტებს იქნევდა ხრუშჩოვი. იქვე ქარმა ჩამოხია მისი უშველებელი პორტრეტი, რაც თითქოს იმაზე მიანიშნებდა, რომ მისი დღეებიც დათვლილი იყო.

მალე ხრუშჩოვი „გოლუნტარისტის“, თავნება, თავგასული“ ხელმძღვანელის იარლიფებით წავიდა ასპარეზიდან და „ისტორიამ ერთბაშად მიაყარა დავიწყების ქვა და გუნდა“ (19, 131).

„პოლიტიკური ავანტურისტი ბრეჟენევი“ დიდხანს მიაქანებდა ქვეყანას „უძრაობისა და განუკითხაობის ჭაობში“, მაგრამ, როგორც იქნა, მიქელ-გაბრიელმა იხმო და იხსნა საბჭოთა ხალხი.

„ყოველი პოლიტიკური „წაჯექუკუქობა“ ხალხის კისერზე გადადიოდა „შავი პურის რიგებად“, რეპრესიებად, დახმარების საბაბიო მიღიონების განიავებად, „სულელურ სამეურნეო ექსპერიმენტებად“, სამშობლოდან გაძევებად, ავღანეთის ომის მსხვერპლებად, შიშად – რამე არ წამომცდეს, საკალიმოდ არ წაგთა-მამდეო.“ (19, 131).

წიგნებისა და სამეცნიერო შრომების ავტორები სასტიკი ცენზურის პირობებში ქმნიდნენ და მათი ნაწერები ხშირად იჩეხებოდა, იკრძალებოდა, ირყეოდა რწმენა, იკარგებოდა იმედები.

ნოველის პერსონაჟს „ავი წინაგრძნობა“ ჰქონდა, სნეული, მომაკვდავი იმპერიის აღსასრულს მოელოდა, რაც ახდა კიდეც.

გოდერძი ჩოხელის „ღმერთის შვილების“ პერსონაჟის საპყარის ნუგეში ის არის, რომ ბევრ ცალთვალა ქვეყნის მესვეურო ნამუსიანი ადამიანების ფიქრის წაკითხვა არ შეუძლიათ, თორემ გულშიც არ მისცემდნენ სიკეთეზე ფიქრის უფლებას: „კიდევ კარგი, ფიქრის უფლება ვერ წაგვართვეს სატანის მოციქულებმა, თორემ დედაბუდიანად ამოგქუპავდნენ, რას ჰქვია ნამუსზე ფიქრობთო. მაგათ მხოლოდ ენიო ხმამაღლა რასაც ვლაპარაკობთ, ის ესმით და იმისთვის გვიხდიან სამაგიეროს, თორემ ჩვენი გულის ფიქრი და ხმა რომ ეხმოდეთ, მაშინ გენახა, როგორ გალეწავდნენ ჩვენს ძვლებს ცოდვის კალოზე“.

„ჩვენი გულის ხმა და ფიქრი მარტო იმ დალოცვილ ღმერთს ესმის და უყურებს ჩვენს ნამუსს“ (20, 57).

მოინელა ხალხმა საბჭოთა იმპერიის უნიჭო, მედროვე ავანტიურისტი ვაიმესაჭები, გადააშენა მგლები, ურჩხულები, მაგრამ არა საბოლოოდ, სახეცვლილი ფორმით ისინი ისევ მოვიდნენ ასპარეზზე.

გრიგოლ რობაქიძე ამბობდა: „ვინაა თავისუფალი საბჭოეთში? არავინ! აქ ყველაფერი აკრძალულია, რაიც არაა ბრძანებული... დღეს რომ ერთი

მბრძანებლობს, ხვალ იგი დასახვრეტად მიყავთ... საბჭოეთში არის არა დემოკრატია, არამედ დემონოკრატია“ (გრიგოლ რობაქიძე, „გულნადები“) (9,323).

საბჭოთა პერიოდის რეპრესიები ასახეს არჩილ სულაკაურმა („აბელის დაბრუნება“), რევაზ ინანიშვილმა („ლარა“, „პატარა ბიჭი გოლგოთაზე“), რევაზ მიშველაძემ (19, 116-118).

კომუნისტური მმართველობის პერიოდის თითქმის ყოველ პრობლემას შეეხო გოდერძი ჩოხელის „მგელი“ და თანაც ძალზე ორიგინალური ხერხებით, შთამბეჭდავი მხატვრული სახეებით, ლოკალურ მოვლენებს განზოგადებული, გლობალური მასშტაბები შესძინა. მის მიერ დასმული და გადაწყვეტილი პრობლემები არა მხოლოდ საერო, ზოგადსაკაცობრიოა.

როგორც ჩანს, ურჩხული, მხეცი ყოველი ეპოქის ადამიანების თანამდევია.

ჭაბუა ამირეჯიბის რომანში „დათა თუთაშხია“ ქვეყნის განმგებელი არის ურჩხული, იგი არის „სული კრებითი, არსი, მყოფი კაცთა წიაღისა შინა“: „აღიარა ერმან განმგებლად და მორიგედ ქვეყნიერთა საქმეთა თვისთა ურჩხული იგი საშინელი. საზრდელი მისი – სული და ხორცი კაცთა. მუცელი მისი – აღუვსებელი მარად. არა იყო იგი არსება ერთი და ნადირი ხორციელი, არამედ სული კრებითი“, არსი მყოფი კაცთა წიაღისა შინა, ვითა წახნაგოთაგანი ერთი მისი, გაძლიერებული აწ... ხედვიდა ერი მას ურჩხულსა განსხეულებულს, ხორცექმნილს და მსახლობელს თვისთა სრა-სასახლეთა შინა გუშაგად მამონისა და ჰმორჩილებდა წესება დადებულსა მისგან, რამეთუ უჩნდა იგი საწადელ“ (21, 4).

ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიას“ სეთურის იმპერია და გოდერძი ჩოხელის დორაისხევი ანგარებაზე, ყალბ ლირებულებებზე, სისხლზე, სულის წაწყმედაზე, ბრბოდ ქცეული მასების გათელვაზეა აგებული.

კაცობრიობის მთელი ისტორია, შეიძლება ითქვას, მგლური კანონის მოქმედებით არის ცნობილი: „ბაბილონიდან, რომიდან, სულაც არ ვამბობთ ტყუილს, და კიდევ უფრო შორიდან, მგლური კანონი ყმუის“, ამბობს შოთა ნიშნიანიაძე.

ეს კანონები ყველგან გრცელდება: „შენც დაგპბენს მგლური კანონი, ვერც შენ იდგები ცალკე, რომში ხარ დაბადებული თუ გაზრდილი ხარ ალგეთს“ (შოთა ნიშნიანიძე, „მგლური კანონის ბალადა“) (21, 118).

ბუნებრივად ჩნდება ეჭვები მგელთან მსგავსებაზე: „იქნება ღვთის ხატს ვატარებ და ბუნაგი ვარ მგლისა და ჩემში მგელი ამთქნარებს მგლური კანონის გამო მფხოტნის და მეწაურწეურება, გარეთ გავარდნას ლამობს“ (22, 118).

ზნეობრივი სრულყოფისათვის მებრძოლო მარადიულად აწვალებთ მგლის პრობლემა: „გაქმუის რომის ლეგენდა: „ტყეს დაუბრუნეთ მგლები. ატოტებულა ალგეთი – ტყეს დაუბრუნეთ მგლები!“ (22, 119).

მაგრამ სურვილი სურვილად რჩება და ხალხურ სიბრძნეზე დამყარებით ასკვნის პოეტი: „მგელი კი ისევ მგელია! არ მორჯულდება მგელი! მგლის თავზე სახარებაო, – თქმაა დიმილის მგვრელი“ (21, 117).

„მგლის თვალი აგვიბრიალეთ, – მგლის თათი მოგვისლაქუნეთ, – მგლის კბილი აგვიღრჭიალეთ და მოგვიქსიეთ მგლის სუნი“ (22, 119).

იერემია წინასწარმეტყველი დაეჭვებით კითხულობდა: „თუ შეიცვლის ზანგი თავის კანს და ვეფხვი თავის აჭრელებულ ბეწვს?“ (იერემია, 13, 23) (17, 134).

თვით გოდერძი ჩოხელმა მრავალნაირ ჭრილში წარმოადგინა მგლები, რადგან აინტერესებდა ამ ნადირის შესაძლო ფერისცვალების პრობლემა.

მის წიგნში „ლმერთის შვილები“ (თბ., 2002) რწმენის, ლოცვის, ზიარების, ეკლესიური ცხოვრების მადლით განიწმინდება მთავარი პერსონაჟი და მადლობას სწირავს დმერთს: „გმადლობ, უფალო, თუნდაც ერთი კაციც რომ მომაქციე ამ მგლებით სავსე ქვეყანაშიო“ (23, 36).

ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება მორწმუნე, მართალი წინაპრების სულის ნათელს, სანთელივით რომ აენთნენ ცაში და იქიდან უნათებენ თავისიანებს, რომ არ დაბნელდეს და მგლების ხროვასავით არ დაერიონ დემონები ერთმანეთს სიბნელეში. (23, 57).

გოდერძი ჩოხელის პროზაში მგლების მთელი ციკლი მოიძიება „მამა მგელში“. შვილს მამის მგლად წარმოდგენაც კი სულს უფორიაქებს, რადგან მამამ ხუმრობით უთხრა შვილს, მგელი ვარო (23, 14-18).

„მგელი და სიკვდილი“ ბედისწერის მგელზე მოგვითხრობს, მასში მგელი აღასრულებს განგების საბედისწერო ნებას (23, 48-54).

მოთხობაში „მგელი“ (23, 63-70) გამიხარდი საზარლად აყმუვლებულ მგელს ფეხიდან ეკალს ამოუდებს, რადგან მისი მრწამსია, მიეხმაროს ყველას, ვისაც უჭირს, თუნდაც ის მგელი იყოს. მისი ფიქრისა და საქმის პასუხად მადლიერი მგელი შორიდან შეჰყმუვლებს. ამ შემთხვევაში მწერალს, როგორც თვითონ ამბობს, სურდა მისი მოთხობიდან „სიკეთის ემუილი მოესმინა ყველას“ (23, 70).

„მომშინაურებლებში“ (23, 71-73) ლაზარიანთ მოშინაურებული დათვის ბელი ისეთი დაუნდობელი გამოდგა, სოფელსაც აწიოკებდა, საქონელსაც, ხოლო ფუტკარი მთლიანად ამოუხოცა კეთილისმყოფელთ.

ლიტერატურა

1. ანა კალანდაძე, ერთტომეული, თბ., 1987.
2. გოდერძი ჩოხელი, „მგელი“, თბ., 1988.
3. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ., 1990.
4. ხოსე თრტეგო ი გასეტი, „მასების ამბოხი“, თბ., 1993.
5. ფრიდრიხ ნიცშე, „ესე იტყოდა ზარატუსტრა“, თარგმანი ირაკლი ტატიშვილის, თბ., 1993.
6. პოლ ვალერი, „რჩეული პროზა“, ფრანგულიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ, თბ., 1983.
7. ზვიად გამსახურდია, „დილემა კაცობრიობის წინაშე“, თბ., 1995.
8. აკაკი ბაქრაძე, თხზულებანი, ტომი III, თბ., 2004.
9. გრიგოლ რობაქიძე, „ჩაკლული სული“, შერისხულნი, 15 ტომად, გ. II, თბ., 1994.
10. კონსტანტინე გამსახურდია, „მთვარის მოტაცება“, თბ., 1991.
11. ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, თბ., 1986.
12. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ., 1977.
13. ალმანახი „კრიტიკა“, თბ., 1991, №5-6.
14. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკოლმი, 1992.
15. ქართული მწერლობა, 30 ტომად, გ. I, თბ., 1987.
16. ედიშერ ჭელიძე, „ეკლესია – რძალი უფლისა“, თბ., 1990.
17. კულტურათაშორისი კომუნიკაციები, თბ., 2007, №2.
18. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ., 1990.
19. ლუარა სორდია, „რევაზ მიშველაძის ნოველათა სამყაროში“, თბ., 2001.
20. გოდერძი ჩოხელი, „ღმერთის შვილები“, თბ., 2002.
21. ჭაბუა ამირეჯიბი, „დათა თუთაშხია“, თბ., 1986.
22. შოთა ნიშნიანიძე, „ლექსები“, თბ., 1983.
23. გოდერძი ჩოხელი, „მოთხოვობები“, თბ., 2003.

აპოკალიფსური მხეცების თარეში

გოდერძი ჩოხელის რომანში „მგელი“ არა მხოლოდ ეს მხეცია საუკულმართოდ მოვლენილი. მასში შეხვედრა გვიწევს დათვთან, გველეშაპთან.

ამ სახეებს მრავლად ჰყავთ წინაპრები ბიბლიაში, სასულიერო მწერლობაში, ქართულ თუ უცხოურ კლასიკურ ლიტერატურაში.

ბიბლიაში, ქართულ საღვთისმეტყველო მწერლობაში, „დავითიანში“ ეშმაკის, ავი სულის, ბოროტი ძალის სიმბოლო და ალეგორიაა გველი, გველეშაპი, ურჩხული, იქედნე, ასპიტი, დევი“ (1,210).

ლარიბი ხალხის მჩაგვრელები ბიბლიაში ლომსა და დათვთან არიან შედარებულნი: „რადა მბრდდვინავი ლომი და ღრიალა დათვი და რაღა ბოროტეული ბატონი, დარიბ-ლატაკი ხალხისთვის“ (იგავნი სოლომონისა, 28, 15) (2, 636).

ლომებისა და მგლებისებურ გაუმაძლრობას ავლენენ მთავრები, მსაჯულები: „მისი მთავრები მბრდდვინავი ლომებია,... მისი მსაჯულნი მგლებია, დილისთვის ძვალსაც რომ არ ტოვებენ“ (სოფონია, 3, 1-3) (2, 294).

ნადირის ინსტინქტებით გამოირჩევიან ცრუწინასწარმეტყველნი, მთავრები: „შეთქმულან აქ მისი წინასწარმეტყველნი, ლომებივით ბრდდვინავენ, ნადავლს გლეჯენ და ცოცხლად ჭამენ.

მათი მთავრები მგლებივით გლეჯენ ნადავლს, სისხლს დვრიან, სიცოცხლეს უსწრაფებენ ანგარებისთვის“ (ეზეკიელი, 25, 28) (2, 214).

მნგრეველი მხეცის ძალა ასეა ნაჩვენები იერემიას წინასწარმეტყველებაში: „გამოვარდა ლომი შამბნარიდან და დაიძრა ხალხთა დამღუპველი; გამოდის თავისი სადგომიდან, რათა უდაბნოდ აქციოს შენი ქვეყანა. შენი ქალაქები გაცამტვერდება და გაუკაცრიელდება“ (იერემია, 4, 7) (2, 128).

კერპების მოთაყვანე ისრაელის ხალხს ასე უმუქრება უფალი: „ნანგრევად ვაქცევ იერუსალიმს, ტურების ბუნაგად“ (იერემია 9, 10) (2, 134).

„მოვუვლენ მათ ოთხ რამეს, ამბობს უფალი: მახვილს დასახოცად, ძაღლებს დასაგლეჯად, ცის ფრინველებს და მიწის მხეცებს – შესაჭმელად და გასანადგურებლად“ (იერემია, 16, 4) (2, 140).

„აპა, მოგისევთ მოუნუსხავ უნასებს და დაგგესლავენ“ (იერემია, 8, 10) (2, 133).

ურწმუნოების გამო ასეთ სასჯელს პპირდება ღმერთი „სამეფოთა მშვენება“ ბაბილონის: „უდაბნოს მხეცები გაიჩენენ იქ ბუნაგს და მიკიოტებით აიგსება მათი სახლები, სირაქლემები დასახლდებიან იქ და ალქაჯები გათელავენ იქაურობას,

ტურები მოჰყვებიან კივილს გაოხრებულ სასახლეებში და ველური ძაღლები აყმუვლდებიან მის საზეიმო დარბაზებში; მოაწევს მისი უამი და მისი დღეები აღარ გაგრძელდება“ (ესაია, 13, 21, 22) (2, 83).

შიმშილი – სასტიკი მხეცი ემუქრება იერუსალიმის კაცს და საქონელს ამოწყვეტით: „იერუსალიმს დაუდგა სასტიკი უამი, შიმშილი, სასტიკი მხეცი და უამი – ქვეყნად კაცისა და საქონლის გასაწყვეტად“ (ეზეკიელი, 14, 21) (2, 204).

„მიტოვებულია ჩემი ცხვარი და მიწის მხეცების კერძი გამხდარა უმწყემსოდ დარჩენილი ჩემი ცხვარი, რაკი არ მოუკითხავს ჩემს მწყემსებს ჩემი ცხვარი“ (ეზეკიელი, 34, 8) (2, 226).

ესაია წინასწარმეტყველებდა: „...გველის ფეხვიდან გამოვა უნასი და მისი ნაშიერი მფრინავი გველეშაპი იქნება“ (ესაია, 4, 29) (2, 84).

წინასწარმეტყველი პგოდებდა: „ასპიტის კვერცხებს ჩეკავენ და ობობას აბლაბუდას ქსოვენ. მათი კვერცხების მჭამელი კვდება და თუ გატყდა, უნასი იჩეკება“ (ესაია, 58,5) (2, 117).

სამოთხეში გველის სახით შეპარული მაცდური და მისი ნაშიერი გველეშაპი მრავალგზის გვხვდება ბიბლიაში.

„აპა, შენზე ვარ, ფარაონო, ეგვიპტის მეფევ, დიდო გველეშაპო“.

„...მიწის მხეცებს და ცის ფრინველებს მიგცემ შესაჭმელად“ (ესაია, 29, 35) (2, 221).

იერემია წინასწარმეტყველი მოთქვამდა: „შემჭამა, დამდეჭა ნაბუქოდონო-სორმა, ბაბილონის მეფემ, ცარიელ ჭურჭლად მაქცია, გადამყლაპა გველეშაპივთ“ (იერემია, 51, 34) (2, 77).

ანალოგიური შედარებები ჩნდება ეზეპიელის წინასწარმეტყველებაში: „ჭაბუკ ლომს პგავდი ხალხთა შორის და გველეშაპივით იყავი-თქო ზღვებში“

„მოგისვრი მიწაზე და ტრიალ მინდორზე დაგაგდებ. დავასახლებ შენზე ცის ყოველ ფრინველს და მიწის ყოველ მხეცს შენით გამოვპებავ“ (ეზეპიელი, 32, 24) (2, 224).

იოანე ლვთისმეტყველის გამოცხადებაში გვხვდება დიდი წითელი გველეშაპი, რომელსაც ცაში ებრძვიან მიქაელი და მისი ანგელოზები: „გადმოგდებულ იქნა დიდი გველეშაპი, ძველი გველი, რომელსაც ეშმაკი და სატანა ჰქვია, მთელი წუთისოფლის მაცდუნებელი და მისი ანგელოზებიც გადმოგდებულ იქნენ მასთან ერთად“ (იოანეს გამოცხადება, 12, 9) (3, 505).

მიწაზე გადმოგდებულ გველეშაპს თაყვანს სცემს ზღვიდან ამომავალი მხეცი. გველეშაპმა მას მისცა თავისი ძალა, სახელი და ხელმწიფება. იგი გმობდა ლმერთს: „გახსნა მან პირი ლვთის საგმობად და დაგმო მისი სახელი, მისი სავანე, ცაში დავანებული“ (იოანეს გამოცხადება, 13, 1, 2, 5, 6) (3, 506).

შემდეგ გამოჩნდა მიწიდან ამომავალი მხეცი, კრავის მსგავსი, ორი რქით, იგი ლაპარაკობდა, როგორც გველეშაპი, სასწაულებით აცდუნებდა ხალხს, დედამიწის მკვიდრო ეუბნებოდა, რომ გაეკეთებინათ მხეცის ხატება (იოანეს გამოცხადება, 14, 11-18), (3, 507).

ბიბლიის კომენტატორები ზღვისა და მიწის მხეცების ხატებაში ლენინისა და სტალინის არქეტიპებს ხედავენ („აპოკალიფსი და დღევანდელობა“) (4, 411).

მომნანიებელთ, სიკეთის გზაზე შემდგართ, მხეცებისგან დაცვას პპირდება ლმერთი: „დავუდებ მათ მშვიდობის აღთქმას და გადავაშენებ ქვეყნიდან სასტიკ მხეცებს.

...მშვიდად იცხოვრებენ და აღარ ეყოლებათ დამაფრთხობელი“ (ეზეპიელი, 34, 25, 28) (2, 227).

ცოდვებისგან განკურნება კი ლომის ხახისაგან დაღწევად წარმოიდგინება: „ხოლო უფალი ამომიდგა მე და გამაძლიერა, რათა ჩემი მეშვეობით აღსრულდეს ქადაგება და მოისმინოს ყველა წარმართმა: მე თავი დავადწიე ლომის ხახას“ (პავლე მოციქული, II ტიმოთე, 4, 17) (3, 461).

დავით წინასწარმეტყველი ევედრებოდა ღმერთს: „მიხსენი ლომის ხახისაგან და მარტორქისაგან გადამარჩინე“ (ფს., 21,22) (3, 543).

„მათი შხამი მსგავსია გველის შხამისა, ყრუ ასპიტისა“ (ფს. 68,32) (3, 581).

„ლომთა ეშვები მოთხარე, უფალო“ (ფს. 58, 5, 6) (3, 581).

„შერისხე მხეცი ლერწმიანისა, ხარების ჯოგი ხბოებს შორის, რომლებიც ტრაბახობენ ოქროს ზოდებით“ (ფს. 68,31) (3, 581).

დავით ალმაშენებელი წუხდა: „თვითოეულთა მხეცთაგან შეზავებულსა მხეცსა ვემსგავსე მრავალგვარსა და მრავალხატთა“ (5, 16-17).

გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში გვხვდება მთელი ციკლი ნადირ-მხეცთა, რომელთა დიდი ნაწილი აპოკალიფსურ მხეცთა ნაშიერებად შეიძლება მივიჩნიოთ (6, 18-24).

ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიაში“ ქვეყნის განმგებელი არის ურჩხული, რომელიც არის „სული კრებითი, არსი მყოფი კაცთა წიაღსა შინა“ (7, 182-183).

გერმანელმა მწერალმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა პერმან პესემ 1927წ. გამოსცა რომანი „ტრამალის მგელი“, რომელსაც, გარდა მეტაფორულისა, აქვს მითოლოგიური, ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური აზრი. გერმანულ მითოლოგიაში მგელი არის საშიში დემონი, რომლის ყმუილი სამყაროს აღსასრულს მოასწავებს.

ქრისტიანულ სიმბოლიკაში ხშირად გაიგივებულია მგელი და ეშმაკი.

ფილოსოფიური თვალსაზრისით, მგელი თვითანალიზისა და შინაგანი ჭიდილის სიმბოლოა. იგი პიროვნების სულიერი დამოუკიდებლობისათვის სწრაფვის გამოვლენაა.

ფსიქოლოგიურად, ტრამალის მგლის სიმბოლო ფსიქიკის არაცნობიერის სფეროსკენ მიგვანიშნებს, გმირის შინაგანი სამყაროს იმ ბნელ მხარეზე მიუთითებს, რომლის გაცნობიერებაც მისი მთავარი ამოცანაა.

პესეს მიხედვით, ადამიანში არის არა მარტო ორი სული, მაგალითად, მგლური და ადამიანური, არამედ უამრავი, რომელთა ერთიანობაც ქმნის პარმონიას.

არაცნობიერში ჩაღრმავება პირველი ნაბიჯია ინდივიდუალიზაციისა და შინაგანი სრულყოფის გზაზე. რომანი „სულის ბიოგრაფიაა“. წარმოდგენილია როგორც გარეგანი, ყოფითი სინამდვილე, ისე შინაგანი.

ჰესეს რომანის პერსონაჟი ბოლოს აღწევს იმ სამყაროს, სადაც ხდება ადამიანების მიერ მგლის მოთვინიერება, სულიერი წონასწორობის აღდგენა და ერთიანი, უნიკალური „მეს“ დაბრუნება.

„ჰესეს ძირითადი პრობლემა – განკაცებისა და პიროვნების თანდათანობით სრულყოფის პრობლემაა“ (8, 9). ადამიანის „მე“ და მისი „პერსონა“ არ გახლავთ ერთი და იგივე, „პერსონა“, „მე“-ს გარსია, მისი ერთი ნაწილი, რომელიც გარე სამყაროს შემადგენელია (8, 10). პალერს აქვს ბნელი და ველური მხარეც.

პალერის ამოცანაა, გაარღვიოს საკუთარი პიროვნების მოჩვენებითი მთლიანობის ზღუდე და თავისივე შიდა სამყაროს მრავალსახიერება ცნოს (რეზო ყარალაშვილი) (8, 15).

თანამედროვე დასავლეთის ინდუსტრიულ-ცივილიზებულ ქალაქებში გამხეცებული ნიპილისტების ანუ მარტორქების დიდი და მცირე გუნდები დათარეშობენ.

„ამის შესაბამისად, თანამედროვე დასავლური ლიტერატურა და ხელოვნება აღსავსეა ვარიაციებით მარტორქის თემებზე“ (ზურაბ კაკაბაძე, თანამედროვე დასავლური ლიტერატურისა და ხელოვნების პრობლემები) (9, 92).

ნიპილიზმის გამოვლენაა ნიკოლერი ქონებისა და ფეშენებელურ-კომფორტული ცხოვრების პულტი, გრძნობადი სიამოვნებით თავდავიწყებული გატაცება, „ძალაუფლების ნება“ (9, 93).

ზურაბ კაკაბაძე მიუთითებს იუნესკოს პიესაზე – „მარტორქები“, რომელშიაც სრულიად არაორაზროვნად მინიშნებულია ფაშისტურ მოძრაობაზე და კაცობრიობის გამაჯანსაღებლის ნიდაბს ამოფარებული პიტლერი და პიტლერელები დასახულია მარტორქებად (9, 130).

აგრესორი ყოველგვარი განსაკუთრებული ნიჭისაგან გაძარცული, უიმედოდ „დაჩრდილული“ და „არასრულფასოვნების კომპლექსით შეპყრობილი“ კაცია.

ნიპილისტთა მეგობრობა არსებითად იმაში გამოიხატება, რომ „დაბალი“ და „დაჩრდილული“ მეზობლები პირსა პკრავენ და შეთქმულებას აწყობენ „მაღლისა და დამჩრდილავის“ წინააღმდეგ, ხოლო თუკი მოახერხეს და წამოაქციეს, უმაღლერთმანეთს შეავლებენ მზერას და ახლა ერთმანეთის სიმაღლით შეშფოთდებიან“ (9, 89).

„რაც მეტია „დაჩრდილულობის გრძნობა, მით მეტია აგრესიის ენერგია. ...ჩრდილის ზონაში დაბადებული... მთელი ცხოვრების მანძილზე შურს იძიებს და ვერ დამცხრალა. სწორედ ასე გამოიყურებიან მეოცე საუკუნის სახელგანთქმული აგრესორები და ტირანები, დიქტატორები“ (9, 90).

„დისციპლინურობის გრძნობა და, მაშასადამე, აგრესიის ენერგია მით მეტია, რაც ნაკლებად გააჩნია კაცს ადამიანური უნარი და ნიჭიერება“ (9, 90-91).

მგლის, ვეფხვის, დათვის, მელის, მარტორქების, ვეშაპების, ლომის სახეებს ფსიქოლოგიურ, პოლიტიკურ თუ მხატვრულ ჭრილში მრავალგზის შევხვდებით რევაზ მიშველაძის ნოველებში თუ პუბლიცისტურ წერილებში და ეს სახეები ყოველთვის გამიზნულად არის ნახმარი, მიგნებულ კონტექსტში მოიაზრება.

მწერალი პგოდებს: „სადღაა ვეფხვივით გაწოლილი საქართველო, ამ საუკუნეში მცხოვრებთ რომ თვალი გვქონდა მიჩვეული“.

„თავმოჭრილი და ქედგამოცლილი ვეფხვის მსგავსია ახლანდელი საქართველოს რუკა“ („გისგან ვათავისუფლებთ აფხაზეთს“) (10, 3).

მეზობელი აგრესორი ქვეყანა ამოიცნობა სტრიქონებში: „ჩრდილოელი დათვის უზარმაზარი ჩრდილი ეცემა საქართველოს“ (11, 258).

სხვაგან ვეშაპია ქვეყნის მტერი: „გამოფხიზდდით, ქართველნო, ისტორიის ვეშაპი ჩასაყლაპავად გვეპარება“ (11, 433).

„ვეშაპის სისხლზე ამოსულ დევებთან სერკინება აწი გვიწევს“ (უფანდუროდ ნამღერი) (12, 519-520).

„გამძვინვარებული ვეშაპის წინაშე საქართველო, ლამის მარტო დარჩა“ („ერთი ერთზე“) (13, 231).

„წარსული დიდი ფარია, მაგრამ ოდენ მის იმედზე ყოფნა ისტორიის ვეშაპისგან ვერ დაგვიფარავს („ახალ მიჯნათა დასაძლევად“) (14, 87).

„ასევე დრაკონია ჩვენი ამომგდები. დრაკონის წინააღმდეგ წკეპლით ამხედრებაა ეს და მეტი არაფერი“ (14, 14).

სხვაგან პურის რიგები მარტორქათა ბრძოლას გვაგონებს: „პურის მოპოვება მარტორქათა ბრძოლის მეთოდებით მიიღწევა“ (11, 345).

ხანდახან უსულგულო ადამიანია ვეშაპი („მიუკარებელი“) (15, 210).

ზოგჯერ ხალხი წარმოიდგინება თავჩაქინდრულ, დადედლებულ, ნაზამთრალ და მგელდაცემულ ხბორებივით“ („ერის ხსნა“) (13, 262).

გალიიდან გამოსული ლომი თავისუფლების მაძიებელი ხალხია (16, 222).

სხვაგან არის „პარტიულ განგსტერიზში გამოწრობილი ურჩხული“ (11, 268).

„როგორ თუ თავისუფლება მოინდომეთო, გაწყრა თეთრი დათვი და არგაგონილი რისხვა დაგვატეხა“ („საქართველოზე სიზმრებით გაწამებული“) (17, 8).

გვხვდება ასეთი გაფრთხილება: „საქართველო ამ საერთო ფერხულში ჭაკის წინ მორბენალი კვიცის დღეში ნუ აღმოჩნდება, კვიცის, რომელსაც ან მგელი შესჭამს, ან მგლისფერი ტურა“ (11, 171).

„თხა აქეს, ადიდეს და მგელს შეაჭამესო“ (11, 43).

სინანულით აცხადებს მწერალი: „ჯერ შინაური ტურა-მგლებისთვის უნდა მოგვევლო და თეთრ დათვს მერე დაგტაკებოდით“ („დახვრეტამდე ერთი წუთი რჩება“) (18, 333).

ზოჯგერ მგლის სიჯიუტე და შეუპოვრობა-მოუთვინიერებლობაა აუცილებელი დიდი იდეალებისათვის ბრძოლაში: „კვლავ ძველებურად, როგორც მწერალი და მოქალაქე, მარტოხელა მგლის ხვედრით და სიჯიუტით ვიბრძოლებ ჩემი სამშობლოს თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და რუსეთის მიერ წაგვრილი ტერიტორიების დაბრუნებისათვის“ („უარს ვაცხადებ“) (19, 6).

ასევე მრავლად გვხვდება წუწები ტურის, მორეული დათვის, უკუდო მელიის გამოყენებით შექმნილი ხალხური ფრაზები მწერლის ნოველებსა და წერილებში.

გოდერძი ჩოხელის რომანის მთავარი პერსონაჟი თევდორე დვთისნიერი თანდილას შვილი იყო და მამამ თავის მემკვიდრეს ყვავილის პოვნა, წმინდა

გზაზე სიარული დაუბარა ანდერძად, სიზმარშიც ხშირად ეცხადებოდა გარდაცვალების შემდეგ და შეაგონებდა, ეძებნა ყვავილი. სამწუხაროდ, თევდორე მოწოდების გზაზე სათანადო სიფხიზლეს ვერ იჩენდა, ნადირთა უსაზმნო ხოცვა-ჟლეტის გზა აერჩია, ცხოველური ინსტინქტების ტყვეობაში აღმოჩენილიყო, მისი სულიერება მიმქრალ-მიძინებული იყო და „სოფლის საცდურს“ აყოლილი, ერთხელაც მხეცთა ადგილის დედას გადაეყარა შემთხვევით, მათ იგი მგლად მონათლეს, ყველზე ალდახი შემოახვიეს, თავისუფალი ნება აჰყარეს და მრავალი ცოდვა აჰკიდეს. მაგრამ მონანიებით, უფლის ნებითა და საკუთარი ძალისხმევით ისევ კაცად მოექცა, მამის მართალი გზა მოძებნა და მხოლოდ ამის შემდეგ იგრძნო ადამიანად ყოფნის სიხარული, სიკეთის ქმნით მოგვრული ბედნიერება.

ამ გაგებით, თევდორე მგლის მონა კი არ არის მხოლოდ, ეს მონობა დროებითია და როცა მორჩილების ალდახს გაწყვეტს და დვთის მადლს ეზიარება, იგი მგლის, მგლობის წინააღმდეგ აქტიურ მებრძოლად იქცევა.

ფაქტიურად, თევდორეს სულის ისტორია ზოგადად ადამიანის, კაცობრიობის სულში ცოდვა-მადლის, სიკეთე-ბოროტების ჭიდილის, სიკეთის საბოლოო გამარჯვებისა და „ტრფობის მთაზე“ ამაღლების განუმეორებელი მხატვრული ისტორიაა...

კონსტანტინე გამსახურდია თავის ტოტემად მგელს მიიჩნევდა, მგელს იგი „ძვირფას ძმას“ უწოდებდა („ქალის რძე“).

„მთვარის მოტაცების“ გმირებმა ნადირობისას მწერალს მგელი შეარქვეს, რაც მოქმედნა კიდევაც.

თარაშ ემხმარი ერთ ბარათში წერს, რომ სვან ბავშვს დაბადებისთანავე მგლის კბილს დაჰკიდებდნენ; თვითონაც ნატრობს, რომ შემოხედვა ექნეს „მგლური“.

ხალხურ პოეზიაში „კაი ყმა“ არაერთხელ არის შედარებული მგელთან.

პ. გამსახურდია თავის ძაღლსაც „გერის“ არქმევდა. (მაგ., ნოველა „ტაბუ“), რაც მეგრულად „მგელს“ ნიშნავს.

„მგლები წმინდა გიორგის ძაღლებია. მგლები შეწირულია მარსისადმი, რომელიც ომისა და სისხლის ღმერთია და ამდენად არის ძალაუფლების

სიმბოლიკა (შდ., ალ. ჩაკოვსკის ცნობით, სტალინი სხდომებზე ცხოველების ფიგურებს ხატავდა, მეტწილად კი მგელს“ (20, 145-146).

კონსტანტინე გამსახურდია კომუნისტებთან ბრძოლაში მგელივით შეუპოვარი, მგელივით მოუთვინიერებელი იყო და ამიტომაც მიიჩნევა აპოკალიფსურ მსეცებთან მებრძოლად.

ნიცშეს სახელმწიფო წარმოედგინა, როგორც საშინელი მხეცი, ცივი, საშინელი მხეცი“, ასევე ტახტისკენ მიმსწრაფი, „შეშლილი“ ადამიანი – ხშირად ტალახია (ხშირად ტალახი ტახტსა ზის და ხშირად ტახტი ტალახსა ზედა), „შეშლილები არიან იგინი, მცოცავნი მაიმუნები და დასიცხულნი, სიმყრალით სავსეა მათი კერპი, ცივი, საშინელი მხეცი“... (21, 42).

გარდა თევდორესი, რომანში მსეცებთან მებრძოლად წარმოგვიდგება გარსიაც. გარსია ვიღაცამ წააქეზა, თუ ვაჟები ხარ, იმ დათვთან ბრძოლით დაამტკიცეო.

წაგიდა გარსია ტყეში. მოძებნა დათვის სორო. არ შეუშინდა მის დრიალს, გაბედულად შეუგარდა, მაგრამ არ მოკლა. თუმცა ეტყობოდა, დიდი ფათერაკი გამოიარა, რადგან სისხლიანი გამოვიდა დათვის ბუნაგიდან. იმის მერე დათვი არ გამოჩენილა.

სოფელში შავი წვიმა მოვიდა, შავმა წყალმა დაფარა მიწა, შავი ტალღები აბნელებდა იქაურობას.

გარსია შავი ცხენით გაემართა შავი მდინარისკენ. საშინელი ხმა გაიგონა და მის კვალზე წითელი გველეშაპი დალანდა. გარსია წყალში გადაეშვა, მოახტა გველეშაპს და მერე ორივენი გაუჩინარდნენ.

მეცხვარეებმა შეამჩნიეს, როგორ ამოხეთქა გველეშაპმა მდინარის სათავეში მიწა და შემზარავად აწივლდა.

ლეგენდასავით გავრცელდა, გარსიამ მთელი ხეობა იმ გველეშაპზე ამხედრებულმა ყელმოლერებულად გაიარაო.

დაიკარგა გარსია.

ნათელმხილველ გიორგის მიმართეს გარსიას ამბის გასაგებად. მან სანთელი აანთო და მის შუქზე გველეშაპზე ამხედრებულ გარსიას ხედავდა ერთი კვირა.

მერე გველეშაპი ჩაინთქა ზღვაში და თან გადაიყოლა გარსია. მაგრამ ხალხს არ სჯეროდა გარსიას დაღუპვა. ეგონათ, იმ ხვრელიდან დაბრუნდებოდა, რომელიც გველეშაპმა ამოგლიჯა. იქიდან ცივი ქარი ქროდა, შემზარავი სუნი ამოდიოდა. ამბობდნენ, რომ ეს იყო ქვესკვნელის ჰაერი (შრდ. ყვავილის საამო სუნი და ქვესკვნელის აუტანელი ჰაერი). ეშინოდათ, რომ იმ ჰაერს ავადმყოფობა ამოჰვებოდა მაღლა. მაგრამ ხვრელის ამოქოლვა მაინც არ უნდოდათ, რადგან იქიდან მოელოდნენ გარსიას დაბრუნებას.

მერე საიქიოს ნამყოფი ანუელი გადაეშვა გველეშაპისგან ამონგრეულ ხვრელში, რომ ამ გზით მოხვედრილიყო საიქიოში (22, 129-130). მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვიტეს, ამოექოლათ ხვრელი.

ერთ დღეს გარსიას ლანდი ცოლ-შვილს გამოეცხადა. იგი ყვებოდა, ქვესკნელში ვიყავი, იქ ყველაფერი გველეშაპივით წითელი იყო, ცაც წითელი იყო და მიწაცო. მარტო ხალხი ყოფილა შავად, ლანდისებურად (22, 197).

გარსია უსხეულო იყო. საიქიოში ვერ გაეძლო, რადგან სავაჭკაცო საქმეები არ ჩანდა. უნდოდა დაბრუნება, მაგრამ ნებას არ აძლევდნენ, წესი არ არისო.

გარსია ხეობაში თიბავდა, მაგრამ არ ჭამდა, მარტო წყალს სვამდა. სოფელში არჩევნების დღეს ხმა აიმაღლა, როცა მონაწილეობის უფლება არ მისცეს, ამოწერილი ხარო. მოითხოვა ბარათი მიეცათ, რომ გაეგო, ვის ირჩევდა. მილიციას დაუძახეს, რადგან ყუთი გააქრო. ციხეში გაუშვეს. მერე ციხე ააფეთქეს, მაგრამ გარსია იქ აღარ იყო.

ხალხს სწამდა გარსიას დაბრუნება.

ეშმაკთან, იგივე აპოკალიფსურ მხეცთან, მებრძოლია თანდილა, რომელიც მაცდურს სულს არ მიჰყიდის და ჯოხს მოუღერებს.

მხეცები თარეშობენ ქალაქშიც, რომელთაც არაერთგზის გადაეყარა ლუქა და არცერთ შემთხვევაში არ დაემონა მათ. მისი გაქცევა ქალაქიდან ბრძოლის ველიდან გაქცევა როდია, არამედ უკეთურებისგან თვითგადარჩენაა, სულის გადარჩენა. ქალაქი კი სულიერი უდაბნო იყო.

„შევიძულე კრებული უკეთურთა და ბოროტა გვერდით არ დავჯდები“, ამბობს დავით წინასწარმეტყველი (ფს. 26, 5) (3, 546).

ბოლომდე გაუთვითცნობიერებულ ლუკას არ ესმოდა, რომ მგლების ნაკლებობას არც სოფელი განიცდიდა და ვიდრე „ტრფობის მთაზე“ დამკვიდრდებოდა თავისი დიდი წინამორბედის – ვაჟა-ფშაველას დარად, გამოცდა უნდა გამოევლო, ჭირთათმენა, უნდა ეხეტიალა ყარიბივით, რათა თევდორეს გადაჰყორდა და მისი ნაამბობით შეუჯერებინა ყველაფერი, მადლისა და ცოდვის დაპირისპირებაში უნდა გაეკეთებინა არჩევანი.

ლუკას მამა „ნაწილიანი“ იყო, წინასწარმეტყველი, რომელსაც ბეჭიე არწივი ეხატა და ომში ტყველჩავარდნილი, პიტლერს მიჰვარეს, როგორც იღუმალების საიდუმლოს მცოდნე. და როცა ფაშისტებს მომავალი დამარცხების ამბავი ამცნო, დახვრიტა დაუპირეს, მაგრამ გაფრინდა.

ბოროტეულთა რკალში მოქცეულ ლუკას ორჯერ გამოეცხადა თეთრი მოხუცი, რომელმაც ყმაწვილს თავისი უზენაესი მისია ამცნო – ეპოვა ყვავილი, ერთხელ კი თვითონ მისცა ყვავილი.

ვაჟა-ფაშაველას „მოჩვენებაში“ მოთხრობის პერსონაჟს მცველად ევლინება დმერთი თეთრწვერა მოხუცის სახით (23 298).

ის, რომ სოფელში წითელი გველეშაპი გამოჩნდა, რომელმაც მიწა ამოანგრია და იქიდან ამოსული მყრალი სუნი ჯოჯოხეთის შეგრძნებას ქმნის, შემთხვევითი როდია. ეს არის ადამიანთა ცოდვების, ურწმუნოების საზღაური.

ბიბლიაში გხევდება სისხლის დვრა, შავეთის ხახა, როგორც შედეგი უზნეო, უღმერთო ცხოვრებისა:

„ისრაელის სახლი და იუდას ხალხი... სამართალს მოელოდა და, აპა, სისხლის დვრაა.“

ამიტომაც გაფართოვდა შავეთი და ხახა უზომოდ დააბჩინა. ჩახდება იქ მისი დიდება და უხვება, მისი შვება და ლხენა“ (ესაია, 5, 7, 14) (2, 124).

სამყაროში ცოდვების მომრავლების მიზეზი ეშმაკის მძლავრობაა.

ადამიანის მცდარი გზით სვლის მიზეზი მაცდურია: „ვიცი, უფალო, რომ ადამიანის ნებაზე არ არის მისი გზა, რომ მიმავალი კაცი ვერ წარმართავს თავის ნაბიჯებს“ (იერემია, 10, 23) (2, 135).

მაგრამ უფალია ცოდვათა მიმტევებელი, „განმწმედელი“ (ეზეკიელი, 20, 12) (2, 210).

ეშმაკის მცდელობით თუ ეცემა ადამიანი, დმერთის ნებით შესაძლებელია დაცემულის ადგომა: „ასე ამბობს უფალი: „განა ვინც დაცემულა, არ ამდგარა, ან ვინც გაბრუნებულა, არ მობრუნებულა?“ (იერემია, 8, 4) (2, 133).

გოდერძი ჩოხელის თევდორემ დაივიწყა მამის შეგონება, უგულებელყო ყვავილი და ჯვრის გარეშე იარა, ამიტომაც მხეცების საბუდარში ამოყო თავი. მხოლოდ უფალმა, თან საკუთარმა დიდმა ძალისხმევამ, ჯანსაღმა გენეტიკურმა კოდებმა იხსნეს იგი საუკუნო წაწყმედისგან. მან თავი დაადწია მგლის ხახას.

ყველაფერი კანონზომიერად მოხდა, რადგან ხსნა მხოლოდ რწმენაში, მარადიული დედა-ძის გზის მიგნებაში იყო.

„დაუჯდომლის“ ავტორი და დავით გურამიშვილი ქრისტესთან ერთად მარიამსაც თვლიან უხილავთა მხეცთა მაოტებლად. „დაუჯდომელი“: „გიხაროდენ, უხილავთა მხეცთა მაოტებელო“. დ. გურამიშვილი – „სიტყვიერთა ცხოვართ ქნარო და უხილავთ მხეცთა დამსხარტო“ (1, 384).

ვაჟა ეგრისელი ებრძვის აპოკალიფსურ მხეცებს, „სიძულვილის შავ მგელს“ (ქართული მიწა ბრძოლის ველია) (24, 751), მტრობის და დვარძლის ცხრათვიან გველეშაპს (შურის ტიკნები დაკიკინებენ) (24, 171). იგი, როგორც დიდი ფშაველი, „ცხრათავიანი დევების შიშის ზარი და დამრბევია“ (25, 887). ცხოვრების – ლომის მომთვინიერებელია: „...და გიხარია, რომ ცხოვრების მბრდღვინავი ლომის მოთვინიერება, გვიან, მაგრამ მაინც შესძელი“ („სიხარული“) (25, 362).

„კოლხური ფსალმუნების“ ავტორის პოეზია არის გალობა „მებადურთა და მონადირეთა“ (სამარადისოდ) (26, 507).

ნადირობა არის ბრძოლა ადამიანის ნეგატიურ საწყისთან. რაინდულ სიმბოლიკაში მონადირე რაინდი ის არის, რომელიც გადის კათარზისს, სპობს თავის ინსტინქტებს, ვნებებს, სურვილებს, რომელსაც განასახიერებენ მხეცები (27, 257). სასულიერო პოეზიაში წმინდა გიორგი არის „ქრისტეს მონადირე“, რომელმაც „დასცა მხეცი იგი მძვინვარე“ (იოანე მინჩხი, „გალობანი გიორგისნი“ (28, 507).

წმიდა იოანე ოქროპირი ულიოს კაცს ლეშის მჭამელ მგელს ადარებს: „ულიოსებო კაცი ლეშის მჭამელ მგელს ჰგავს“. ეს მგელი, სხვა მხეცებთან ერთად „პატივმოყვარეობის კუნძულზე მკვიდრობს“ (29, 160, 161, 236).

წმიდა ეფრემ ასური შენატრის მართლმორწმუნე კაცს, რომელიც ვერ აცდუნა უწმინდურმა მგელმა: „კურთხეულ არს, ვინც წმიდა ეკლესია ირჩია. ესე არს კაცი, რომელიც ვერ წარიტაცა მგელმა“ (29, 101).

წმიდა გრიგოლ დვოისმეტყველი დარწმუნებულია, რომ მგლები ცხვრებად და ცხვართა მწყემსებადაც შეიძლება იქცნენ, თუ უფალი ინებებს: „...იმათგან, რომელნი აწ მგელნი არიან, ოდესმე მრავალნი ცხვრებად უნდა მოვითვალო და ვინძლო ზოგნი მწყემსადაც! ამას თვით მწყემსი კეთილი მახარებს მე, რომლის მიერაც სულს დავდებ ცხვართათვის“ (30, 78-79).

ლიტერატურა

1. ტიტე მოსია, „დავითიანის სახისმეტყველება“, თბ., 2005.
2. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ., 1990.
3. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკოლმი, 1992.
4. იოანე-იონა, რა უნდა ვაკეთოთ, თბ., 1994.
5. დავით აღმაშენებელი, „გალობანი სინანულისანი“, თბ., 1981.
6. ლუარა სორდია, აპოკალიფსური სახეები გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში, ჟურნალი „პულტურათაშორისი კომუნიკაციები“, თბ., 2007. №2.
7. ჭაბუა ამირეჯიბი, „დათა თუთაშხია“, თბ., 1986.
8. ჰერმან ჰესე, „დამსვენებელი, ტრამალის მგელი“, თბ., 1985.
9. ზურაბ კაკაბაძე, „ფილოსოფიური საუბრები“, თბ., 1988.
10. გაზ. „ოქროს საწმისი“, აპრილი. 1999.
11. რევაზ მიშველაძე, მინაწერები სატელეფონო წიგნზე, წერილები, დიალოგები, თბ., 1996.
12. რევაზ მიშველაძე, რჩეული ნოველები სამ ტომად, ტ. 3, 1997.
13. რევაზ მიშველაძე, ასი ახალი ნოველა, თბ., 1997.
14. რევაზ მიშველაძე, რა გადაარჩენს საქართველოს, თბ., 1993.
15. რევაზ მიშველაძე, „ურჩი“, თბ., 1989.
16. რევაზ მიშველაძე, „იღბლად გადარჩენილი ნოველები“, თბ., 1992.
17. „ლიტერატურული საქართველო“, 10-17 ნოემბერი, 1999.
18. რევაზ მიშველაძე, რჩეული, 1994.
19. გაზ. „ასავალ-დასავალი“, 13 სექტემბერი, 1999.
20. სოსო სიგუა, „მარტვილი და ალამდარი“, თბ., 1991.
21. ფრიდრიხ ნიცშე, „ესე იტყოდა ზარატუსტრა“, თარგმანი ი. ტატიშვილის, თბ., 1993.
22. გოდერძი ჩოხელი, „მგელი“, თბ., 1988.
23. ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი 10 ტომად, ტ. 5.

24. ვაჟა ეგრისელი, „კოლხური ფსალმუნები“ 5 ტომად, ტ. 2, თბ., 2006.
25. ვაჟა ეგრისელი, „იქმენ ნათელი“, თბ., 1993.
26. ვაჟა ეგრისელი, „კოლხური ფსალმუნები“, ტ. 3, თბ., 2007.
27. ზვიად გამსახურდია, ”ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება, თბ., 1991.
28. ქართული მწერლობა 30 ტომად, ტ. I, თბ., 1987.
29. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი III, თბ., 1991.
30. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი IV, თბ., 1992.

ფერები – მოვლენათა არსის წარმომჩენი

გოდერძი ჩოხელი დეტალებით არსებითს, მთელს გვიჩვენებს, ლოკალურით – მასშტაბურ მოვლენებს. იგი არ აკონკრეტებს რომანში ასახულ დროს, მაგრამ მასში გადმოცემული ურთიერთობები, ფაქტები მწერლის თანამედროვეობაზე, პერძოდ, მეოცე საუკუნის პირმშო ათეისტურ ეპოქაზე დაღადებს.

„მგლის“ ავტორის წინამორბედები მინიშნების ენით, იგავურად, ენიგმების საშუალებით გამოხატავდნენ უმნიშვნელოვანეს სათქმელს.

იგავური, ენიგმური, აზროვნების უპირველესი მაგალითი არის ბიბლია: „...გავხსნი პირს, ავამეტყველებ გამოცანებს დასაბამისა“ (ფს. 78, 2) (1, 604).

„იყო უფლის სიტყვა ჩემს მიმართ ნათქვამი:

ადამის ძევ! მიეცი გამოცანა და შეუთხზე იგავი ისრაელის ხალხს“ (ეზეკიელი წინასწარმეტყველი, 17, 1, 2) (2, 207).

შეფარულად, იგავურად გვაწვდიდნენ სიბრძნეს ქართველი კლასიკოსები.

„წითელი ბაცილებით“ მიანიშნა საუკუნის უბედურებაზე მიხეილ ჯავახიშვილმა მოძმეთა გამწირავ წითელ საუკუნეზე, მის დამდუპველ მოძღვრებაზე. სისხლით გაუმაძღარი დიქტატორების ნეგატიურ სახეებს საკადრისი მიაგო მიხეილ ჯავახიშვილმა მოთხოვნებით „დამპატიუე“, „დამდნარი ჯაჭვი“, რომანებით – „ჯაყოს ხიზნები“, „გივი შადური“, „ქალის ტვირთი“.

წინასწარმეტყველურად იხილა კონსტანტინე გამსახურდიამ სატანური ხელისუფლების სახე ნოველაში „ქოსა გახუ“, „ტაბუ“, „ფოტოგრაფი“, რომანებით „დიონისოს ღიმილი“ და „მთვარის მოტაცება“ მწერალმა ჯოჯოხეთურ ყოფაში ჩავარდნილი თანამემამულეების ტრაგედია გვიჩვენა.

მრავლისმთქმელი სახეებია „წითელი კირიპა, წითელი გველი, მორიელი, შავჩოხიანი წითელი სატანა, ხატს რომ ტყვია ესროლა („ფოტოგრაფი“) (3, 92-93). მოძმე ხალხს შორის ჩამდგარა წითელი სატანა, მისი და ქალბიჭა, ხვარამზეს ნაშიერი მორიელი, თანამემამულეებს სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაჰკიდებს და ერთმანეთს ამოაჟღეტინებს („ტაბუ“) (3, 119-124).

გალაკტიონ ტაბიძის „ატმის ყვავილების“ ციკლი, ხოლო შემდგომ მთელი რიგი ლექსები („როგორ ებრძოდნენ ზარებს ზარები“, „რამდენიმე დღე პეტროგრადში“, „სამგლოვიარო ეტლების ფრენა“, „სამშობლო შავი ლიუციფერის“, პოემა „ჯონ რიდი“, ბოლშევიკების მიერ მოსალოდნელი ტოტალური ტრაგედიის მხატვრული განჭვრება იყო. მისი თვალსაზრისით, თვით მეოცე საუკუნე იყო ბოროტი, ცალთვალა მეფისტოფელი („ბრძა ცალი თვალით“) (4, 141).

ლექსში „ორად გაიარო წითელი კლდე“ გალაკტიონმა წითლად, სისხლისფრად დაინახა ის საშიშროება, რასაც უქადდა რევოლუცია არამარტო რუსეთს და მის ქვეშევრდომ სახელმწიფოებს, არამედ მთელ დედამიწას. წითელი კლდე, წითელი რაში, წითელი გზა, წითელი უნაგირი, წითელი შარა, წითელი ზღვა, წითელი ყავარჯენი, გზაზე გადაგდებული უზარმაზარი წითელი გველი ჩაუქრობელი ხანძრის აბობოქრებას, დაუსრულებელი ომების კასკადს უქადდა მსოფლიოს (4, 192).

ამ მწერლებმა თავად იხილეს, როგორ შემზადდა საუკუნის ბოროტება, მისი ავტედითი შედეგებიც იწვნიეს, ხოლო გოდერძი ჩოხელი უკვე ამ პროცესების შედეგების მხილველი იყო.

უსათნოეს, ქრისტიანული რწმენის მსახურ მწერალს როგორ მოეწონებოდა წითელი მგლების თარეში, მან „ქორმეძებრებიანი ცენზურის“ (კ. გამსახურდიას ტერმინია) თვალის ასახვევად მოვლენათა გაიდუმალების ხერხს მიმართა, მაგრამ ჭირმა თავი მაინც ვერ დამალა.

მის მიერ დასურათებულ მგლების საბატონო იმპერიაში ორი ფერია გაბატონებული, უფალი განდევნილია, იმალება, იგი ურწმუნო ეპოქამ ისევ აცვა ჯვარს. გადაწითლებულია მთელი გარემო, ან კუპრისფერი ადევს ქვეყანას.

სახელმწიფოებრივი მასშტაბის ბოროტებამ სისხლისფერი მიიღო, შემზარავად წითელია ირგვლივ ყველაფერი.

თოვლმაც ფერი იცვალა, ფანტელები გაწითლდა, ალბათ ვარსკვლავებზე ომია და იქიდან მოდის სისხლიანი თოვლიოთ, ამბობენ ხოველში.

ცაც წითელი იყო (გალაკტიონთან ცა ნაჭორფალია, მთვარე ბაცილებმოდებული), იქიდან მოსრიალებდნენ წითელი ფანტელები და ეფინებოდნენ მთებს, ტყებს, სახლების სახურავებს. სოფელში იდგნენ წითელი სახლები, წითელი სახურავებით, გარშემორტყმული წითელი ღობებით. სოფლის მოედანზე წითელი მსხალი იდგა, ზედ წითელი ყვავები ისხდნენ და კალოებშიც წითელ თოვლში ამოგანგლული ბეღურები დაფრინავდნენ, ეკლესიის გუმბათი წითელი იყო. სოფლის დედაგაცებს შაგები ემოსათ და წითელი თაგშლებით მიმოდიოდნენ გიშვიშით.

ბაგშვები წითელი თოვლით გუნდაობდნენ.

მთიდან წითელი თოვლის უზარმაზარი ზვავი წამოვიდა და წიფლის ხეები მოგლიჯა.

ზვავს წინ უძღვდა წითელი ქარი, წითელი თოვლის ბუქი ავარდა ჰაერში და ერთიანად მოსრა ჰაერში წამოფრენილი შეშინებული ფრინველები.

რამდენიმე მთიდან ერთბაშად წამოვიდა წითელი ზვავი, ისინი შეერთდნენ და უფსკრულში პპოვეს ბინა.

წითელი თოვლის კორიანტელი ტრიალებდა უფსკრულის თავზე, ნაწილი ქვევით წავიდა და გადაკეტა წითელი მდინარე, სადაც წითელი თევზები დაცურავდნენ.

ლუკას ხარსაც სძულს წითელი ფერი, იგი წითელყელსახევეიან სნობს ეძგერება და გააქცევს.

გალაკტიონის პოემაში „მოგონებები იმ დღეების, როცა იელვა“ გვხვდება „ქარი ჩრდილოის, წითელი ქარი“ (5, 36).

აშკარაა გოდერძი ჩოხელის რომანის „მთის თოვლის“ წარმომავლობაც.

რომანში ზვავის გამოქანების შემდეგ შეწყდება თოვა და უკანასკნელ წითელ ფანტელებს ენაცვლება თეთრი. ისევ თეთრად შეიბურება გარემო, ეკლესიის გუმბათი, რაც მინიშნებაა ღვთის რისხვის დამთავრებაზე, უღმერთო იმპერიის ეფემერულობაზე, უზენაესის წყალობაზე. მართლაც, წინასწარ-მეტყველურია წითელი თოვლის ფინალი.

სწორედ წითელი ეპოქის პირმშონი იყვნენ მგლები, მაშინ მოაქციეს თევდორე მგლად, მაშინ არ ირწმუნეს ქრისტეს ღმერთკაცობა, მისი აღდგომა და ანტირელიგიურ პროცესიებს მართავდნენ (გავიხსენოთ პ. გამსახურდიას „მოვარის მოტაცება“), შველს შეუბრალებლად კლავდნენ.

ამ ეპოქის პირმშო იყო წითელი გველეშაპი, რომელსაც გარსია შეებრძოლა.

ასევე დააფრთხო ხალხი შავმა წვიმამ, შავმა წყალმა, მდინარის შავმა ტალღებმა. ხალხს უბედურების შეეშინდა.

ამ მოვლენამ გარსიას სავაჟკაცო ნერვი აუტოკა. შავი ცხენით შავ მდინარეს გაუყვა და წითელი გველეშაპის საზარელი ხმა მისწვდა. გარსია ყვებოდა, ქვესკნელი გველეშაპივით წითელი იყო, ცაც წითელი იყო და მიწაც, მარტო ხალხი იყო შავად, ლანდისებურად (6, 197).

ფერებით მოვლენათა არსის წარმოჩენა არ ახალია. ალბერ კამიუმ „შავი ჭირის“ სახეში გაიაზრა ფაშიზმი.

„შავი თოვლის“ სახეში წარმოაჩინა გალაკტიონმა ულმერთო ეპოქის ტრაგედია: „...იქ შავი თოვლივით დამათოვს ჭვარტლი და ბურუსი თავანის. ჯვარს ეცვი, თუ გინდა, საშველი არ არის, არ არის, არ არის“ („შემოდგომა უმანკო ჩარხების მამათა სავანეში“).

შავად წვიმს რევაზ მიშველაძის ნოველაში „ნეკროლოგი სიკვდილის მიზეზს არ იუწყებოდა“ და ეს სახე მეტაფორული როდია.

მეოცე საუკუნის 90-იან წლებში ძმათა კვლის, სამოქალაქო ომის მაცნეა ხანძრისგან „ჩონჩხად ქცეული სახლები, შებოლილი კედლები, ტყვიით დაცხრილული ძეგლები, დალეწილი ხეები რუსთაველზე“.

„ამ დაფერფლილ-დანგრეულ არენასთან“ ადამიანები თავიანთ ცოტ-ცოტა დანაშაულს ხედავენ და ჩქარა ტოვებენ „საბედისწერო ადგილს, მათი პოლიტიკური გაგიქების საუკუნო მაცნეს და საბუთს“.

„დაკორტნილია“ ქაშვეთი, ირგვლივ მრავლად არიან უპოვარნი, პენსიონერები, სამი თვით დაგვიანებულ პენსიას ელიან ჯიუტად.

„თვალის მოჭრა და გადარევა სცოდნია სინათლესავით მოულოდნელად მოვარდნილ დამოუკიდებლობა-დემოკრატია-თავისუფლებას. გალადებულ-

გახანგებულნი ერთმანეთს დავერიეთ და აი, შედეგი: შავი წვიმა ჩამოლვრილა დანახშირებული პროსპექტის ერთ დროს ულამაზეს ფასადზე“.

„ყოველივე მომხდარი ვიდაც უცნობმა ქალბატონმა ალიმ კეშერაძის და „ინტელიგენციის ნახელავად“ გამოაცხადა და ეს მწარე სიმართლე პირში მიახალა პოეტს: „ჩვენ უბრალო ხალხი ვართ, თქვენ – თავიანებმა, ეს გააკეთეთო“.

საერთოდ, რაც მოხდა, კრიმინალური ინტელიგენციის ინსპირირებული იყო და ნოველებში ამიტომ დგება ზნეობრივი პასუხისმგებლობის საკითხი მწერლისა, რომელსაც პირადად არ მიუძღვის დანაშაული, მაგრამ მისი ბრალეულობა იმაშია, რომ ვერ შეაჩერა ერში გაღვიძებული ურთიერთსიძულვილის ტალღა, ვერ გააერთიანა ორი ნაპირი (7, 3-13).

ალბერ კამიუს რომანში ასახული „შავი ჭირის ეპიდემია ომის, ძალმომრეობისა და მასთან ბრძოლის ალეგორიაა“ (8, 4).

„შავი ჭირი, უპირველეს ყოვლისა, ფრთხილი და უზადო ადმინისტრაციული მანქანა იყო, მცოდნე თავისი საქმისა“ (8, 153).

აქვეა „წითური ჭოტი“, წითელი მანტიით სახეცვლილი პროცერორის მოადგილე, ტოტალიტარული იმპერიის მსახური, რომელმაც „ჭირშენაყარი ბაგეებით გამოუცხადა ბორკილდადებულ ადამიანს მოკვდებიო და ყველაფერი იღონეს იმისათვის, რომ ის მართლაც მომკვდარიყო“ (8, 213)

საბედნიეროდ, გოდერძი ჩოხელის რომანში წითელს ისევ თეთრი ენაცვლება.

„შავ მიწაზე ზეციური საგალობლის“ გახმიანებას ჰგავს გუდამაყრის ხეობაში წამოსული თეთრი თოვლის ფანტელები“ (6, 33).

ხატობაზე, სამხვეწრო გორაზე მლოცველებს რქებზე თეთრი მიტკლით თავწაკრული კურატები მოჰყავთ.

ამაღლება დღეს, აყაყანებული მლოცველების დაწყნარებისას დონატა ხელებს გაშლის, მოსწყდება მიწას და ეკლესის გუმბათამდე აიწევს პაერში (6, 50).

ეკლესიის გარშემო თეთრად იყვნენ მსხლები გადაპენტილნი, ყვაოდნენ მთები, ტყეები. ჭიუხებიდან წამოსულმა ნიავმა წამოუქროლა აყვავებულ მსხლებს და ეკლესიის გუმბათი, ჰაერში გაჩერებული ქალი და მოედანზე დაჩოქილი მლოცველები ყვავილების თეთრ საბურველში გაახვია. გარშემო არაჩვეულებრივი, სასიამოვნო სურნელი იდგა (6, 50).

ეს ხდება სასწაულის შემდეგ, ამაღლება დღეს, მლოცველ, განწმენდილ ხალხს თეთრი ყვავილები ეფინება. თეთრი ხომ სიწმინდის, სიკეთის, ნათლისდების ფერია. დვთისნიერ თანდილას სახეზე, შუბლზე, მთელ სხეულზე ამოსდის სურნელოვანი ყვავილები. ეს ყვავილები ირგვლივ იბნევა და თაიგულის სურნელება აბრუებს მიდამოს (6, 64-65).

თევდორე ილოცება: „დმტკომა ნათელი დააყენოს“ (6, 65).

იგი სიზმარში მამას – თანდილას ნახულობს, მის ირგვლივ ყველაფერი განათებულია, თევდორესთან კი ბნელა (6, 66) და ეს იმიტომ, რომ მას ჯერჯერობით ვერ უპოვია ყვავილი.

მთაში, წმინდა ბერების მთაზე წასულ დონატას მგლები გაწირავენ, მაგრამ „მთვარის ნათელი სვეტი... ჩამოდგება იმ ადგილას, სადაც დონატა მგლებმა შეჭამეს. თუ წაიყვანდა, მთვარე წაიყვანდა იქიდან მის სულს, მეტი არავინ“, ჰყება თევდორე (6, 74).

ზეციური ნათელის მივლინება მხოლოდ წმინდანთა ხვედრია.

იმ ადგილას, სადაც გაქრისტიანებული და რწმენისთვის წამებული აბოს ცხედრის ფერფლს ჩაყრიან მტკვარში, ნათლის სვეტი, „განსაკუთრებული ნათელი“ გამოჩნდება (იოანე საბანისძე, „აბოს წამება“). (9, 467).

ხოლო გრიგოლ ხანძთელმა „მრავალგზის იხილვა მის ზედა სვეტი ნათლისაი... რამეთუ სული წმიდაი განისვენებნ მის ზედა მარადის“ (გიორგი მერჩულე, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“) (9, 584).

გოდერძი ჩოხელის რომანში ლუკას ესიზმრება კვამლით დაფარული, ცეცხლწაკიდებული დედამიწა, მერე მთელი ცის სიგრძე-სიგანეზე გაკრთვება ელვა, განათდება და გამოჩნდება დმერთი (6, 170-171).

ნათელი ბიბლიიდანვე მოიაზრება დმერთის სახედ.

ღმერთს ეწოდება „ნათელი თვალთაი, ნათელი დიდი“ (მათქ, 4, 16) (1, 6).

„ნათელი წუთისოფლისა“ (იოანქ, 8, 12) (1, 195-196).

ბიბლიაში გარჩეულია ორგვარი ნათელი: „უჟამო, დაუბადებელი“ ნათელი და ხილული ნათელი. დაუბადებელი ნათელი ბიბლიური კოსმოგონიის მეოთხე დღემდე არსებობდა. იგი უხილავის ხატია და მიიჩნევა ხილული ნათლის წყაროდ.

ორგვარი ნათელი გვხვდება ძველ ინდურ, ძველ პაგანურ, ძველ ბერძნულ და რომაულ ფილოსოფიაში. ნათლის შემოქმედი ღმერთია.

ქალდეური ფილოსოფიის მიხედვით, ნათელი უნივორ, შეუქმნელი და მარადიულია, ყოველივე არსებულის პირველმიზეზი.

შემდეგ ნათელი უნივორ სულის – ღმერთის სახელი ხდება.

ორგვარ ნათელს განასხვავებდნენ ნეტარი ავგუსტინე, ფსევდო-დიონისე არეოპაგელი, ბასილ დიდი, გრიგოლ ნაზიანზელი, გრიგოლ ნოსელი.

მაპმადიანურ მწერლობაში ღმერთი ნათელია.

ქრისტიანული ღმერთი არის ნათელი, ნათელმფენი.

თეთრი სიწმინდის, სილამაზის, უმანკოების, წმინდანობის, სიხარულის, ბედნიერების, ნათლისდების ფერია. ქართული მონათვლაც ქრისტიანობას უკავშირდება (10, 11, 33).

არეოპაგიტიკაში ღმერთი არის „განუზომელი ნათელი“, პიმნოგრაფიაში – ნათელი დაუშრებელი, ნათელი ნათელისგან, ნათელი თვალშეუდგამი, ნათელი დაუსაბამო, დ. გურამიშვილთან – „მიუწვდომელი ნათელი, თვალთა ნათელი“, „წარუვალი ნათელი, მიუწვდომელი ნათელი“... (11, 179).

თეოლოგიაში ნათელი კეთილის სიმბოლოა, ბნელი – ბოროტებისა (6. სულავა) (12, 218).

„ვიდოდეთ ნათელსა უფლისასა“, მოგვიწოდებს „ქებათა ქება“ სოლომონისა.

ნათლის ესთეტიკით ყურადღებას იქცევს ნეოპლატონიზმი, რომანტიზმი, სიმბოლიზმი.

დანტესთან ღმერთი არის „ნათელი ზეცისა, ნათელი უზემთაესი, წმინდა ნათელი, მარადეამული, ცხოველი ნათელი“ (13, 376, 397, 410, 411).

თეორია ვაჟა-ფშაველას „მოჩვენების“ მოხუცი (14, 406).

თეორია ლუკას ხილვების მოხუცი (ღმერთი), თეორად გადაპენტილია ეპლესის გუმბათი და გარემო, წითელ თოვლს ენაცვლება თეორი. ეს არის რელიგიური შინაარსის, განწმენდის მაუწყებელი ფერი... და მართლაც, რომანის ფინალში რწმენა იმარჯვებს ურწმუნოებაზე, ნათელი – ბნელზე, სიკეთე – ბოროტებაზე....

გალაკტიონ ტაბიძესთან რელიგიური გაგებით გვხვდება „წმინდა ნათელი“ („ავე მარია“), „უმანკო ნათელი“ („სასწაულს“) (4, 45, 139).

ლიტერატურა

1. ახალი ადოქტრინა და ფსალმუნები, სტოკოლმი, 1992.
2. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ., 1990.
3. კონსტანტინე გამსახურდია, თხზულებანი 20 ტომად, ტ. I, თბ.
4. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ., 1977.
5. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. 4, თბ., 1995.
6. გოდერძი ჩოხელი, „მგელი“, თბ., 1988.
7. რევაზ მიშველაძე, „სამოცდარვა ახალი ნოველა“, თბ., 1995.
8. ალბერ კამიუ, „შავი ჭირი“, რომანი, ფრანგულიდან თარგმნეს გასტონ ბუაჩიძემ, კოტე ჯავრიშვილმა, ნესტან იორდანიშვილმა, თბ., 1988.
9. ქართული მწერლობა 30 ტომად, ტ. I, თბ., 1987.
10. ვიქტორ ნოზაძე, „ვეფხისტყაოსნის“ ფერთამეტყველება“, ბუენოს-აირესი, 1954.
11. ტიტე მოსია, „დავითიანის“ სახისმეტყველება“, თბ., 2005.
12. ლიტერატურული ძიებანი, თბ., 1983.
13. დანტე, „დვორაქბრივი კომედია“, თბ., 1941.
14. ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, თბ., 1986.

ცოფის სინდრომი

სოფელში საყოველთაოდ გავრცელდა ახალი უბედურება: კაცებს, საქონელს, ყოველ სულიერს ცოფი შეეყარა. საწინააღმდეგო ნემსები გაუკეთეს, მაგრამ ამ ნემსების მერე უფრო გახშირდა ეს გადამდები აგადმყოფობა.

ეს ცოფი მგელმა გაუჩინა სოფელს.

აქაც ძალაშია გოდერძი ჩოხელის უმთავრესი თავისებურება: შეფარვით, იგავით გაგვიმჟღავნოს არსებითი მნიშვნელობის სათქმელი.

სოფელს გამუდმებით რაღაც საფრთხე ემუქრებოდა: მგლების საფიხნოს მახეები, შეთქმულებები, გაუტანლობა, ხალხთა ურთიერთგადაკიდება, ქონების ექსპროპრიაცია, სულის ეშმაკისთვის მიყიდვა, მორწმუნეთა დევნა. ადრე წითელი თოვლი და შავი წვიმა იყო უბედურების მაცნე, მერე დათვის და წითელი გველეშაპის გამოჩენა, მაგრამ დადნა წითელი თოვლი, დაცხრა შავი წვიმა, დათვი და გველეშაპი განდევნა გარსიამ. მაინც არ ეღირსათ ადამიანებს სიმშვიდე.

ამჯერად ცოფი მოედო სოფელს და მისი წამალი არსად ჩანდა, ცოდვილთ ემალებოდა, გაუჩინარებულიყო გამჩენი.

საუკუნის ჭირზე სხვებსაც მიენიშნებინათ გოდერძი ჩოხელზე ადრე, რადგან ზეობრივი გადაგვარება ყოველი დროის უმთავრესი სატკივარია.

აკაკი წერეთლის ლექსში „ხოლერა“ ღმერთი განრისხებულია იმის გამო, რომ მთელმა ქვეყანამ დაკარგა სარწმუნოება, გადაგვარებულებს სასჯელად ხოლერა ეგზაგნებათ, ამის მხილველი წმინდა გიორგი შეძრწუნებულია, მაგრამ ღმერთს მაინც მათ გადარჩენას ევადრება: „დავიწყებია ქართველებს შენი სესხი და ვალია, გადაცდენია ძველ გზასა და დაბნევია კვალია, მაგრამ იმისი გაქრობა ჯერ მაინც ცოდვა-ბრალია“ (1, 278).

„ცხოვრება ჭირიანია, ჭირით არ ერთით, ორითა, შენაც მოგაცხობს ბევრს რასმე, არ დაგაშმოროს შმორითა“ („მთათ მითხვეს“) გვმოძღვრავდა ვაჟა.

მეოცე საუკუნემ მემკვიდრეობით მიიღო ხოლერის ბაცილები (გ. ჯავა-სიშვილის „ქალის ტვირთში“, „წითელი ბაცილებია“, „გივი შადურში“, „წითელი თემი“).

ამ ჭირისგან მზეც კი გაშავდა, ნიავიც, მთვარეც ხოლერის ბაცილებით აიგსო, შედეგად მივიღეთ კუბოები. მთავრობა გულხელდაკრეფილი როდი იყო, იგი მავანთა სახლების კარებთან კირს ყრიდა და „უსაფრთხოების“ მიზნით ჯანმრთელებს გზავნიდა საავადმყოფოებში. ქალაქში ტოტალური შიში გამეფდა: „ქალაქში შიშია, ქუჩებს და მოედნებს ბურჟედ და მოლიერად მოედო ხოლერა, და თეთრი ეტლები მიჰქრიან, სკდებიან კედლები“.

პოეტი გაგვენდობა: „მე მიფიქრია ამნაირ დღეებზე ჩუმად და ცბიერად“.

გალაკტიონმა იმთავითვე გაშიფრა რევოლუციის, სამართლიანობის სახელით მომავალი სატანისტების სული, გონისეული თუ გრძნობისეული ინტუიციით წინასწარ განჭვრიტა მოსალოდნელი კატაკლიზმები. ქვეყნის მოზარედ ქცეული პოეტი პირდებდა: „ცხედრები, ცხედრები... ხოლერა, ხოლერა. და როგორც მხედრები, როგორც ცაიერად, მეწყერად, სამუშად გვედება ეს ჭირი. მზე ჩავა, ამოვა, ყოველთვის შავია! ნიავიც სავსეა ხოლერით! წინ მიაქვთ კუბო, ქალაქი ფითრდება... მთვარესაც ედება ბაცილა! გადადგამს ერთ ნაბიჯს სრულიად ცოცხალი და უცებ უცემა“.

ოპერაშიც თავებიდან სარქველების ახდა და ჩონჩხები ელანდებოდა: „ოპერაში მე ვხედავ, გადასძვრათ მსმენელებს ტყავები თავების სარქველიდან (ეს ხდება უეცრად), დადიან ჩონჩხები: ხოლერა, ხოლერა!“.

ამაო იყო გაფრთხილება, არავინ უწევდა ანგარიშს პოეტის უტყუარ წინაგრძნობას, გამეფდა დაღუპვის შიში. აშკარა იყო შავი აჩრდილის მოვლინება, ისმოდა ყორნის საბედისწერო ხმა და გატეხილი ვაზა აძლიერებდა სასოწარკვეთის გრძნობას: „ქალაქს დაღუპვა ელის. ამაღდ გული აეგსება წინათგრძნობებით. დადგება სიჩუმე. დაღუპვა ელის. შავი აჩრდილი წუხეს: დაღუპვა ელის!... ეძახის... ვინ ისმენს? არავინ, არავინ, ის იღუპება! რაა ყორნის ხმა, რას ნიშნავს ვაზა გატეხილი?“ („შიში“) (2, 215-218).

გალაკტიონის პოეზიაში მრავალგზის გვხვდება გესლი, შხამი, საწამლავები, ლეშები, გახრწნის საზიზდარი სუნი, სისხლი და ცხედრები, დაუნდობლობა, მკვლელები, მახე, ბადე, შეთქმულება („მშვიდობის წიგნი“, „ქიმიურ საგნებთან“, მისი „ატმის ყვავილების“ ციკლიც ათეისტური ეპოქის ტრაგედიების წინაგრძნობაა (3, 101-109).

სხვადასხვა ეპოქის პოეტებთან და მწერლებთან ანალოგიურ სახეთა წარმოშობას ანალოგიური პრობლემები განაპირობებს.

მიხეილ ჯავახიშვილმა „ქალის ტვირთში“ წითელი ბაცილებით მიანიშნა იმ ჭირზე, რევოლუციად რომ იწოდა.

გოდერძი ჩოხელთან ცოფით არის მონათლული საუკუნის უბედურება. ეს ცენზურისათვის თვალის ახვევა იყო, რადგან იდევნებოდა მართალი სიტყვა. მერაბ კოსტავას რომ დავესესხოთ, „წითელ გრიგალს თავდაუზოგავად მოაჭერებდა შემზარავი მხედარი, ცეცხლშემართული აზრთა მმუსვრელი წითელი ცენზურა, მისთვის უცხო, მიუღებელ აზრებს ხშირად თავებიანად რომ ათიბავდა მათსავე მატარებელთ“ („გამოსათხოვარი“) (4, 188).

ასე წერას, დეტალებით არსებითზე მინიშნებას მწერლის შემოქმედებითი ინდივიდუალობა განაპირობებდა.

სატკივრის მიგნება მისი განკურნების გზების ძიებაც იყო. უცდომლად იყო მინიშნებული მიზეზიც და წამალიც.

ავადობის მიზეზი ურწმუნოება იყო.

გოდერძი ჩოხელმა სწორი დიაგნოზი დაუსვა თავისი ხალხის ავადმყოფობას და სასწაულმოქმედი წამალიც შესთავაზა.

თევდორე თანდილას მიერ დანატოვარი ყვავილით იგერიებდა ავადმყოფობას, იგი ქრისტიანული რწმენის მცველი იყო. სიკვდილის წინ მან ეს სულიერი განძი გოდერძის დაუტოვა, როგორც დვთის რჩეულს.

ლუკას სიზმარში „თეთრმა მოხუცმა“ (ღმერთმა) დაავალა, ეძებნა ყვავილი.

ერთხელაც ღმერთი პირადად გამოეცხადა ლუკას და ყვავილი გაუწოდა.

ბუნებრივია, ლუკა უნდა ყოფილიყო ყვავილის დამცველ-შემნახველი, ერის წყლულის მკურნალი. ლეგო (თევდორეს ძმა) გადასცემს ლუკას თევდორეს დანატოვარ ყვავილს: „აი, ეს ყვავილი დაგიტოვა, მთხოვა, მიეციო, ლუკას მგლები ეტანებიან და სასიკეთოდ მოიხმაროს“ (5, 238).

ყვავილი ლუკას დიდ შინაგან ძალას აძლევს. როგორც კი დაინახავენ ამ ყვავილს, ადამის სუნს იგრძნობენ ცოფიანი მგლები, შედგებიან და გაიქცევიან ხოლმე. თუმცა გამხმარი იყო, მაგრამ მაინც ყვავილის სურნელი ჰქონდა.

დადის ლუკა სოფელში ყვავილით, გაცოფებული საქონელი დრიალით გაცვივდება იქიდან. ცოფმორეულებს შეეხებოდა თუ არა ლუკა ყვავილით, იქურნებოდნენ.

უფალი ხომ ყველაზე დიდი მკურნალია: „...მე ვარ უფალი, შენი განმკურნებელი“ (გამოსვლ. 15, 26) (6, 73).

„მკურნალობა უზენაესისგან არის და ნიჭიც მეუფისგან ეძლევა მას“ (ზირ. 38, 2), გვმოძღვრავს ბიბლია (7, 61).

გოდერძი ჩოხელის „მგელში“ „სოფელი ააგსო ყვავილის სურნელმა“.

„ხელში ყვავილი ეჭირა და იმის დანახვაზე გარბოდნენ მგლები, გარბოდნენ სოფლებიდან, გარბოდნენ ქალაქებიდან, მგლებისგან იცლებოდა ქვეყანა“.

თუ სახარებაში უნაყოფო ლელვის ხის გახმობას და ცეცხლში ჩაგდებას წინასწარმეტყველებს იესო, „ლუკას ხელში თანდათან ლივდებოდა ეს ყვავილი“ და მთელ დედამიწას თავისი სურნელებით ავსებდა. დორაისხეველებსაც მისწვდენოდათ ეს სურნელება და კანკალებდნენ, თრთოდნენ, შეშინებულნი დიდ საგონებელში იყვნენ ჩაცვივნული“ (5, 239).

ყვავილთან ერთად, ქრისტეს ჯვარია სასწაულებრივად მხსნელი ეშმაკებისგან.

თევდორე მგლად მაშინ მოაქციეს ეშმაკებმა, როცა იგი ჯვრის გარეშე, უსაზმო ნადირობის ჟინს გადაყოლილი მოიხელოეს.

ლუკა და თევდორე, „უპვე კაცად მოქცეული“, გამუდმებით ახსენებენ სამებას, ჯვარს.

„ჯვარი ქრისტესი ჩვენი სულიერი მახვილია, რომლითაც ვამარცხებთ როგორც ხილულ, ისე უხილავ მტრებს“.

„ვერტიკალური სხივი ჯვარისა, სხვა სიმბოლურ მნიშვნელობებთან ერთად, გამოხატავს ჩვენს სწრაფვას მიწიდან ზეცისკენ, დმერთისკენ, სიყვარულს დმრთისას, მაგრამ ამ სწრაფვას ერწყმის, გადაუჯვარედინება მეორე, პორიზონტალური სხივი, რომელიც ჩვენს სიყვარულსა და სწრაფვას გამოხატავს მოყვასისკენ“.

„ჩვენი ერის ისტორია – ესაა არსებითად გოლგოთისა და ჯვრის საიდუმლოების შემეცნების ისტორია“ (8, 18-19).

ბიბლიაში შავი ჭირი, სისხლი, ქვის სეტყვა და ცეცხლია დგთის გზიდან გადაცდენილი ისრაელების ხვედრი: „დავსჯი მათ შავი ჭირით და სისხლით. თავსხმას, ქვის სეტყვას, ცეცხლსა და წუმწუმას გაწვიმებ მათზე, მის ურდოებზე და ურიცხვ ხალხზე, მასთან რომ არიან“ (ეზეკიელი, 38, 22) (7, 232).

ფაშიზმი ალბერ კამიუს მიერ შეფასებულია, როგორც შავი ჭირი: „შავი ჭირი, უპირველეს ყოვლისა, ფრთხილი და უზადო ადმინისტრაციული მანქანა იყო – ჩინებული მცოდნე თავისი საქმისა“ (9, 153).

„შავი ჭირის“ პერსონაჟი ტარუ აღმფოთებულია ადამიანთა ბოროტებით. კაცმა თუ ერთხელ მოაწერა ხელი სასიკვდილო განაჩენს, მერე ვედარ გაჩერდება. დღეის დღე იმისაა, ვინც მეტს მოკლავს. ყველა მკვლელობის სიშმაგეს შეუპყრია“ (8, 213).

ჭირი, უპირველესად, სულისმიერი მოვლენაა: „ჭირს ყველა თავის თავში დაატარებს... მუდამ თვალი უნდა გეჭიროს საკუთარ თავზე, რათა შემთხვევით სახეში არ შეასუნთქო სხვას და ინფექცია არ გადასდო. ნამუსიანი კაცი, ვინც არავის არ გადასდებს ინფექციას, ისაა, ვინც წამითაც არ მისცემს თავს მოდუნების უფლებას. საიმისოდ კი ნებისყოფის საოცარი დაძაბვაა საჭირო... მეტად დამდლელია ჭირიანად ყოფნა, მაგრამ უფრო მომქანცველია წადილი, არ გინდოდეს, ჭირიანი გერქვას.“ (9, 215).

„რა არის ჭირიანობა? ესაა ცხოვრება“ (9, 258).

მთავარი ამ ჭირიანობაში ის იყო, „რას სწავლობს ხალხი ასეთი განსაცდელის ჟამს“ (8, 260).

მამა პანელუ ადამიანებს დმერთისკენ მიბრუნებას ურჩევს: „თვით ის უბედურება, მუსრს რომ გავლებთ, აგდამადლებთ და გზას გიჩვენებთ... ჟამიანობა გაკვეთილი იქნება თქვენთვის“ (9, 85).

ექიმი რეი ამბობს: „შავი ჭირის წინააღმდეგ ბრძოლის ერთადერთი საშუალება პატიოსნებაა“ (9, 141).

„ერთადერთი გზა ხალხის გასაერთიანებლად მათთვის შავი ჭირის მოვლენა იყო“ (8, 165).

გაკეთდა დასკვნა, რომ „შავი ჭირის ბაცილა არასოდეს კვდება და არც არასოდეს ქრება. მას შეუძლია ათეულ წლობით ემინოს დგამ-ავეჯსა თუ თეთრეულში,... ოთახებში, სარდაფებში, ჩემოდნებში, ცხვირხოცებში, ქადალდში...“

იქნებ ერთ დღეს შავი ჭირი კვლავ გამოადგიძებს ვირთხებს და სასიკვდილოდ გამოგზავნის ბედნიერ ქალაქში“ (9, 261), ასე აფრთხილებს ალბერ კამიუ ადამიანებს.

გოდერძი ჩოხელის „მგელი“ დიდი გაფრთხილებაა, რომ ბოროტებას არ შეგვიცოთ.

თევდორეს და ლუკას ქვეყნის უბედურებამ თვალი აუხილა, თევდორემ დაწყვიტა მგლების მონობის ჯაჭვები და თვით იქცა მათ წინააღმდეგ მებრძოლად.

გვახსენდება ვაჟა-ფშაველა: „დაკრული სარგოდ მომიხდა, თუმცა მავნებლობას ეცადა, რამდენიც დამკრა, იმდენი მე ავიწიე ზეცადა, ადამიანად ვისახვი, მგმობლები დარჩნენ მხეცადა და დავდეგ ცა-ქვეყნის შუა ქედ-მოუდრეკელ სვეტადა“ („ცხოვრებამ არ შამიბრალა“) (10, 2).

თევდორემ და ლუკამ, ვაჟა-ფშაველას კვალზე, „ტრფობის მთას“ („ბახტრიონი“), „გრძნობის მთას“ („ვის ჰქვიან კაცი“) მიაღწიეს და იხსნეს მათ ირგვლივ ცოდვის ჭაობში ჩაფლულნი.

ლიტერატურა

1. აკაკი წერეთელი, თხზულებანი 18 ტომად, ტ. 2, თბ., 1992.
2. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ., 1997.
3. ლუარა სორდია, გალაკტიონ ტაბიძის „ატმის ყვავილების ციკლი“, ჟურნალი „ნუგეში“, თბ., 2001, №3-4.
4. მერაბ კოსტავა, „შეწყვეტილი ფიქრები“, თბ., 1991.
5. გოდერძი ჩოხელი, „მგელი“, თბ., 1988.
6. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი I, თბ., 1990.
7. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ., 1990.
8. აკაკი მინდიაშვილი, „ღვთაებრივი და ეროვნული“, თბ., 1995.
9. ალბერ კამიუ, „შავი ჭირი“, ფრანგულიდან თარგმნეს გასტონ ბუაჩიძემ, კოტე ჯავრიშვილმა, ნესტან იორდანიშვილმა. თბ., 1988.
10. ვაჟა-ფშაველა, ტ. 2, თბ. 1961.

რომანის სასწაულები

გოდერძი ჩოხელი ხატავს დიდი სულიერი ძალისხმევის მქონე პერსონაჟებს, რომლებიც ფრენენ, მგელს იშინაურებენ, უკეთური მხეცების ხროვას სძლევენ, სასწაულებს ახდენენ და სასწაულებრივად გვშორდებიან. მათი აჩრდილი, სულის ნათელი აცისკროვნებს ცხოვრებას.

ამ სამყაროში წითლად თოვს, შავად წვიმს, ქვესკნელიდან მომწამვლელი ოხშივარი ამოდის, მიცვალებულის სუნი გვცემს, მაგრამ ტოტალურ ბოროტებას უვავილის გამოჩენა და მისი სასიამოვნო სურნელი ანადგურებს.

ისეთი შთაბეჭდილება რჩება, საღმრთო წიგნებით, რწმენით გაბრძნობილი მწერალი უშორესი წარსულიდან მოდის, რომელმაც სძლია „სოფლის საცდურს”, სათხო ბერივით წმინდად იცხოვრა და ჩვენამდე მოიტანა წმინდანთა სულის ნათელი. მან ყველა წმინდანს გადააჭარბა და თავისი დიდი ფშაველი წინაპრის დარად, „ტრფობის მთაზე“ დაემკვიდრა, რომ იქიდან გამოღწეული ნათელით გაგვინათოს ჩაბნელებული სული, რომ გზადაბნეულთ გაგვაგნებინოს გზა მგლების ხეობაში. მას, თავის თევდორესავით, ლამპარი უპყრია თითქოს და ყვავილით უკეთურებს აფრთხობს.

რომანში სიზმრები, ხილვები, გამოცხადებები, სასწაულები ერთ მიზანს ემსახურება – შეგვაცნობინოს მხეცად ყოფნის საშინელება, გვაზიაროს იდუმალს და ადამიანური ყოფნის მადლს, მიგვანიშნოს მომავალზე.

სიზმრები, ხილვები შეიძლება „სურვილების ან შიშების მანიფესტაციას წარმოადგენდეს, სიზმარი შეიძლება მოიცავდეს გარდაუვალ ჭეშმარიტებას, ფილოსოფიურ დებულებას, ილუზიებს, ველურ ფანტაზიებს, გეგმებს, ანტიციპაციას, ირაციონალურ განცდებს, ტელეპატიურ ხილვებს (1, 305).

სწორედ ანტიციპაციას, მოვლენის წინასწარ უწყებას ემსახურება გოდერძი ჩოხელის მიერ აღწერილი ხილვები. მისი პერსონაჟები არაჩვეულებრივი ადამიანები არიან და მაინც „ნაცნობ უცნობებად“ აღიქმებიან. მიწის შვილებს მწერალი ზეციურ ნათელს დაანათლებს, ისინი მხოლოდ ერთი კუთხით როდი წარმოჩნდებიან, არამედ იმადაც, რანიც შეიძლება ყოფილიყვნენ სხვა გარემოში.

იხატებიან რა პოტენციური შესაძლებლობების კვალობაზე, კაცობრიობის სალტოლველ იღეალებად რჩებიან.

მორწმუნე ადამიანები რწმენის, ჯვრის, ლოცვის ძალით ჩვეულებრივთაგან განსხვავდებიან და ცაში ფრენის უნარით მომადლებულებად წარმოგვიდგებიან.

რომანში ლუკა იგონებს ხატობას, აყაყანებულ ხალხს, ერთი მთვრალის უდიერ მოქმედებას, რომელმაც დეკანოზს ხანჯალი წაჰალიჯა და ოვითონ დაკლა თავისი საკლავი. ატყდა ჩხუბი, მუხლებზე დაცემული დეკანოზი ამაოდ შეჰველადებდა ლოცვით ზეცას, ყველა ერთმანეთში აირია, მოჩხუბართა გასაშველებლად გამოსული ქალები დაკანონებულ სამანს იქით გადადიოდნენ.

უცებ საიდანლაც გამოვარდა თმაგაშლილი ქალი და ქადაგად დაეცა: – „მე წმინდა გიარგი, მე წმინდა გიარგი! ...გაგწყვეტო და გაგანადგურებო! აღარას ისმენთ ჩემსა, აღარა გჯერათ ჩემი... დაიჩოქეთ!“

რამოდენიმე კაცმა დაიჩოქა. ვიდაცამ ლუკაც დააჩოქა, მაგრამ მალე იცნეს თანასოფლელი ქალი დონატა და აყაყანდნენ, ისევ ჩხუბი გაგრძელდა.

ამ დროს უცებ გაშალა ქალმა ხელები, მოსწყდა მიწას და ეკლესიის გუმბათამდე აიწია ჰაერში (2, 50).

ეს მოხდა ამაღლება დღეს. ჰყვაოდა მთები, ტყეები, ეკლესიის გარშემო თეთრად გადაპენტილი მსხლების გამაბრუებელი სურნელება იფრქვეოდა.

ჭიუხებიდან წამოსულმა ნიავმა წამოუქროლა აყვავებულ მსხლებს, ეკლესიის გუმბათზე ჰაერში გაჩერებული ქალი და მოედანზე დაჩოქილი მლოცველები ყვავილების თეთრ საბურველში გაახვია. მთებიდან, ტყეებიდანაც მოედინებოდა ჰაერში ყვავილები. გარშემო ენით აუწერელი საამო სურნელი იდგა.

მერე დაწყნარდა ნიავი.

ყვავილები მიწაზე დაეფინა.

დამშვიდდა ხატის მოედანი.

ქალმა ნელ-ნელა იწყო ძირს დაშვება. ხელები ახლა გულზე ჰქონდა ჯვარედინად დაწყობილი და მიწას ჯერ თითისწვერებით შეეხო, მერე იმანაც

ხალხთან ერთად მუხლი მოიყარა, თვალებით ზეცას მიაჩერდა, წამოდგა და ამით ანიშნა ხალხს ამდგარიყვნენ.

პირჯვრისწერით წამოიშალა ხალხი.

დეკანოზმა ზარი დარეკა.

გაგრძელდა დღეობა.

ირგვლივ სხვანაირი მხიარულება დატრიალდა. ყველა როგორდაც აღტაცებული და ბედნიერი იყო სასწაულის ხილვით.

ქალი გახევებული და გარინდებული იყო.

ამბობდნენ, იმის ენა-პირმა ხატის სათქმელი იუბნა და რა გასაკვირია, რომ იმის მერე დამუნჯდა და აღარა თქვა რაო (2, 51).

ვერავინ შეიტყო, სად წავიდა ქალი.

მარტო თეთრუაი არწმუნებდა ხალხს, დავინახე, გამთენისას ციდან ნათელი სვეტი ჩამოდგა, ქალმა მაღალ ბანზე ხელები გაშალა და ისე გაფრინდა ზეცაში, მიდიოდა და ნათელი სვეტიც იმის მიყოლებით იკრეფდა კალთასო.

ლუკას სასიკეთოდ ეჩვენა ეს მოგონება.

მერე ლუკა თევდორესგან იგებს, რომ დონატა მთაში წასულა მფრინავ ბერებთან. გაირკვა, რომ თეთრუამ დონატას თხოვნით იცრუა, მას ამ ტყუილით დვთის რწმენის განმტკიცება უნდოდა.

მფრინავი ბერები მთაში ცხოვრობდნენ, პაპამჭედელს ცეცხლის რწმენა ჰქონდა, მფრინავ ბერებს წყლისა (ცეცხლი და წყალი საღმრთო სახელებია). მათ ჩიტებივით შეეძლოთ ფრენა (2, 72).

პაპამჭედელს ცეცხლი სწამდა და მას ბერები მთის წვერიდან კალათით უგზავნიდნენ წყალს, ბარად ცივი წყალი მოგენატრებოდა. წვეთიც არ იღვრებოდა. პაპამჭედელი ბერებს ჩვარში გახვეულ გავარვარებულ ქურას უგზავნიდა, მთაში ხართ და ხელებს მოითბობოთ.

ბერებმა თავიანთი ტომის ქალი მიათხოვეს პაპამჭედელს. გაიმართა ქორწილი. პატარძალი ცეკვავდა, ბერებმა გულში გაიფიქრეს, რაღა პაპამჭედელს მივათხოვეთ, ჩვენ გვეთხოვა ეს ქალიო. პაურში მოიხედეს, რომ პატარძლისათვის შეევლოთ თვალი. როგორც კი ავი გაიფიქრეს გულში, ჩამოცვივდნენ, დაკარგეს

ფრენის უნარი, რადგან დაკარგეს რწმენა. ბერებმა ცეცხლი იწამეს და მთაზე აღარ წასულან.

სახარებაში წყალზე სიარულის, ქარისა და ზღვის ლოცვით დაწყნარების უნარი ქრისტეს აქვს მიმადლებული, ხოლო მცირედმორწმუნე პეტრე როცა მოინდომებს წყალზე სიარულს, იგი ჩაძირვას იწყებს. ბიბლიაში აბობოქრებული წყალი სიმბოლოა ცოდვილი ცხოვრებისა, ხოლო მასზე ამაღლება და დაწყნარება, ცოდვების დამარცხებას ნიშნავს.

დონატა მეორედ ვეღარ გაფრინდა, გადაწყვიტა წმინდა ბერების მთაზე წასვლა, რომ დაბრუნებოდა ფრენის ძალა. ერთხელ რომ იგრძნობს ადამიანი ზეგარდმო ძალას, მერე უჭირს მიწაზე ყოფნა. დონატამ მთაზე გაპარვის წინ თეთრუას სთხოვა ეთქვა, დონატა ზეცაში გაფრინდაო.

თანდილასგან იგებს ლუკა, რომ დონატა ცაცო მგლის დასმენით დაიჭირეს მგლებმა და შეჭამეს.

„მთვარის ნათელი სვეტი ჩამოდგა იმ ადგილას, სადაც დონატა გავწირეთ. თუ წაიყვანდა, მთვარე წაიყვანდა იქიდან მის სულს, მეტი არავინ“, თქვა თევდორემ და მერე დონატას სულის, მისი ფრენის სადღეგრძელო დალიეს (2, 74).

გოდერძი ჩოხელის გმირები სულ ცისკენ მიიწევენ, („ცასწავალა“, „არწივთან ფრენა“) (3, 105, 175).

ლუკას მოდგმაზე ხალხი ამბობდა, „ნაწილიანი“ არიანო. ლუკას მამას მარჯვენა მხარზე ნიშანი ჰქონდა, ფრთებგაშლილი არწივი ეხატა. ასევე ლუკასაც. დვთის ნაწილიანი არიან და დვთისგან არისო, ამტკიცებდნენ სოფელში (1, 224).

ლუკას მამა გუჯია ომში ტყვედ ჩავარდა, მას მხარზე არწივი უნახეს და წაიყვანეს ჰიტლერთან, რომელსაც დამარცხება უწინასწარმეტყველა. ამის გამო დახვრეტა მიუსაჯეს, მაგრამ ვიდრე ესროდნენ, არწივად იქცა და ჰაერში აფრინდა (2, 225).

გოდერძი ჩოხელის მფრინავ პერსონაჟებს ჰყავთ წინამორბედები ქართულ სასულიერო ჰოეზიაში.

დიონისე არეოპაგელს ანგელოსურმა ბუნებამ, ზეციურ მეცნიერებაში განსწავლულობამ მიჰმადლა ფრთა: „ანგელოზად კაცთაგან გამოუჩნდა დიდი დიონისე ყოველთა, ვითარცა ფრთოვანი განსწავლული გონებითა ზეციურისა მეცნიერებისათა“ (4, 81).

„არეოპაგიტულ კრებულში“ „სათნოების ფრთით“ ხდება ზეცაში ამაღლება: „სათნოებისა ფრთითა ამაღლდი ზეცად“ (4, 60).

„ზეშთა სიმაღლედ“ ასევდა შესაძლებელია სულიერი ფრთით: „ამაღლდი ზეშთა სიმაღლედ ფრთითა სულიერითა და მიიწიე, ლირსო, დიდებასა მას გამოუთქმელსა“ (ბასილი) (5, 260).

სულიერი ფრთა კი იზრდება საღმრთო წიგნებით: „შეაყავ გონება^o შენი წურთასა საღმრთოსა წიგნისასა სანატრელო და ფრთოვან პყავ სლვად სიმაღლედ მიმართ ზეცისა, რომელსა დაემკვიდრე (ბასილი) (5, 263).

ზოსიმე ათონელის მიხედვით, მხოლოდ „გონიერი ფრთით“ მომაღლებულები ხდებიან ლმერთის ხილვის ლირსი: „აჭხედ სიმაღლედ, მამაო, გონიერითა ფრთითა.. და ლირს იქმენ შენ ხილვად დიდებისა დმრთისასა“ (5, 223).

საღმრთო სიყვარულია სულის ფრთების მზრდელი: „სურვილითა საღმრთოთა ფრთოვან იქმენ შენ“ (იოანე მტბევარი) (5, 123).

სულიწმინდისგან ხელდასმულთ ხელეწიფებათ სათნოების ეტლით ზეცაში დამკვიდრება: „ფრთოვან იქმენ სულისა მიერ წმიდისა, სათნოებისა ეტლითა აღიწიე სიმაღლედ“ (იოანე მტბევარი).

სულიერი ფრთით ზეცაში გაღწევაა ეზრას მიზანი: „ფრთოვან პყავ სლვაი სიმაღლედ მიმართ ზეცისა“.

ოკულტისტების, იოგების აზრით, ნებისმიერ ფიზიკურ სხეულს აქვს ჰაეროვანი (ეფირული) ორეული, რომელიც თვით სიცოცხლის კვიტენსენციაა და შეუძლია იცხოვროს ფიზიკური სხეულის სიკვდილის შემდეგაც (6, 175).

დიდი ფიზიკური ძალის მქონე ადამიანებს ხელეწიფებათ ჩვეულებრივ პირობებში გამოყონ ასტრალური ორეული და იფრინონ განუსაზღვრელ დროსა და სივრცეში.

ასტრალური მოგზაურობისას სული ეთიშება სხეულს, იქმნება უწონობისა და სიმსუბუქის შეგრძნება და ეს მდგომარეობა გაიგივებულია ფრენასთან, რაც საჭიროებს უდიდეს ძალისხმევას, „უმაღლესი წესრიგის გამბედაობას“, ასტრალური სივრცის საოცარი სანახაობის წინაშე შიშის დაძლევას, სიმშვიდეს, საკუთარი ძალების რწმენას (7, 231).

ე. რერიხის მიხედვით, წმინდა, დისციპლინირებულ სულს ლოცვით, დუმილით ეზრდება ფრთები. „ფრენა ბრწყინვალე სიტყვაა... ფრთები იზრდება ფიქრით, გაფრინდით ფიქრით“ (8, 32, 51, 59, 88, 98, 102, 523).

სულიერ ზეცაში შეღწევა შესაძლებელია მხოლოდ სულიერი სხეულით. სულიერ ზეცაში მოგზაურობენ არა ხელოვნური თანამგზავრებითა და კოსმოსური ხომალდებით, არამედ სულიერი თვითმფრინავებით, კრიშნას ცნობიერებით, სულიერი განვითარებით (9, II, 140).

„ჰაერით მოგზაურობა იწვევს აზრის, გონებისმიერი განწყობის შეცვლას, პროგრესირებას მენტალურ უნართა განვითარების გზით“ (10, 304).

დანტე გვარწმუნებდა: „სულს განწმენდილს და გასპერაკებულს ცადამაღლების სრული ნიჭი მოევლინება“ (11, 137).

სულის ფრთებით მიეახლა დანტე ზეცის სავანეს: „მიწაზე რა გვაქვს იარაღი ჩვენ იმნაირი, ასასვლელი ან სიმაღლიდან ჩამოსასვლელი, თავის სისწრაფით შევადარო ჩემს ფრთებს მაშინდელს“ (11, 366).

დანტე ამბობს: „მიწაზე ამაოდ ვეძიებდი საზრდოს სულისა“. ხოლო ცის მოხილვამ გააფართოვა მისი შემეცნების საზღვრები: „ჩემი სული ცაში გადიდებული, აღტყინდა უცებ, გადალახა სამანნი თვისი“ (11, 369). „გამახვილდა აქ თვალი ჩემი და შემეცნებაც მკვიდრ ნიადაგს დამყარებია“ (11, 293).

პლატონი აცხადებდა: „პოეტი მსუბუქი, ფრთაშესხმული და წმინდა არსია“ (12, 30-31).

„ძალუმი ფრთებით“ ყოფიერებაზე ამაღლების, წმინდა სინათლის ზვრების, აისის ჭალების მიგნების ბედნიერებაზე გვესაუბრება შ. ბოდლერი ლექსში „ამაღლება“ (13, 18).

„უხილავ ლანდების ფრთების ქროლვაზე“ წერდა რუსი პოეტი ვლ. სოლოვიოვი, ფრთების გაზრდაზე, „ფრთების საგსავით ზეამაღლებაზე“ ამახვილებდა ყურადღებას ალ. ბლოკი (14, 149, 196).

ჰაერში აწეული და ღრუბლებში შეჩერებული დიდი ჩინელი ფილოსოფოსი, მოძღვარი ლაო-ძი ჩინეთის იმპერატორთან შეხვედრისას თავის საოცარ შესაძლებლობას ავლენდა, ჰაერით გარემოსილი, მიწაზე ფეხს არ აკარებდა და დასცინოდა ხელმწიფის კვერთხს, სიმდიდრეს და გამოჩინებას.

მისი ცად, ქარსა და ღრუბლებში ამაღლების, იონის ციური სხივებით შემოსვის უნარი ანცვიფრებდა კონფუცის (15, 45, 49).

გალაკტიონის დღიური გვამცნობს „პირველ გაფრენაზე“, ათ „სადაზვერვო გაფრენაზე“ და ერცნებება არანაკლებ ასი „დაზვერვა“, როგორც „სიმბიმეთა შემსუბუქების იდეა“ (16, 376).

საბედისწერო ბედის ბილიკების გადამლახავი პოეტი იყო „გაფრენილი პირველი წყების ნიაგარებით“ („ეფემერა“) (17, 302).

„მისტიური ფრთით“ შედის პოეტი უცხო სიმსუბუქეში, რათა იქ იპოვოს ნუგეში, თანაგრძნობა, ღვთაებრივი ნათელი („ნუგეში“) (17, 302).

მისთვის პოეზია არ არსებობს „ფრენის“ უნარის გარეშე: „იგი – მხოლოდ გაფრენა არის შემოქმედება“ („კოსმიური ორკესტრი“) (18, 199).

„მემნეტო მორის“ ავტორის ფრთები იზრდებოდა რწმენით, ლოცვით, მარხვით, პოეზიით.

ტერენტი გრანელის პოეზიაში ხშირია „ლოცვა გაფრენისთვის“, „ბარათი ცისკენ“, „ექსკურსია ცისკენ“ (20, 55, 86, 130).

ფრენენ წმინდანები, რომელთაც ხორცი არ ამძიმებთ, რომელთაც დაამარცხეს თავიანთ თავში ხრწნადი და წარმავალი.

ეს პოეტები ფრენდნენ, ხედავდნენ სულს, აჩრდილს, უსაზღვროებას, ისინი ფლობდნენ ფრენის, უსხეულო არსებობის საიდუმლოებას.

გოდერძი ჩოხელის პერსონაჟებს ფრენის უნარი მომადლებული პქონდათ ზეცისაგან, მარხვით, ლოცვით, წმინდა სულით მაღლდებოდნენ, მაგრამ როცა მიწიერებას გადაუხადეს ხარკი, დამძიმდნენ და ცადაწევა გეღარ შესძლეს. ასეთი

ბედი ეწიათ მფრინავ ბერებს მთაში, როცა მათ მეგობრის პატარძალს ნდომის თვალით შეხედეს.

სასწაულებრივია და ძველი ქართული მწერლობის სასწაულების გახსენებას იწვევს თევდორეს მამის „აყვავება“. თანდილა სიწმინდით იყო განთქმული, თუმცა მასაც მოუწყეს ეშმაკებმა გამოცდა, დაემუქრნენ კიდეც, მაგრამ ვერ გადაიბირეს.

თევდორე ყვება, სიკედილის წინ „მამაჩემს ჯერ შუბლზე ამოუვიდა ყვავილები, მერე მთელ სხეულზე იწყო ამოსვლა.“

„ყვაოდა მამაჩემი.

„ყვავილები ამოსდიოდა ყველგან: თავზე, ხელებზე, ზურგზე, ყველგან, ყველგან.

ყვაოდა და თან სურნელება იდგა ენით აუწერელი.

„ბოლოს სულ ყვავილების თაიგულად იქცა.

კაცის ფორმა ჰქონდა ამ თაიგულს და სკამზე იჯდა.

...თაიგულის სურნელება ათრობდა მიდამოს.

მერე წამოუბერა ზენა ქარმა და პაერში მიმოაბნია ეს თაიგული.

ჩვენს წინ დარჩა ცარიელი სამფეხა სკამი.

მიფრინავდნენ ყვავილები ჰაერში და მაშინ აზრად არავის მოსვლია, ერთი მაინც აგვედო სამახსოვროდ.

ქროდა ზენა ქარი“ (2, 64-65).

ამით, ამ სასწაულით ინება ღმერთმა თანდილას განსაკუთრებულობის წარმოჩენა.

ყვავილშემოსილი თანდილა იგივე ღმერთშემოსილია, რადგან ყვავილი ქრისტეს სახელია (21, 121).

თვით თევდორეს მკერდზე მიმაგრებული ჰქონდა სასწაულებრივი ყვავილი, რომელიც დიდი ხნის შემდეგ იპოვა სახლის ჭერხოზე.

სასწაულს პგავს ამაღლება დღეს, დონატას პაერში აწევის დღეს, მლოცველების ყვავილთა თეორ საბურველში გახვევა (თეორი ხომ სინათლის, სიწმინდის, სილამაზის, უმანკოების, წმინდანობის, სიხარულის, ბედნიერების,

ნათლისდების ფერია. ქართული მონათვლაც ქრისტიანობას უკავშირდება (22, 133).

ჯერ პატიმი გაბნეული, მერე ხატის მოედანზე დაფენილი ყვავილები სულთმოფენობის განცდას ბადებს, თითქოს მადლიერი ღმერთი მორწმუნებს სურნელოვანი ყვავილის სახით მოევლინა (2, 50).

„აბოს წამებაში“ აბო ლაპარაკობს ქრისტიანობის სურნელზე: „ქრისტე... აღმაგსე მე განუქარგებელითა მით სურნელებითა სარწმუნოებისა და სიყვარულისა შენისაითა“ (23, 462).

საოცარია ლუკას სიზმრისეული ხილვა, როცა „დედამიწა იწვის, ტორტმანებს. ღმერთი ადამიანებს ემუქრება გამანადგურებელი ცეცხლით, კვამლი ღრუბელივით ფარავს ყველაფერს, მისი სუნით იხრჩობა ხალხი. აღარაფერი ჩანს. მერე ელვა გაკრთება ცაზე, გაიფანტება კვამლი, გამოჩნდება ღმერთი, რომელიც თავისკენ უხმობს უცოდველო. ფრენით წავიდა ხალხის ნაწილი, მიწაზე დარჩენილები მგლებივით შეჟყმულდნენ ღმერთს შველას. მიწას ისევ ცეცხლი ეკიდა და დედამიწა ტორტმანებდა.

ლუკა ღმერთს ეხვეწებოდა შველას.

— წადი, იპოვე ყვავილი, მხარზე ხელი დაადო ღმერთმა და ლუკა ძირს დაეშვა“ (2, 170-171).

ცოდვილები ვერ ფრენენ, მათთვის ყვავილი ისევ საპოვნელია.

ამ სასიცოცხლო ყვავილის პოვნა ღმერთმა ლუკას დააკისრა.

„ლუკა თავის სოფელში ბალლებთან თამაშობდა. უცებ ატყდა მტრედების ფრთხიალი და ზარების რეკვა. სოფლის თავს მდგარი ეკლესიიდან გამოვიდა თეთრი მოხუცი, რომელსაც თმა-წვერი თეთრი ჰქონდა, ტანსაცმელიც თეთრი ეცვა, თეთრი ყავარჯენი ეჭირა და სოფლისკენ მიდიოდა. ბალლები გაიქცნენ. ლუკა შებორკილივით იყო, ვერ გაიქცა.

მოვიდა ის კაცი, თოვლივით ქათქათა ხელი თავზე დაადო, ლუკას ხელში ყვავილი მისცა და უთხრა:

— ნუ გეშინია, შვილო, მიდი, გაიქცი.

ლუკა გაიქცა“ (3, 19).

თეთრი მოხუცი ღმერთია, ყვავილი რწმენა, რომელიც ლუკამ უნდა გადაარჩინოს.

ეს ხილვა ლუკას რწმენაში გაძლიერების სტიმულია.

„თეთრი მოხუცის“ სახით ევლინება ვაჟა-ფშაველას ღმერთი „მოჩვენებაში“.

საბოლოოდ, თევდორე ლუკას უტოვებს მამისგან მიღებულ ყვავილს, რომელიც „ღივდებოდა“.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ყვავილი ღმერთის სიმბოლოა, რწმენა კი ძალა, ეს სასწაული რეალურია.

სასწაულებრივია მგლების ხროვაში თევდორეს შემოვარდნა უიარადოდ. მისი „იარაღია“ ყვავილი, რომლის დანახვაზეც მგლები ფრთხებოდნენ და გარბოდნენ.

ქართულ სასულიერო პროზაში აღწერილია წმინდანების მიერ მგლის მოშინაურების ამბავი. უდაბნოს სახედრებს მგელი შეეჩია. ეს ამბავი მამა შიოს აცნობეს. მან ილოცა და ბრძანა, მგელი სახედრების მწყემსი გამხდარიყო. მისი ბრძანება აღსრულდა, მგელი ერთგული ძალლივით მწყემსავდა სახედრებს (24, 93).

გოდერძი ჩოხელის წიგნში ჯარჯიმ მოიშინაურა მგელი, თავისთან აწვენდა, მაგრამ მგელი ღამე წყალში სველდებოდა, ცეცხლს აქრობდა და გამზრდელს შესაჭმელად ეტანებოდა. როცა მის ვერაგობაში დარწმუნდა, ჯარჯიმ მოკლა მგელი. ამჯერად ვერ შედგა სასწაული.

ვერ „განიკურნა“ მგელი ბოროტებისგან. გვახსენდება იერემია წინასწარმეტყველი: „უკურნებელია შენი ჭრილობა, სამემკვიდროა შენი წყლული შენი დიდი დანაშაულის გამო“ (იერემია, 30, 12, 15 ... 154).

ბიბლიაში მრავალგზის გვხვდება სასწაული და მხოლოდ უფლის ნებით: „მე, უფალი, ვამდაბლებ აღზევებულ ხეს და აღვაზევებ დამდაბლებულ ხეს, ვახმობ ნედლ ხეს და ვაყვავებ გამხმარ ხეს, მე, უფალმა, ვთქვი და აღვასრულებ“ (ეზეკიელი, 17, 24) (20,208).

ასეთი სასწაულებია მოსეს და მისი ერის გასვლა მეწამულ ზღვაში (გამ. 14, 6-39, 15, 22).

სასწაულია ისრაელიანებისთვის ზეციური პურით დაპურება, კლდიდან კვერთხის დაკვრით წყლის გამოდენა, მოწამლული წყლის განწმენდა ძელით (გამ. 15, 22-25, 16, 1-31, 19, 1-13).

აარონის კვერთხის განედლება თორმეტ კვერთხს შორის, რადგან აარონი ღვთის რჩეული იყო, აყვავდა, გაიფურჩქნა ყვავილი და დამწიფდა ნუში (რიცხვი, 17, 23) (29, 53).

მეფე დარიოსის მიერ ლომის ხახაში ჩაგდებული დანიელის უვნებლად გადარჩენა, ხოლო მისი დამბეზღებლების დაგლეჯა მტაცებლებისგან (დანიელ წინასწარმეტყველი, თ. 6, 17-25) (26, 254).

5 ათასი კაცისთვის ხუთი პურის და ასი თევზის დარიგება (მათე, 14, 16-21).

ქრისტეს ფერისცვალება (მათე, 17, 1-13) (25, 36-37).

ორი ბრმის განკურნება (მათე, 21, 29-34) (25, 44).

ბრმებისა და კოჭლების განკურნება (მათე, 21, 12-15) (25, 245).

ლელვის ხის გახმობა (მათე, 21, 19-22) (25, 46).

უპირველესი სასწაულმოქმედი ღმერთია: „გადიდებ, უფალო, მთელი გულით, ვილაპარაკებ შენს სასწაულებს“ (დავითი, ფსალმუნი, 9, 2) (25, 529).

„პურთხეულ არს უფალი ღმერთი, ღმერთი ისრაელისა, მარტოდ მოქმედი სასწაულისა“ (ფს. 72, 18) (25, 598).

„ღმერთო... ლაპარაკობენ შენს საოცრებებს (ფს. 75, 2) (25, 601).

„შენა ხარ ღმერთი სასწაულის მოქმედი (ფს. 76, 15) (25, 603).

„მისი საქმენი დაიგიწყეს და სასწაული, მათ რომ მიუვლინა“ (ფს. 78, 11) (25, 604).

„დიდი და სასწაულმოქმედი ხარ, შენა ხარ ღმერთი ერთადერთი“ (ფს. 86, 10) (25, 615).

„მოიმოქმედე ჩემს მიმართ სასწაული სასიკეთო“ (ფს. 86, 17) (25, 616).

„უგალობეთ მას, ილაპარაკეთ ყველა მის სასწაულზე“ (ფს. 105, 2) (25, 635).

„გაიხსენეთ მისი ნამოქმედარი სასწაულები, საოცრებანი და სამართალნი მისთა ბაგეთა“ (ფს. 105, 5) (25, 635).

„გადიდებ, უფალო, მთელი გულით, ვილაპარაკებ შენს სასწაულებს“ (ფს. 9,2) (25, 529).

„და შეაშინებს კიდეთა მცხოვრებთ შენი სასწაულები“ (ფს. 65, 9) (25, 588).

„ჯეჯილივით აყვავდება თქვენი ძვლები და უფლის ხელი გამოეცხადება მის მოყვარულთ, რისხვა კი მტრებს“, ნათქვამია ესაიას წინასწარმეტყველებაში (ესაია, 66, 14) (26, 123).

ეზეკიელის წინასწარმეტყველებაში გახვდება ძვლებით სავსე გელი, რომელთაც წინასწარმეტყველის პირით ეუბნება ღმერთი:

„ასე ეუბნება უფალი ღმერთი ამ ძვლებს: აჰა, შევიყვან თქვენში სულს და გაცოცხლდებით (37, 51) (26, 55).

მოგცემთ ძარღვებს, შეგასხამთ ხორცს და კანს გადაგაკრავთ, სულს ჩაგიდგამთ და გაცოცხლდებით, მაშინ მიხვდებით, რომ უფალი ვარ.

...და, აჰა, შეიქმნა ზანზარი და ძვალი ძვალს მიუდგა.

დავინახე: აპა, ძარღვები ჩნდება მათზე, ესხმებათ ხორცი და ზედ კანი ეკვრით, მაგრამ სული არ არის მათში.

მითხრა: უწინასწარმეტყველე სულს... და უთხარი სულს, ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: ოთხივე ქარიდან მოდი, სულო, და შთაუბერე ამ დახოცილებს, რათა გაცოცხლდნენ.

და მეც ვიწინასწარმეტყველე, როგორც მიბრძანა და შევიდა მათში სული და გაცოცხლდნენ; და წამოდგა ფეხზე დიდმალი ლაშქარი.

მითხრა: ადამის ძევ! მთელი ისრაელის სახლია ეს ძვლები. აჰა, ამბობენ, გამხმარია ჩვენი ძვლები და წარხოცილია ჩვენი სახო, გამწყდარნი ვართო.

ამიტომ უწინასწარმეტყველე მათ, ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: აჰა, გავხსნი თქვენს საფლავებს და ამოგიყვანთ თქვენი საფლავიდან, ჩემო ერო და მოგიყვანთ ისრაელის მიწაზე.

ჩაგიდგამთ ჩემს სულს და გაგაცოცხლებთ“ (ეზეკიელი, 37, 4-12) (26,, 230)

სამოთხისკენ მიმავალი დანტე საუბრობს „სასწაულის გაასკეცებაზე“ (11, 348).

ვაჟა-ფშაველა „ბახტრიონში“ მკვდრად სახავდა „უგრძნობთ“: „მკვდარია უგრძნობი კაცი, უსაზარლესი მკვდარზედა, მით რომე სიცოცხლე უდგას სალის ყინულის ტახტზედა, არ ებრალება მოყვასი, მის წინ რომ აცვან ჯვარზედა, საზარელია დადგომა უგრძნობელობის გზაზედა („ბახტრიონი“) (27, 157).

მკვდართ, შეთეთრებულ სამარხებს უწოდებს ქრისტე ფარისევლებს: „ვაი თქვენ, მწიგნობარნო და ფარისეველნო, თვალომაქცნო, შეთეთრებულ სამარხებს რომ ჰგავხართ, რომლებიც გარედან ლამაზები ჩანან, შიგნით კი საგსენია მკვდართა ძვლებითა და ყოველგვარი უწმინდურებით.

ასევე თქვენც გარეგნულად მართლები ჩანსართ ადამიანთა წინაშე, შიგნით კი თვალომაქცობთ და ურჯულოებით ხართ აღვხილნი.

“იქედნეთა ნაბომო გველებო, როგორ გაქქცევით გვენის სასჯელს?“ (მათე, 23, 27, 28, 33) (25, 52).

გიორგი მერჩულეს „გრიგოლ სანთელის ცხოვრების“ სასწაულებია გრიგოლის მკერდზე ჯვრის სახით აელვარებული, „განმანათლებელი“ ცეცხლი, ამ წმინდანისთვის ნათლის სვეტის გამოცხადება, ბოროტი ცქირისთვის ხელის გახმობა, ქრისტიანობისთვის წამებული აბოს ძვლებზე ვარსკვლავისა და ნათლის სვეტის გაბრწყინება (23, 597, 632-633, 446-467).

ვაჟა-ფშაველას „საშობაო ამბავში“ (თქმულება) დარიბი გეგენა ახალ წელს სტუმარს უკანასკნელ ლუკმას უწილადებს, გაათბობს, თბილად მოასვენებს, მისი ოჯახი კი მშიერი რჩება. გეგენას სიკეთე ნაყოფს გამოიღებს, მისი სახლის პედლები სუდარივით გათეთრდება, საიდანდაც საჭმელ-სასმელი გაჩნდება. მათი სტუმარი თვით უფალი იყო, რომელმაც კეთილ ოჯახს მადლი მიაგო (28, 272-276).

პოემაში „კაცი მართალი“ შრომისმოყვარე, უპატიოსნესი კაცი ცილისწამების შედეგად (მას ძნის დაწვას აბრალებს ერთი ცრუ) სახრჩობელაზე აღმოჩნდება, მაგრამ ხდება სასწაული: მიწიდან ამოსული ყანა ბოძად შეუდგება მართლის სხეულს, კისრიდან თავს მოხსნის, სახრჩობელის ბოძებს დაამხობს და უსამართლო განაჩენის ამსრულებელნი უსულოდ ეცემიან მიწაზე. კაცოა

უსამართლო სამსჯავროს დაუპირისპირდა ღმერთის სწორი განაჩენი. უფლის სასწაულმა დააფიქრა ხალხი (29, 262).

ვაჟას „ოცნებაში“ პოეტის სატრფოს (სულიშმინდას) ახრჩობენ, მაგრამ სამჯერ გაწყდება თოკი და იგი გადარჩება (29, 76).

პოემა „უიღბლო იღბლიანში“ საბრალოს სამარის მადლი იცავს ცხოველ-მცენარეს, მის საფლავს სასწაულმოქმედი ძალა აქვს, ცოდვილი ძმების სამარე კი ჭაობად არის ქცეული (29, 244-249).

ვაჟა-ფშაველასა და გოდერძი ჩოხელის ღმერთი „თეთრი მოხუცია“.

ეპითეტი „მოხუცი ხაზს უსვამს მის უწინარესობას, იგი არსებობდა დროისა და სივრცის უწინარესად“ (30, 83).

დანტეს ღმერთი არის „წმინდა მამა“ (11, 241), გოეთესი – „მოხუცი მამა, წმინდა მამა“ („კაცობრიობის საზღვარი“) (31, 89).

გალაკტიონთან უზენაესს ეწოდება „მოხუცი მამა“ (17, 402).

ამ უზენაესი „მამის“ სასწაულებით ხდება განწმენდა, ამაღლება, სამოთხეში დამკვიდრება დანტეს, ვაჟას, გალაკტიონის, გოდერძი ჩოხელის ნაწარმოებებში.

ლიტერატურა

1. კარლ გუსტავ იუნგი, ანალიზური ფსიქოლოგიის საფუძვლები, სიზმრები, თბ., 1995.
2. გოდერძი ჩოხელი, „მგელი“, თბ., 1988.
3. გოდერძი ჩოხელი, „თევზის წერილები“, თბ., 1989.
4. არეოპაგიტული კრებული, თბ., 1981.
5. ჩვენი საუნჯე, ტ. 1, თბ., 1961.
6. «□□□□□ მიმღების მიმღები», □,, 1990.
7. □□□□□, «□□□□□ მიმღების მიმღები io □□», □□□□□, 1913.
8. □□□□□ მიმღები, □□□□□ მიმღები, □□□□□, □□□□□I, □□□□□, 1990.
9. შრიმადბჰაგავატამი, II სიმღერა, თბ., 1992.
10. ზვიად გამსახურდია, „გეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება, თბ., 1991.
11. დანტე, „დვთაებრივი კომედია“, თარგმანი პ. გამსახურდიასი, თბ., 1941.
12. პლატონი, „დიდი პიპია, მენონი“, თბ., 1979.
13. შარლ ბოდლერი, „ბოროტების ყვავილები“, ფრანგულიდან თარგმანი დავით აკრიანმა, თბ., 1992.
14. „მარადი დღე“, თბ., 1980.
15. ლაო-ძი, დაო დე ძინი, თბ., 1983.
16. ვახტანგ ჯავახაძე, „უცნობი“, თბ., 1991.
17. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ., 1977.
18. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. I, თბ., 1993.
19. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. II, თბ., 1994.
20. ტერენტი გრანელი, ორ ტომად, ტ. I, თბ., 1991.
21. ტიტე მოსია, საღვთო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1995.
22. ვიქტორ ნოზაძე, „გეფხისტყაოსნის“ ფერთამეტყველება“, ბუენოს აირესი, 1953.
23. ქართული მწერლობა, 30 ტომად, ტ. I, თბ., 1987.
24. წმინდანთა ცხოვრება, თბ., 1991.
25. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკოლმი, 1992.

26. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ., 1990.
27. ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, თბ., 1986
28. ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, ტ. 4, თბ., 1986
29. ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, ტ. 5, თბ., 1986
30. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მინისტრი, თბილისი, 1991.
31. გოეთე, „ლირიკა“, თარგმანი ვ. ბერუბანის, თბ., 1967.

ბიბლიური პარადიგმები (ყვავილი, ცეცხლი, პური, წყალი)

გოდერძი ჩოხელი თავის სათქმელს, ბიბლიური წინასწარმეტყველებით, იგავებით, სიმბოლო-ალეგორიებით, მეტაფორული ხერხებით ამჟღავნებს.

მწერლის აზროვება ქრისტიანულ მრწამს, ქრისტიანულ იდეებს ეფუძნება.

რწმენა-ურწმუნოების დაპირისპირებაში იგი ყოველთვის რწმენის ადეპტად გვევლინება. მას განგების მისია აქვს შესასრულებელი, რაც რომანის სასწაულებრივ ხილვებში მჟღავნდება.

ბუნებრივია, რომანში უხვად გვხვდება ბიბლიური, ქრისტიანული პარადიგმები.

მწერლის მეტაფორულ აზროვნებაში უპირველესი ადგილი უკავია ყვავილის სახეს. ჩვეულებრივ ლოგიკაში არ ჯდება ის, რასაც რომანის გმირი თევდორე (რწმენის დამცველ-შემნახველი) ლუკას უამბობს. მისი „უცნაურობა“ უპირველესად, იმაში გამოიხატება, რომ მას მკერდზე ლამაზი, მაგრამ დამჭკნარი ყვავილი აქვს ძაფით მიმაგრებული, რაც ლუკას, თავდაპირველად, თევდორეს პოეტური ბუნების გამოვლინება ჰქონია. ეს განსაკუთრებული შემთხვევა ანალოგიური ფაქტების ასოციაციებს იწვევს.

ტიციან ტაბიძეს გულისჯიბებში მიხაკი ჰქონდა, რაც გახდა სტიმული იმისა, რომ პოეტზე შექმნილი მოგონებების წიგნს „წითელი მიხაკის ლეგენდა“ დარქმეოდა.

ტერენტი გრანელი „დამჭკნარი იით“ გვეცხადებოდა: „ასე მწვავს ბედი, მე ასე ვარ და მიკავია დამჭკნარი ია“ („რა ვქნა, ცხოვრებას ვერ ვუდალატე“) (1, 20).

ერთგან წიგნით, გულით და ქრიზანთემით მიდის პოეტი („ღმერთო სიცოცხლის ქალაქი მაღირსე“) (1, 99).

„შორეულ ყვავილებში“ სულის მშვენების, რწმენის სიმბოლოა ცისფერი ყვავილი: „დამე ასე გაივლის და ლანდები სურვილთა და ცისფერი ყვავილი გამოჩნდება სულიდან“ (2, 53).

სხვაგან პოეტი თავის მონოლოგს „უდაბნოს ყვავილთან“ აღავლენდა („მონოლოგი უდაბნოს ყვავილებზე“) (2, 67).

მინიატურაში „სარკე“ – მიმოზა არის „ცისფერი ზეცის ყვავილი“ (2, 76).

„სიცოცხლის გრადაციაში“ „შორეული ყვავილები ხმებიან“ (2, 101).

ძალზე შთამბეჭდავია ტერენტი გრანელის ფრაზა: „გრიგალი არხევს სულის მიმოზებს“ („არ ვესალმები ამგვარ დროებას“) (2, 102).

ვფიქრობთ, „მემენტო მორის“ ავტორის შორეული ყვავილები, ცისფერი ყვავილი, უდაბნოს ყვავილი, ცისფერი ზეცის ყვავილი, სულის მიმოზები, სულის ცისფერი ყვავილი ქრისტიანული დმერთის სიმბოლური სახელებია (3, 17-18).

ზოგჯერ უფალი და ყვავილი იდენტურია ტ. გრანელთან: „თითქოს ვიყავი ათი წლის ბავშვი, თითქოს ვიყავი ბავშვი უფალი, ხელში მეკავა თეთრი ყვავილი და მივდიოდი თავისუფალი („სიზმარი“) (4, 132).

გოდერძი ჩოხელის თევდორეს და თანდილას ყვავილი რწმენის, სულიერი თავისუფლების პირობაა და საოცრად ეხმიანება ბავშვი უფალის – ტერენტი გრანელის თავისუფლების მომნიჭებელი თეთრი ყვავილის... ქრისტეს სახელს.

გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში ვარდ-ყვავილთა მთელი ციკლი გვხვდება (5, 138-185).

„არტისტული ყვავილების“ ავტორის „მუდმივი, დაუჭკნობი ყვავილები, ახალი ყვავილები, ცეცხლის ვარდები, თოვლის ვარდები, სიცოცხლის ვარდი, ყვავილები სიცოცხლის დილის, ტრფობის წმინდა ყვავილი, უდაბნოს ყვავილი, ყვავილი ცათა მდელოსი“ რელიგიური შინაარსის სახეებია (6, 48-49).

დალეწილი, გათელილი, გაუჩინარებული, გაყინული ყვავილთა სახეებით მიგვანიშნებს გალაკტიონითავისი თანამედროვე დმერთისუარმყოფელი ეპოქის ტრაგედიას, ამასთან, პოეტის მიზანია, სიბნელეში, ქარის კივილში (ურწმუნო ეპოქაში) გადაარჩინოს ვარდები – ქრისტიანული იდეალი, შექმნას „ლოდინის სიმღერა“ („ლოცვისათვის“) (7, 185).

პოეტების მეფემ შექმნა „გადარჩენის პიმინი“, უმღერა „გადარჩენის ბედნიერებას“.

გალაკტიონის „პორტრეტის“ ლირიკური გმირი ვარდებისა და ზამბახების სურნელით არის გაბრუებული. იგი გულზე ვარდს იბნევს: „თქვენ არაერთხელ ისმენდით ამბავს ვაჟისას, დამით რომ არ იძინებს, სიგიჟით ყნოსავს ვარდებსა

და ზამბახს, სადაც დამე და გველი სისინებს. ო, ვინ გაიგებს გაუგებარ დარდს, ფიქრებს მდელვარეს, ვნებას მდუღარეს! ვაჟი, რომელიც გულზე იბნევს ვარდს, ანდა მუსიკას ისმენს მწუხარეს“ (7, 222).

პერმან პესეს „ტრამალის მგელში“ გოეთეს მკერდზე ვარსკვლავი აქვს მიბნეული, რომელიც შემდეგ ყვავილთა თაიგულად იქცევა (8, 223).

გოდერძი ჩოხელის თევდორე გაოცებულ ლუკას ასეთ განმარტებას აძლევს: „რო არა ეს ყვავილი, შეიძლება შენ ვედარ დამჯდარიყავ დღეს ჩემთან“.

„ჩემი ჩამომავლობა ამ ყვავილიდან მოდის... ეგ ყვავილი მამაჩემია“ (9, 61).

წამიერად თევდორე გიურ ეჩვენა ლუკას, გაახსენდა, მგლების რკალში უიარალოდ რომ შემოვარდა, ამას ვინ იზამდა, გიუის მეტიო, გაიფიქრა.

თევდორე აგრძელებდა თხრობას. „ყვავილი როგორ შეიძლება მამაჩემი იყვეს, არა? ასეა და რა ვქნათ, ასე მოისურვა წმინდა სამებამ...“.

„...ეს ყვავილი მამაჩემი იყო, მამაჩემს თანდილა ერქვა, მთელ ხეობაში სიწმინდით და ღვთისნიერებით იყო განთქმული. ბალახებში რომ გაივლიდა, წუხდა, ყვავილებზე ფეხი მედგმევინება და ითელებიანო. გაუჩერდებოდა ჭიანჭველას, მოუხდიდა ქუდს, შესწირავდა ღმერთს მადლობას და იტყოდა: „რა ძალა აქვს ამ დალოცვილ სამებას, ხედავ, რა შეაძლებინა ჭიანჭველას, რამოდენა ტვირთი მიაქვს შვილების სიყვარულით“ (9, 62-63).

თანდილას სიბერეში თურმე ეშმაკი შეუჩნდა, ჩვენ მოგვაბარე სული, თორებ ჯავრს შენ შვილზე ვიყრითო. თანდილამ ჯოხით გააგდო წყეული.

გაზაფხულის ერთ დღეს თანდილა სამფეხა სკამზე იჯდა აივანზე. თევდორე ყვებოდა: „მამაჩემს ჯერ შუბლზე ამოუვიდა ყვავილები, მერე მთელ სხეულზე იწყო ამოსვლა.

„ყვაოდა მამაჩემი.

„ყვავილები ამოსდიოდა ყველგან: თავზე, ხელებზე, ზურგზე, ყველგან, ყველგან...

ყვაოდა და თან სურნელება იდგა ენით აუწერელი.

„ბოლოს სულ ყვავილების თაიგულად იქცა.

კაცის ფორმა პქონდა ამ თაიგულს და სკამზე იჯდა .

თაიგულის სურნელება ათრობდა მიდამოს.

მერე წამოუბერა ზენა ქარმა და პაერში მიმოაბნია ეს თაიგული.

ჩვენს წინ დარჩა ცარიელი სამფეხა სკამი.

მიფრინავდნენ ყვავილები ჰაერში და მაშინ აზრად არავის მოსვლია, ერთი მაინც აგვედო სამახსოვროდ.

„ქროდა ზენა ქარი...“ (9, 63).

მერე თევდორეს მამა ეცხადებოდა სიზმარში და ეუბნებოდა: „მოძებნე ყვავილი, მოძებნე ყვავილიო“. მეც ვეძებდი, მაგრამ ვერსად მივაგენი მამაჩემის ყვავილს, ყვება თევდორე (9, 64-65).

ყვავილის თაიგულად ქცეული თანდილას სახე ვაჟა-ფშაველას მიერ ყვავილთა კონად ქცეულ სამოთხის სახეს გვაგონებს ლექსიდან: „ვნახე სამოთხე ამ ქვეყნად“: „ვნახე სამოთხე ამქვეყნად, რა ტურფა სანახავია; ხელთ მეპყრა კონად შეკრული ჩემის სამშობლოს სახია“ (10, 289).

თევდორე ნადირობის ჟინმა აიტანა. ყვავილი დაავიწყა ნადირთა ხოცვამ, შებრალება დაკარგა.

ნადირობის დროს იგი დორაისხევის ადგილის დედად მოვლენილმა ეშმაკმა გადაიბირა, მგლად მონათლეს, რადგან ეშინოდათ, რომ „კაცმა შეიძლება ყვავილი იპოვოს“ (10, 68).

წითელ მგლად გარდასახული თევდორე ნადირთა ხროვის ავკაცობის თანაზიარი გახდა.

მაგრამ მამის სული არ ასვენებდა, ყვავილის პოვნისკენ მოუწოდებდა და ბევრი წანწალის მერე თევდორემ იპოვა ყვავილი თავისივე სახლის სხვენზე, ამის შემდეგ მან მგლებთან გაწყვიტა კავშირი და ისევ კაცად მოიქცა.

შემთხვევითი როდია თევდორეს ცდუნება მას შემდეგ, როცა მამა გარდაიცვალა და მარტო დარჩა.

გალაკტიონი ამბობს: „ნაზი, წარმტაცი და მიმზიდველი ახალი მხარე, ახალი ბინა, ჯადოთა მხარე შიშველ-ტიტველი მე მარტოობამ შემამჩნევინა“ („ბინდის სტუმარი“) (11, 130).

გოდერძი ჩოხელის ყვავილს ქრისტიანული ღმერთის სიმბოლოდ მიიჩნევს მკვლევარი ნანა კუცია და სრულიად მართებულად, რადგან „ორიგენეს განმარტებით, იქსო მაცხოვარია ველის ყვავილი“ (12, 146).

„ქართულ სასულიერო მწერლობაში (და არა მარტო ქართულში) ყვავილი გამოყენებულია მაცხოვრის და ღვთისმშობლის სიმბოლოდ... „ყვავილი

აბრაამისა,,.. ყვავილი გულისა“ (დ. გურამიშვილი) ყვავილი საღმრთოი, „ყვავილი ცხოვრებისა“ ქრისტეზე მიგვანიშნებს“ (13, 105-107).

ქრისტეს ყვავილად გააზრების მაგალითებს ვპოულობთ სოლომონის „ქებათა ქებაში“: „ ყვავილები დაჩნდნენ მიწის პირზე, უამი გალობისა მოიწია და ხმა გვრიტისა ისმის ჩვენს მხარეში (11,1) (14,15).

გოდერძი ჩოხელის რომანში თევდორეს ყვავილით ფრთხებიან მგლები. ეს ადამიანი ქრისტიანობის მცველია. მას ამას ავალებს მამის აჩრდილი.

თვით ლუკას სიზმარში, ბავშვობისას ეცხადება უფალი მოხუცის სახით მაშინ, როცა იგი საავადმყოფოში იგებს, რომ მავანი ქრისტიანების სისხლს სვამს და მას მოკვლის შიშით აკანკალებს: „ესიზმრა. თავის სოფელში იყო და ბანებზე ბავშვებთან თამაშობდა. უცებ ატყდა მტრედების ფრთხიალი და ზარების რეკვა. სოფლის თავს მდგარი ეკლესიიდან გამოვიდა თეთრი მოხუცი, რომელსაც თმა-წვერიც თეთრი ჰქონდა, ტანსაცმელიც თეთრი ეცვა, თეთრი ყავარჯენი ეჭირა და სოფლისკენ მიდიოდა. ბალდები გაიქცნენ. ლუკასაც უნდოდა გაქცევა, მაგრამ შემორკილი ჰქონდა ფეხები.

მოვიდა ის კაცი, თოვლივით ქათქათა ხელი დაადო, ლუკას ხელში ყვავილი მისცა და უთხრა: „ნუ გეშინია, შვილო, მიდი, გაიქცი“.

ლუკა გაიქცა“ (9, 19).

ყავარჯნიანი მოხუცის სახით გამოეცხადა ვაჟა-ფშაველას ღმერთი „მოჩვენებაში“, მას შემდეგ, რაც ქაჯი, ალი წამლავდა მის სულს და სიკვდილის გარდუვალობის შხამს აწვეთებდა.

„...თეთრწვერა, მშვენიერის, დინჯის, ტკბილი სახის მოხუცი წამოგვადგა თავზე: ხელში ყავარჯენი ეჭირა... ჩემი დაუპატიუებელი სტუმარი... ამ მოხუცის დანახვაზედ ტალახივით მიწას გაეკრა, გადნა, მოიბუზა, ენა გაუხმა...“

„სულპურხეულმა მოხუცმა“ შეუძახა ბოროტ სულს და მოუქნია ყავარჯენი. იგი... გაქრა თავგადაგლეჯილი“.

სათხო მოხუცმა გაამხნევა ეშმაკისგან შეშინებული ყმაწვილი და მარადიული, დაუგალი მზე დაანახა.

სიხარულისაგან ატანილი მოთხოვნის გმირი მუხლს იყრიდა (15, 404-407).

ის მოხუციც და დაუგალი მზეც ღმერთის გამოცხადებას მოასწავებდა.

გალაკტიონ ტაბიძემ „მამულში“ საინფორმაციო კელში „მოხუცი მამის“ სახით დალანდა უზენაესი (7, 402).

თანდილასთვის, ვაჟას მოთხოვბის პერსონაჟისთვის, გალაკტიონის ლექსის ლირიკური გმირისთვის ეს გამოცხადება რწმენაში გაძლიერების იმპულსი იყო.

გოდერძი ჩოხელის ლუკას ხელმწეორედ მაშინ ეცხადება დაკარგული ღმერთი, როცა დედამიწას ცეცხლი უკიდია და გაქრობა ელის. სასოწარკვეთილი ხალხის თვალშის გაკრთება ელვა, გაიფანტება კვამლი და გამოჩნდება ღმერთი, რომელიც თავისთან უხმობს უცოდველთ. წმინდა სულის ადამიანები ფრენით მიეახლებიან ღმერთს, ცოდვითდამძიმებულნი მიწაზე რჩებიან და ყმუილით ითხოვენ შველას. ლუკა ღმერთს ეხვეწება ცოდვილთა შევრდომებას.

ლუკას ესმის ღმერთის ხმა: – „წადი, იპოვე ყვავილი! – მხარზე ხელი დაადო ღმერთმა და ლუკა ძირს დაეშვა“ (9, 170-171).

როგორც ლუკას, ისე თანდილას და თევდორეს (რომელმაც ერთ მომენტში ბოროტეულთა გზით იარა) ღმერთმა დააკისრა უკეთურთა მოქცევა, რწმენის მსახურება და იგი, როგორც პავლედ ქცეული სავლე, ამ დავალებას წარმატებით ასრულებს.

შემთხვევითი როდია, რომ თევდორე სიკვდილის წინ ყვავილს ლუკას უტოვებს, როგორც სიბნელის ძეებთან ბრძოლის იარაღს.

ლუკა შინაგან ძალას იგრძნობს, როცა ლეგოს (თევდორეს ძმას) ყვავილს გამოართმევს.

ლუკას ყვავილმა, მისმა სუნმა გააქცია ცოფიანი მგლები, როგორც სოფელში, ისე ქალაქში. ამ ყვავილით იკურნებოდნენ ცოფმორეულები.

„სოფელი აავსო ყვავილის სურნელმა. ხელში ყვავილი ეჭირა და მის დანახვაზე გარბოდნენ მგლები. გარბოდნენ სოფლებიდან, გარბოდნენ ქალაქიდან. მგლებისგან იცლებოდა ქვეყანა“.

„ლუკას ხელში თანდათან დივდებოდა ეს ყვავილი და მთელ დედამიწას თავისი სურნელებით ავსებდა. დორაისხეველებსაც მისწვდენოდათ ეს სურნელება და კანკალებდნენ, თრთოდნენ, შეშინებულნი დიდ საგონებელში იყვნენ ჩაცვივნულნი“ (9, 239).

რომანში აღწერილი ცეცხლმოკიდებული დედამიწა უღმერთო სამყაროა, რომელიც განადგურებისგან რწმენამ უნდა გადაარჩინოს.

“მგელში” არაერთგზის ნახსენები სამფეხა სკამი, სამფეხა ხონჩა, სამების გახსენებას იწვევს, რადგან სამება იცავს ადამიანებს ეშმაკეულთა ცდუნებისაგან.

ბიბლიაში მინიშნებულია ცოდვით დაცემული დედამიწის აფეთქება-დაცემა: „...გაიდება ცათა სარკმელები და მიწის საფუძვლები შეზანზარდება. ფეთქებით აფეთქდა დედამიწა, ნაფოტებად დანაფოტდა დედამიწა, დამხობით დაემხო დედამიწა, მთვრალივით ბარბაცებს დედამიწა და ხუხულასავით ირყევა. ცოდვამ დაამძიმა, დაეცა და ვედარ დგება“ (ესაია, 24, 16-20) (14, 90).

მიწის გარდაცვალებაზე, ბუნებრიობის, ჰარმონიის, რწმენის, ყოველივე პროგრესულის დაკარგვის შიშით სხვებიც ჰგოდებდნენ: „მიწა მკვდარია და შესრულდნენ ყველა დროები. შენ უკანასკნელ დაიკვნეს ავი ხროტინით... დაეხეტები, როგორც კუბო და ძორი შავი“...

წარსულს ჩაბარდა „წმინდა ხანა“, დვთაების რწმენა, აჯანყდა უწმინდური, დადგა „სისხლიანი, ულმობელი ჟამი“. საზოგადოების ხვედრია „საპყრობილენი, ჯალათები, კოცონი, ფერფლი. საროსკიპონი, საგიუვთი, რკინა და ბოლი. ომი... კეთროვანება, დვინო, ჭირი... ურდო მშიერთა, აღარ არიან ბუდა, ქრისტე, წამებულნი, მათი წიგნები,... ლუგრის ვენერა! გეგელის ჭკუა! სონეტები, ტომები, სადაც დიდ გონების დადუმდა ძგერა... „სიკვდილი მოდის! შენ არ ყოფილხარ! შენ იყავი მხოლოდ ჩვენება!.. შენი ბედია აღსასრული და განსვენება!“ (17, 417-420).

გალაკტიონი მზის გარდაცვალებას აღწერდა და ქრისტეს უარყოფის ტრაგედიას გვიჩვენებდა („მას გახელილი დარჩა თვალები“) (7, 131).

გოდერძის ჩოხელის საწუხარი უდიდესი წინაპრების სატკივართა ტოლფასია.

მის რომანში ფიგურირებს არა მარტო შემწველი, გამანადგურებელი ცეცხლი, არამედ „განმანათლებელი ცეცხლი“, როგორც ღმერთის სიმბოლო.

საღმრთო ცეცხლის სახე არსებობას ბიბლიიდან იწყებს. მოსეს მიერ ქარიბის მთაზე ხილული მაყვალს წაკიდებული განმანათლებელი ცეცხლი ქრისტეს მეტაფორად, ხოლო მაყვალი მარიამის სიმბოლოდ დაისახა.

ქრისტეს ეწოდება „საცნაური ცეცხლი“ (ი. მინჩხი), „უნივორ ცეცხლი“, „უსხეულო ცეცხლი“ (მიქაელის პიმნები), „მიუახლებელი ცეცხლი“ („ძლისპირი“).

ძგელი აღთქმის წიგნებში ქრისტე მოიხსენიება, როგორც ცეცხლი: „რამეთუ აჭა, უფალი, ვითარცა ცეცხლი, მოიწიოს“ (ესაია, 66, 16).

„ხოლო სახე დიდებისა უფლისაი, ვითარცა ცეცხლი მოტყინარე თხემსა ზედა მთისა წინაშე ძეთა ისრაელისათა“ (გამოსვლ. 24, 17) (15, 92, 99, 102).

გრიგოლ ხანძთელს, როგორც წმინდანს, ეხვია არა „ცეცხლი შემწველი“, არამედ „სული ღმრთისაი განმანათლებელი“ ცეცხლის სახით. მისი სხეულიდან გამოდიოდა „ნათლისა ისარნი ჯვარის სახედ“ (გიორგი მერჩულე, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“) (18, 597).

გოდერძი ჩოხელის რომანში ჯარჯიმ მგლის ლეკვი გაზარდა იმის იმედით, რომ შემდეგ ცხვარს მგლებისაგან დაიცავდა მოშინაურებული მგელი, ცხოველი დამე ჯარჯის ფეხებთან იწვა ხოლმე. გამოღვიძებულმა ჯარჯიმ დაინახა, რომ მგელი ცეცხლთან სველ ბეწვს იბერტყავდა და იმით ცეცხლის ჩაქრობას ცდილობდა. გაიქცეოდა, მდინარეში ჩაწვებოდა და ისევ მოირბენდა ცეცხლის ჩასაქრობად.

ჯარჯი ლოდებში ჩაიმალა. მგელმა ცეცხლი ჩააქრო, მერე ნაბდის ღრღნა დაიწყო, ეგონა, იქ იწვა ჯარჯი.

ცეცხლს იმიტომ აქრობდა მგელი, რომ ცეცხლის ეშინოდა. ნაბადს იმიტომ წაეტანა, რომ იქ ეგულებოდა ჯარჯი.

როცა ჯარჯი მიხვდა, რომ გაცუდდა მისი ცდა და ვერ აქცია თავისი გაზრდილი მგელი მოყვარედ, ხანჯლით წამოეპარა და მოკლა.

ამ კონტექსტში ცეცხლი და მგელი ღმერთის და ეშმაკის ალეგორიაა, ერთმანეთთან აბსოლუტურად შეუთავსებელი.

მგელს ისევე ეშინია ცეცხლის, როგორც ყვავილის. თევდორეს თვალში კი „მადლითცხებული ნაპერწკალია“ (9, 108).

ცეცხლის შემნახველი ისევე, როგორც ყვავილისა, შეიძლება იყოს მხოლოდ დვთისნიერი და არა ეშმაკეული, რადგან ცეცხლი საღვთო სახელია (13, 121).

ლუკასთან თევდორე ადღეგრძელებს პურს და წყალს, მის გამჩენს. ამ შემთხვევაში პური რელიგიური მნიშვნელობისაა.

უდაბნოში ხეტიალისას მოსეს და ისრაელის ხალხს დმერთმა გადმოუგლინა მანანა, ზეციური პური, რაც ქრისტეს გულისხმობს.

„პური ზეცისა, პური ცხოვრებისა“ ქრისტეს სიმბოლური სახეა (13, 80-81).

წინასწარმეტყველთა წიგნებში, სახარებაში, იოანეს გამოცხადებაში ქრისტეს სახელად ფიგუგირებს წყალი, წყარო, წყალი ცხოველი, უკვდავების წყარო (14, 99, 116-177).

გალაკტიონის პოეზიაში ქრისტეს სიმბოლური სახელებია წყარო, იმედის და რწმენის წყარო, სიცოცხლის წყარო, შადრევნები, აუზი (6, 44-45).

უფალი არის ცოცხალი წყაროსთვალი (იერემია, 2, 13) (15, 126), „ცხოველ-მყოფელი წყაროსთვალი“ (იერემია, 17, 13) (14, 144).

ასევე, ღმერთი მოიხსენიება, როგორც ხსნის წყარო: „სიხარულით ამოხაპავთ წყალს ხსნის წყაროებიდან“ (ესაია, 12, 3) (14, 82).

მარტოობით გზადაბნეული თევდორე ეშმაკის სამიზნე გახდა, მაგრამ მგლად ყოფნამ სიხარული კი არა, სინდისის ქეჯნა, სინანული, არასრულფასოვნების განცდა მოუტანა. ჯანსაღი გენეტიკური კოდები, მამის გამოცხადება და უფლის ნება იყო თევდორეს კვლავ კაცად მოქცევის იმპულსი.

მთელ რომანს გასდევს ყვავილის სილამაზის, მისი განუმეორებელი სურნელის განცდა, ყვავილის პოვნით გამოწვეული ბედნიერება. ამიერიდან თევდორეს თვალში „მადლითცხებული ნაპერწკალი“ იყო (10, 108).

თუ ყვავილის თაიგულად ქცეული თანდილას სუნი ათრობდა არემარეს, მგლადქცეულ თევდორეს გამუდმებით ლეშის სუნი აძრწუნებს და კაცად მოქცევის შემდეგაც არ სტოვებს ეს მტანჯველი შეგრძნება: „ვიტანჯები ხალხთან, ჩემი ჩანადინარი საქმეები მახსენდება, თან სიკვდილის მოახლოვებას ვგრძნობ. წინასწარ ვიცი, თუ სოფელში ვინმე უნდა მოკვდეს, მძორის სუნი მცემს, სიკვდილისათვის გადადებულ კაცში კი ადრევე იგრძნობა ეს სუნი... მგლებიდან ზოგი თვითონაც გრძნობს ამას, მე... მგლობიდან გამომყვა ეს ალდო“ (9, 81-82).

პერმან ჰესეს „ტრამალის მგელში“ „ცხოვრებას ამაზრზენი გემო დაჲკრავდა... გულისრევის, ყველაფერს დამპალი ჟამგასულობის, ხრწნადი ნახევრის-ნახევრული, კმაყოფილების მყრალი სუნი ასდიოდა“ (9, 200).

მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებში“ თეიმურაზი ხევისთავი ცხოვრების ტრაგიკულობას განიცდის აყროლებული ძაღლის ლეშად, რომელიც მას კისერზე ჰკიდია (16, 85).

დროის სურნელს გრძნობდა გალაკტიონ ტაბიძე: „დრო რამდენნაირს ატარებს სურნელს“...

„ერთი სუნთქვით დედამიწას გადავაფრქვევ ნაზ ყვავილებს“ („უხილავი“) (7, 66) – ეს შემოქმედის ყოვლისშემძლეობაში დარწმუნებული პოეტების მეფის განაცხადია.

წერილში „პოეზიის დღე“ გალაკტიონი პოეზიას ადარებს ეგზოტიკურ ყვავილს, რომელიც მარადისობაში ფანტაზის თავის სურნელს და იგი მახასიათებელია ქართული სულის: „ჩვენი პოეზია გვაგონებს ეგზოტიკურ ყვავილს, რომელიც იფეთქებს მიწის გულიდან და გაშლისთანავე მარადისობაში ფანტაზის თავის სურნელებას... – ეს სულია ქართული“ (11, 243).

გაქრისტიანებული არაბი აბო თბილელი, რომელიც მენელსაცხებლე იყო, ამიერიდან უარს ამბობს მიწიერ ნელსაცხებელზე და ქრისტიანული სარწმუნოების სურნელით ტკბება: „ამიერიდან არღარა ვიცხო განქარვებადი ესე მწირობისა ჩემისა ზეთი, არამედ ვითარცა „ქებასა შინა ქებათასა“ ბრძენმან სოლომონ მასწავა მე: „სურნელებასა ნელსაცხებელთა შენთასა ვრბიოდი“, ქრისტე, რომელმან აღმავსე მე განუქარვებელითა მით სურნელებითა სარწმუნოებისა და სიყვარულითა შენისაითა“ (18, 462).

ქრისტეს მოძღვრების კეთილსურნელებაზე საუბრობს პავლე მოციქული: „მადლობა ღმერთს, რომელიც ყოველთვის ძლევას გვანიჭებს ქრისტეში და ჩვენი ხელით ავრცელებს თავისი შემეცნების კეთილსურნელებას ყოველ ადგილას“.

ვინაიდან ქრისტეს კეთილსურნელება ვართ დვთისთვის დახსნილთა შორისაც და დაღუპულთა შორისა“ (პავლე მოციქული, II, კორინთელთა, 3, 14-15).

გოდერძი ჩოხელის ყვავილი რელიგიური შინაარსისაა. იგი ქრისტიანული რწმენის სურნელს გამოსცემს.

გალაკტიონისთვის, ტერენტი გრანელისთვის, გოდერძი ჩოხელისთვის ჭეშმარიტი მწერლობა მხოლოდ რელიგიური, ყვავილის კეთილსურნელებით გამორჩეული უნდა იყოს, ასე რომ ყვავილით, მისი სურნელით დაინტერესება სრულიადაც არ არის შემთხვევითი.

ლიტერატურა

1. გერენტი გრანელი ორ ტომად, ტ. I, თბ., 1991.
2. გერენტი გრანელი, ასი ლექსი, თბ., 2005.
3. ლუარა სორდია, „უცნობი სფინქსი“, სოხუმი, 1992.
4. „ცისფერი სიშორე“, თბ., 1998.
5. ლუარა სორდია, „გალაკტიონ ტაბიძის სიმბოლიკა“, თბ., 1993.
6. ლუარა სორდია, „გალაკტიონ ტაბიძის ფილოსოფიური ლირიკის საკითხები“, თბ., 1996.
7. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ., 1977.
8. ჰერმან ჰესე, „დამსვენებელი, ტრამალის მგელი“, თბ., 1985.
9. გოდერძი ჩოხელი, „მგელი“, თბ., 1988.
10. ქართული პოეზიის ანთოლოგია, თბ., 1980.
11. გალაკტიონ ტაბიძე, თხულებანი ხუთ ტომად, ტ. I, თბ., 1993.
12. ნანა კუცია, „ლიტერატურული წერილები“, თბ., 2005.
13. ტიტე მოსია, „საღვთო სახისმეტყველება“, ზუგდიდი, 1995.
14. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ., 1990.
15. ვაჟა-ფშაველა, თხულებანი, თბ., 1986.
16. მიხეილ ჯავახიშვილი, „ჯაყოს ხიზნები“, თბ., 1957.
17. ქიულ ლაფორგი, „სამგლოვიარო მარში დედამიწის გარდაცვალებაზე“, თარგმანი ვ. გაფრინდაშვილის. ვ. გაფრინდაშვილი, ლექსები, პოემა, თარგმანები, ესეები, წერილები, მწერლის არქივიდან, თბ., 1990
18. ქართული მწერლობა 30 ტომად, ტ. I, თბ., 1987.

თავი III

გადარჩენა

თანდილა ორთოდოქსი ქრისტიანი იყო, სულიშმინდის მადლით ცხებული, მან საბოლოოდ განდევნა თავისი არსებითად ეშმაკეული, ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან და შვილს ანდერძად დაუტოვა ყვავილის პოვნა. მაგრამ თევდორემ მოადუნა სიფხიზლე, ნადირობის ჟინს აყოლილმა მომენტალურად დაივიწყა მამის შეგონება და როცა ადგილის დედის სახელით გამოცხადებულმა ეშმაკმა გამოცდა მოუწყო, იგი მისი გავლენის ქვეშ მოექცა და სულის წაწყმედის გზაზე შედგა.

როგორც ჩანს, ყოველ ადამიანს უდგება ცხოვრებაში ურთულესი გამოცდის მომენტები და მისი სამუდამო მომავალი დამოკიდებულია იმაზე, რამდენად გაუძლებს იგი ცდუნებას, რამდენად წარმატებულად ჩააბარებს ზნეობრივ გამოცდას.

ქრისტე უდაბნოში იცდებოდა ეშმაკისგან, მაგრამ მან განდევნა მაცდური და შესძახა: „განვედ, სატანავ, ვინაიდან დაწერილია: უფალს, შენს ღმერთს ეცი თაყვანი და მხოლოდ მას ემსახურე“ (მათე, 4, 10) (1, 6).

„ზოგჯერ ღმერთი დაუშვებს, მართალი მორწმუნეც განსაცდელს ეწიოს, ჭირი და უბედურება დაითმინოს, რათა სხვა ადამიანებს დაანახვოს მორწმუნებში დაფარული სათხოება“ („იოანე დამასკელი, მართლმადიდებელი სარწმუნოების ზუსტი გადმოცემა“) (2, 32).

ყოველგვარი განსაცდელი გამიზნულია იმისთვის, რომ ადამიანმა მიაგნოს უმაღლეს სათხოებას – ღმერთს და გამოსავალსაც ის შთააგონებს.

პავლე მოციქულმა მისწერა კორინთელებს: „არ შეგმოხვევიათ განსაცდელი, გარდა ადამიანურისა და სარწმუნო ღმერთი... არ დაუშვებს, რომ თქვენს შესაძლებლობაზე მეტად გამოიცადოთ, არამედ განსაცდელში გამოსავალსაც მოგცემთ, რომ შესძლოთ გადატანა (პავლე მოციქული, I კორინთელთა, ო. 10-13) (1, 370).

ბიბლიაში ჭირთათმენის, რწმენის ერთგულების მაგალითია
მრავალტანჯული იობი, რომელიც ღმერთის შეწევნით, ისევ იბრუნებს
ბედნიერებას.

„ნეტარია განსაცდელის გადამტანი კაცი, რადგან, რაკი გამოიცდება,
მიიღებს სიცოცხლის გვირგვინს, რომელიც აღუთქვა ღმერთმა თავის
მოყვარულო“, გვარწმუნებს იაკობ მოციქული (იაკობი, 1, 12) (1, 295).

გაუაფშაველას შემოქმედებაში ხშირად არის საუბარი წუთისოფლის
განსაცდელზე, მიწიერ საფრთხეებთან გამკლავებაზე: „საასპარეზოდ მოგვცა
უფალმა წუთისოფელი ადამიანთა. გამოცდა არის ჩვენთვის სიცოცხლე, ასე
უცვნია კაცთა ჭკვიანთა... მადლსა მადლადა ვინ ჩაგვითვლიდა, რომ არ
გვაძლევდეს პირად ზიანსა“ („საასპარეზოდ მოგვცა სოფელმა“) (3, 190).

გაუას საახალწლოდ სულიწმინდის ნიღბით მოევლინა სატრფო, რომელიც
მრუდე გზით სვლას ურჩევდა, სამაგიეროდ კი ჰპირდებოდა სიმდიდრეს,
უზრუნველ ცხოვრებას. პოეტმა შეიცნო მაცდური, არ მიიღო მისი პირობა,
გაუძლო გამოცდას. მას ამხევებდა ზეციური ხმა: „მხედ იყავ!“ განწმენდილ
პოეტზე სულიწმინდის მადლი გადმოვიდა, მისი სახლი ანგელოზებით აივხო,
ესმოდა ზეციური გალობა, რაც უფლის წყალობის მაჩვენებელია („ჩემი ახალი
მექვლე“) (4, 284).

გაუა ევედრებოდა სულიწმინდას: „პო, სულო წმინდა, მომეც შეძლება,
განსაცდელისას პირში მარცხენდე“ („დაჩაგრული მესტვირე“) (5, 321).

ქრისტეს ჯვრის, დვთაებრივი ნათლის უგულვებელმყოფელ თევდორეს ხედვა
დაებინდა, სულის თვალი წაერთვა და ცოდვის, უგრძნობლობის გზას დაადგა,
მაგრამ დვთისნიერი მამის გამოცხადებებმა, ჯანსაღმა გენეტიკურმა კოდებმა
სინანულის საშუალებით ისევ აპოვნინა დაკარგული მადლი.

„წინდი განმღრთოებისა ჩვენში ქრისტესმიერი ნათლისდებაა, ხოლო
მთავარი მამოძრავებელი ქრისტიანული ცხოვრებისა – სინანული“ (ეფრემ ასური,
„სიტყვა საყოველთაო აღდგომაზე, სინანულსა და სიყვარულზე და უფლისა
ჩვენისა იქსო ქრისტეს მეორედ მოსვლაზე“) (6, 134).

თევდორემ მოინანია და ისევ ეზიარა მადლს.

„მადლი არის მოხილვა ჩვენი უფლისა მიერ და მისი ერთობა ჩვენთან“ (თეოფანე დაყუდებული) (7, 319).

მადლი ადიქმება, როგორც დმერთოან მიახლოება: „უმადლესი ფასეულობა, უკანასკნელი მიზანი და ადამიანის ცხოვრების აზრი ქრისტიანისთვის დმერთოან მიახლოებაა, რასაც რელიგიის ენაზე მადლი ეწოდება... მარადიული ფასეულობის თვალსაზრისით, სრულყოფილი მადლი – ეს არის მხოლოდ ღმერთი და ერთადერთი რეალური ბოროტება – ცოდვა, დმერთისგან დაშორება.“ (8, 138).

კეთილი საქმის საზღაური არის მადლი, მადლი მორწმუნებე გადმოდის „ქრისტე იესოს მიერ საქმეთათვის კეთილთა“ (პავლე მოციქული, ეფესელთა მიმართ, 2, 10).

გადარჩენის საწინდარია „მადლი, რწმენა“, რაც „ღვთის ნიჭია“ (პავლე მოციქული, ეფესელთა მიმართ, 2, 8) (1, 415).

ხოლო „ყოველი, ვინც უფლის სახელს მოუხმობს, გადარჩება“ (პავლე მოციქული, რომაელთა, 10, 3) (1, 344).

თევდორეს მამამ უანდერძა ყოფილიყო ყვავილის (რწმენის) მცველი, ლუკას ხილვები ემსახურება მის განმტკიცებას რწმენაში, იმ ღვთიური მისიის შეცნობას, რომ იყოს უფლის მებაღე, მევენახე, როგორც დანტეს დომენიკო: „....დომენიკო,... მებაღეა იგი ქრისტესი, ქვეყნად მოსული უფლის ბაღის მოსაშენებლად“ (9, 324).

ლუკას ჯერ კიდევ ბავშვობაში გამოეცხადა ღმერთი: „ლუკა თავის სოფელში ბავშვებთან თამაშობდა. უცებ ატყდა მტრედების ფრთხიალი და ზარების რეკვა. სოფლის თავს მდგარი ეკლესიიდან გამოვიდა თეთრი მოხუცი, რომელსაც თმა-წვერიც თეთრი ჰქონდა, ტანისამოსიც თეთრი ეცვა, თეთრი ყავარჯენი ეჭირა და სოფლისაკენ მიდიოდა. ბალდები გაიქცნენ, ლუკასაც უნდოდა გაქცევა, მაგრამ შებორკილი ჰქონდა ფეხები“.

„მოვიდა თეთრი მოხუცი, თოვლივით ქათქათა ხელი თავზე დაადო, ლუკას ხელში ყვავილი მისცა და უთხრა: – ნუ გეშინია, შვილო, გაიქაცი.

ლუკა გაიქცა“ (10, 19).

ლუკა ღმერთისმგმობელ ეპოქაში ცხოვრობდა, მგლებით იყო ქვეყანა გავსებული, მათ წრე ჰქონდათ შეკრული. ყმაწვილი იტანჯებოდა, უნდოდა ჯადოსნური წრე გაერდვია, მაგრამ მშველელი არ ჩანდა.

ლუკას სიზმრებში ისევ ეუწყებოდა დედამიწის განსაცდელი და ხსნის გზაც ისახებოდა.

ცნობილია, რომ სიზმრები, ხილვები ანტიციპაციასაც უკავშირდება. იუნგი საუბრობს „წინასწარმეტყველურ სიზმრებზე“, სიზმრის პროსპექტულ ფუნქციაზე, რაც გულისხმობს „მომავალი ცნობიერი წარმატებების არაცნობიერ ანტიციპაციას“... „სიზმარი შეიძლება მოიცავდეს გარდაუგალ ჭეშმარიტებას, ფილოსოფიურ დებულებას, ილუზიებს, ველურ ფანტაზიებს, მოგონებას, გეგმებას, ანტიციპაციას, ტელეპატიურ ხილვებს“ (11, 26, 255, 293, 305).

ლუკას სიზმარი ანტიციპაციას უკავშირდება.

ლუკას აძრწუნებდა ცეცხლწაკიდებული, ატორტმანებული დედამიწის ხილვა, ფარასავით აბლავლებული ხალხი, რომელიც ცეცხლიდან გამოსვლას ცდილობდა, მაგრამ ვერ ახერხებდა. ირგვლივ ისმოდა ტირილის, კვნესა-მუდარის ხმები, კვამლის სუნით იხრჩობდა ხალხი, ჩამობნელდა და არაფერი ჩანდა. მერე დაიქუხა, ცის მთელ სიგრძეზე ელვა გამოჩნდა. კვამლი გაიფანტა, და იხილეს დაკარგული ღმერთი, რომელიც უცოდვილებს მოუწოდებდა თავისკენ. ხალხი ფრენით წავიდა მაღლა, ბეკრძა კი ვერ შესძლო ასვლა. ვინც მიწაზე დარჩა, მგელივით ყმუოდა. ცეცხლწაკიდებული მიწა ისევ ტორტმანებდა. ლუკა ღმერთს ეხვეწებოდა ცოდვით დამძიმებული, აყმუვლებული ხალხის შველას.

„—წადი, იპოვე ყვავილი! მხარზე ხელი დაადო ღმერთმა და ლუკა ძირს დაეშვა“ (10, 170-171).

ასეთი მრავლისმეტყველია ლუკას ხილვა, რაც მას ეხმარება საკუთარი მაღალი მისიის შეცნობაში და გადარჩენის წინაგრძნობასაც წარმოადგენს. ეს გამოცხადება ისეთი სტიმულისმომცემი იყო ლუკასთვის, როგორც იაკობისთვის ღმერთის მოვლინება და მასთან შერკინება.

სიზმარში ხილული თეთრი მოხუცი მხოლოდ ღმერთი შეიძლება იყოს.

ღმერთს „ჭეშმარიტ მამას“, „დიად მამფალს“ უწოდებდა დანტე (9, 206, 361).

გოეთე „წმინდა, მოხუც მამას“ („კაცობრიობის საზღვარი“, 12, 89).

ვაჟა-ფშაველას „თეთრი მოხუცის“ სახით ეცხადებოდა დმერთი („მოჩვენება“, „სიზმარი ამირანისა“) (15, 174).

ასევე გალაკტიონ ტაბიძის „მამულის“ საინფორმაციო გელში „ხელში სასხლავით“ გაელვებული „მოხუცი მამა“, მამაღმერთია (13, 402).

დმერთის „მოხუცად“ მოხსენიება ნიშნავს, რომ იგი არსებობდა ყოველთა უწინარეს, მარადიულად, კაცობრიობის გაჩენამდე (14, 83).

„სიზმარში დმერთის გამოცხადება რჩეულთა ხვედრია, რათა მოგცეთ ჩვენი უფლის იქსო ქრისტეს დმერთმა, დიდების მამამ, სიბრძნისა და გამოცხადების სული მის შესაცნობად.

და გაანათლოს ოქვენი გონების თვალები, რათა იცოდეთ, რა არის მისი მოწოდების იმედი და როგორია მისი დიდებული მემკვიდრეობის სიმდიდრე წმიდათათვის“ (პავლე მოციქული, ეფესელთა, 2, 17, 18) (1, 414).

თევდორე სამების შეწევნით დაუბრუნდა მამის წმინდა გზას, ამიტომაც ეიმედება სამსახოვანი დმერთი: „რო არა წმინდა სამება, სამგლეთად მოიქცეოდა ქვეყანა... სადაც სული წმინდა ფეხს ვერ იკიდებს, იქ იმ წუთში მგელი ჩასახლდება, მერე ეს მგელი ცდილობს, საზოგადოებას კრავად მოაჩვენოს თავი...“

„სულიწმინდას რყვნიან, ხვრეპენ და იმით არიან ეგენი მაძღარნი... ეე, დაილოცოს წმინდა სამებავ, შენი განგება და ნუ მოაქცევ ქვეყანას სამგლეთად“ (10, 64).

ვაჟა-ფშაველას „ოცნებაში“ სულიწმინდას ახრჩობენ, მაგრამ სამჯერ გაწყდება თოკი და უზენაესი იდეალი გადარჩება (16, 72-79).

ლექსში „სიზმარი სასოწარკვეთილისა“ ვაჟას სულიწმინდა მკურნალად მოევლინა, მკვდარი გააცოცხლა, უძლეველი ძალა შთაბერა (15, 68-79).

პოეტი ევედრებოდა დმერთს: „არ დამეკარგოს გულიდან მე შენი სახსოვარია. ცხვრადვე მამყოფე ისევა, ოდონდ ამშორდეს მგელობა“ (15, 142).

„დაჩაგრულ მესტვირეში“ ნუგეშის ცემას, განსაცდელის გაძლების ძალას შესთხოვდა სულიწმინდას ვაჟა (5, 321).

„სულიწმინდა არის ქმედითი სიქველე და ბრწყინვალება მადლისა“ (ათანასე დიდი, „ეპისტოლე არიანელთა წინააღმდეგ, უგვიპტისა და ლიბიის მხარის ეპისკოპოსთა მიმართ“) (6, 76).

კონსტანტინე გამსახურდია აღიარებდა: „უდმერთოდ ჩვენ არარა ვართ. უდმერთოდ ჩვენი სული გაბზარულ ზარივით უდრიალებს.“

„სიყვარული ხიდია დმერთსა და კაცს შორის“.

„რა ძლიერია და რა საცოდავი უდმერთო ადამიანი“ („დიონისოს დიმილი“) (17, 505, 506, 476).

გრიგოლ რობაქიძემ თვითონ იწვნია უდმერთო, ტოტალიტარული სახელმწიფოს სუსტი და დაასკვნა: „სამყაროს განლმერთება შინაგანი სამყაროს განადგურების ტოლფასია“ („ჩაკლული სული“) (18, 26).

ასახავდა რა დმერთისუარმყოფელი ეპოქის ტრაგედიებს, გალაკტიონი გადარჩენას წინასწარმეტყველებდა და ქარში ვარდების გადარჩენით („ლოცვის-თვის“), „ალვის ხის გადარჩენით“ („ალვის ხის გადარჩენა“), „მუხების გადარჩენით“ („მუხები“) მიგვანიშნებდა ქრისტიანული რწმენის გადარჩენას, რაც ადამიანის სულის ამაღლების ტოლფასი იყო (13, 85, 108, 414).

გადარჩენის საწინდარია დმერთის გზით სიარული, ქრისტიანული რწმენა: „იესომ ღვთის მადლით იგემა სიკვდილი ყველას გულისთვის, ვინაიდან... ეს არის მათი გადარჩენის წინამდგვარი“ (პავლე მოციქული, ებრაელთა, 3, 10) (1, 470).

პოეტების მეფემ უმღერა „გადარჩენის ბედნიერებას“, ამიტომ შექმნა მარადიული “გადარჩენის პიმნი”.

გალაკტიონის შემოქმედება უპირველესად ხსნის გზების ძიება იყო და ეს გზა, ხსნა, იმედი დმერთზე გადიოდა: „გულში ჟღერს რახანია სიყვარულის სიმღერა, როგორც ერთდაერთი ხსნა, ერთადერთი იმედი“ („ილიას მოტივი“) (19, 429).

„სიყვარული დმერთია“ (იოანე, I, 4,8), ხოლო სიყვარულის სიმღერა, რელიგიური პოეზია, რწმენის, სულიერების გადამრჩენი.

უფლის ძიება ყველა დროის ყველაზე აქტუალური პრობლემაა: „ეძებეთ უფალი, როცა შეიძლება მისი პოვნა; მოუხმეთ მას, როცა ახლოს არის იგი“, მოგვიწოდებს ბიბლია (ესაია წინასწარმეტყველი, 55, 6) (20, 115).

„გეძებდი უველგან, მახრჩობდა სიცხე და მწვავდა ჯვარის მხურვალე რკინა“, გვაზიარებს ამ ძიების სირთულეს გალაკტიონი („პორტრეტი“) (13, 222).

ღმერთის სურვილი ადამიანის მოქცევაა და არა მისი განადგურება: „განა მსურს ბოროტეულის სიკვდილი, ამბობს უფალი ღმერთი, არამედ რომ მოქცეს თავისი გზებიდან და იცოცხლოს“ (ეზეკიელი, 18, 23) (20, 209).

გოდერძი ჩოხელის თევდორემ ტრფობის მთაზე ასამაღლებლად ურთულესი გზა განვლო, რადგან „მხოლოდ შინაგანი ბრძოლითა და კრიზისებით მიდის კაცი ქრისტე მაცხოვრის ნათლისკენ, მხოლოდ დიდ უარყოფას ძალუმს მიიყვანოს იგი დიდ აღსარებამდე, მხოლოდ სიბნელით გამოწვეული ტანჯვა გადააქცევს სინათლის წყურვილს ჭეშმარიტ სინათლედ“, ამბობს მერაბ კოსტავა („გამოსათხოვარი“) (21, 194).

ანა კალანდაძე ეჭვების დამარცხებით მიგნებულ სინათლეს, უფსკრულებიდან ამაღლებას აღიარებდა ჭეშმარიტ გამარჯვებად: „სინათლისაკენ ეჭვებით, უფსკრულებიდან ძლევამდე“ („იგრიხებიან ელვანი“) (22, 319).

ნიცშე ამტკიცებდა: „მხოლოდ მას აქვს ვაჟკაცობა, ვინ იცის შიში, მაგრამ ძლევს მას. ვინ უფსკრულსა ხედავს, ხოლო ამაყად“.

„ვინც უფსკრულსა ხედავს, ხოლო არწივის თვალით – ვინც უფსკრულს ჩაავლებს არწივის ბრჭყალებს: მას აქვს ვაჟკაცობა“ (23, 214).

ათეისტურ საბჭოეთში ყველაზე მწვავედ იდგა ადამიანის გადარჩენის პრობლემა, რადგან ტოტალიტარული სახელმწიფოს იდეოლოგებმა რწმენას დაუპირისპირეს მარქსიზმ-ლენინიზმის ალტერნატივა, ამას მოჰყვა დიდი პიროვნული და საზოგადოებრივი ტრაგედიები, მაგრამ, საბოლოოდ, გამოფხიზლდა საზოგადოება და სწორი არჩევანი გააკეთა: საბჭოეთში „რელიგიის მარქსიზმ-ლენინიზმით შეცვლა არ მოხერხდა, მაგრამ ამ ცდამ დაარღვია და დაშალა ზნეობრივი მცნებანი, რითაც კაცობრიობა ცხოვრობდა და ადამიანი ამორალიზმის მონა გახდა. უზნეო ადამიანმა უარყო ღმერთი, როგორც ზნესრულობის იდეალი, რითაც მორალური კატასტროფისთვის გასწირა პიროვნებაც და საზოგადოებაც“ (აკაკი ბაქრაძე, „მწერლობის მოთვინიერება“) (24, 130).

მაგრამ ხალხი მიხვდა, რომ „ხსნა შესაძლებელია მხოლოდ ღვთაებრივი იდეალის აღდგენით“...

„რამდენად ღრმად ჩაიხედავს ადამიანი კოსმოსის სიღრმეში, იმდენად მეტად ირწმუნებს ღმერთს და რამდენადაც მეტად ირწმუნებს ღმერთს, იმდენად მეტი მოკრძალებით დახრის თავს ზნეობრივი სრულყოფილების წინაშე“ (24, 131).

მთელი მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობა იყო ფიქრი ერის წარსულზე, ზრუნვა აწმყოსა და მომავალზე და ჩიხიდან გამოსავალს, გადარჩენის გზას ყოველთვის რწმენის ერთგულებაში ხედავდა.

გოდერძი ჩოხელის „შემოქმედება აგრძელებს ქართული კლასიკური მწერლობის დიდ ტრადიციებს, ხსნის გზის სწორად მიმგნებმა თანმიმდევრულად იღვაწა, თავისი თანამედროვეობის ყველაზე მტკიცნეული პრობლემები გამოამზეურა, თითქოს რენტგენის სხივებით ჩასწვდა ცოფივით საშიში სნეულების ბაცილებს, მაგრამ მისგან თავდასაღწევი საშუალებებიც იპოვა. როგორც ჩვენი ისტორიის მრავალ ეპოქაში, ამჯერადაც ერის უმაღლესი იდეალების გადამრჩენი მწერლობა გახდა.

გოდერძი ჩოხელის „მგელი“ გადარჩენაა რწმენის, სულიერების, სიკეთის, გადარჩენაა პიროვნების, ერის. ამაშია მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა.

სხვისთვის სიკეთის გამდებს, წმინდა გზაზე მავალს ასე ანუგეშებს უფალი: „თუ სულს არ დაიშურებ მშიერისთვის და ტანჯულ კაცს გულს მოუფონებ, წყვდიადში ამოგიბრწყინდება ნათელი და შენი ბნელი შუადღესავით იქნება...“

„... აგიშენდება ძველი ნაოხარნი, ადადგენ ძველისძველ საძირკვლებს და დაგერქმევა დანგრეულის ამშენებელი, გზათა განმაახლებელი მკვიდრი ხალხისთვის“ (ესაია წინასწარმეტყველი, 58, 10, 12) (20, 117).

გოდერძი ჩოხელის „შემოქმედება უგჰველად მოასწავებს ქართული მწერლობის დიდი ეროვნულ-ზნეობრივი მისიის შეცნობას, გზათა განახლებას, „ძველისძველ საძირკვლებზე“ ახალი სულის სასახლის გამოჩენას, რომელსაც დირსეული ადგილი ელოდება არა მხოლოდ ჩვენში, არამედ საერთაშორისო არენაზე.

ლიტერატურა

1. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკოლმი, 1992.
2. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წ. III, თბ., 1999.
3. გაუა-ფშაველა, ტ. 2, თბ. 1961.
4. გაუა-ფშაველა, ტ. 3, თბ. 1961.
5. გაუა-ფშაველა, ტ. 4, თბ. 1962.
6. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, ტ. II, თბ., 1999.
7. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, ტ. I, თბ., 1990.
8. ნესტორ ყუბანეიშვილი, „პირველდაწყებითი დარიგება საღვთო სჯულის სწავლებაზე“, ქუთაისი, 1915.
9. დანტე, „ღვთაებრივი კომედია“, თბ., 1941.
10. გოდერძი ჩოხელი, „მგელი“, თბ., 1988.
11. კარლ გუსტავ ოუნგი, „ანალიზური ფსიქოლოგიის საფუძვლები, სიზმრები“, თბ., 1995.
12. გოეთე, „ლირიკა“, თარგმანი ვ. ბერუჟელის, თბ., 1967.
13. გალაკტიონი, რჩეული, თბ., 1977.
14. [REDACTED] 1991.
15. გაუა-ფშაველა, ტ. 1, თბ. 1961.
16. გაუა-ფშაველა, ტ. 5, თბ. 1964.
17. კონსტანტინე გამსახურდია, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. V, თბ., 1976.
18. შერისხულნი, 15 ტომად, ტ. II, თბ., 1994.
19. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ორ ტომად, ტ. I, თბ., 1988.
20. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ., 1990.
21. მერაბ კოსტავა, „შეწყვეტილი ფიქრები“, თბ., 1991.
22. ანა კალანდაძე, ერთტომეული, თბ., 1987.
23. ფრიდრიხ ნიცშე, „ესე იტყოდა ზარატუსტრა“, თბ., 1993.
24. აკაკი ბაქრაძე, თხზულებანი, ტ. III, თბ., 2004.

Goderdzi Chokheli as an Apocalyptic Beasts Fighter

Summary

The early period of Goderdzi Chokheli's professional work and formation of his world outlook starts in an atheist epoch.

It is known that Soviet Empire was marked by its unbelief, totalitarianism and nihilism.

The socialist realism dogmas restricted the writer's creative scope, kept in grips his artistic word.

Georgia deprived of freedom, faced serious national, social and religious problems.

From the very outset Goderdzi Chokheli stood out from the pseudo-writers who were well adjusted to the Marxist-Leninist ideology.

Putting up fierce resistance or resignation, obedience or sacrificing of self establishment and personality in order to save the spirit of the nation ? The dilemma has been eternal for the writers of all times.

In this relation there was no alternative before Goderdzi Chokheli. Strong genetic codes, awareness of the traditions of the humanist predecessors and devotion to God's truth wouldn't allow him to take crooked ways of life.

Crown wise with the thoughts of scriptural prophets, well-known theologians, georgian and world literature classics, the writer rightly distinguished the eternal from the transient, devilish corporal wisdom (Baruch, 3, 23) from that of divine (Apostle Paul, colosians, 2, 18, 1, 9).

Goderdzi Chokheli was gifted by God for a spiritual mind, spiritual eye and heavenly wisdom.

For the georgian writer artistic ability is a mercy come upon from the Holy Spirit and his primary mission was to save the nation's faith, spirituality, to find the path Leading to the Lord. His works show irreconcilability with the government's anti-georgian policy, a bloodless struggle, repudiation of the existed standards on behalf of the eternal values.

The writer believed that the source of the country's troubles was in atheism, one-eyed materialism and tried to find way out by return to God.

Deeply involved in the georgian century-old traditions Goderdzi Chokheli devotedly served the national triad - language, native land, the faith.

Provided with the faith as a shield and spirituality as a sword, the writer fled from the atheistic existence and created a new model of spiritual world which was built on the eternal values and he became recognizable by fighting the apocalyptic beasts on behalf of the unbeaten bright spirit given by God to the chosen ones.

Goderdzi Chokheli disclosed the devilish soviet regime, showed the country under arbitrary rule which was turned into a place for beasts to maraud the opposed the violence with the bright truth of almighty God and depicted the process of beasts extinction.

Embedding of a monster into an unbelievers' soul will be inevitable if the political system in the country favours it.

Leading off with Bible, mythology, the histories and literature of all countries and all times have heralded endless struggle between man and beast.

From this viewpoint the Georgian writer had great predecessors in the national or world arena (scriptural prophets. German Hesse, John Updike, Jonesco, ecclesiastic writers, David Guramishvili,

Vazha Pshavela, Konstantine Gamsakhurdia, Galaktion Tabidze, Vajha Egriseli, mythology with a wide series of themes on apocalyptic beasts).

Unlike his predecessors, Goderdzi Chokheli had chosen his own way to deal with the problem and came to the right conclusion using his original creative word.

His individuality shows in his novel “The Wolf”. With the colors he gives the essence of the events. Fatal prevailing of the red and black is opposed with invincibility of the bright spirit.

Spiritual fallaciousness is described through physical illness by Albert Camus (“Black Death”), Akaki Tsereteli (“Cholera”), Galaktion Tabidze (“Fear”), K. Gamsakhurdia (“Photographer”).

The illness of the 20th century atheistic Russia as an Empire of Evil is represented by Goderdzi Chokheli as a contagious and lethal syndrome of rabies.

The writer was seeking a remedy for the sinful world and people. He believed that man was able to rise encouraging the last ones with heavenly miracles so as they could find merciful, forgiving God. A God-blessed creative word broke through the veil of callousness, the vicious circle and appeared in the land of darkness as a wordy Baptist.

The Gudamaghari born genius had perceived the past, present, and with an eye of his soul observed the outlines of the future and set an example for new generations to worship flower, fire, water and bread (divine names), held them away from those ruthless beasts, thought a remedy for repulsing them. By praying and religious purity he reached the lost heaven, God that had been vanished, and made us witness the power of the miracles.

With the book “The Wolf” Goderdzi Chokheli honourably debated with Georgian and foreign adherents of Christian persuasion.

The Gudamaghari born master of a creative word appeared as an eternity-embracing, grown divinely wise gardener of Christ who came to the earthly world to lay out a “Christ’s garden” (as to borrow from Dante).

The wordy Baptist writer preached the generations: “Look for a flower!” “Cognize the wolf!” “Fight evil with faith in God!”

The creative views of the Georgian writer who had been deeply agitated about everlasting urgent problems, are not supposed to stay just within national limits. In the not too distant future his writing distinguished for high moral standards and spiritual individuality will break through the local limits and spread throughout the world.

შინაარსი

შესავალი

3 – 10

თავი I

გაქცევა სიცრუის სამეფოდან 11 – 19

თავი II

| | |
|---|---------|
| დორაისხევი – სატანური სახელმწიფოს მოდელი | 20 – 37 |
| აპოკალიფსური მხეცების თარეში | 38 – 52 |
| ფერები – მოვლენათა არსის წარმომჩენი | 52 – 61 |
| ცოფის სინდრომი | 62 – 68 |
| რომანის სახაულები | 69 – 84 |
| ბიბლიური პარადიგმები (ყვავილი, ცეცხლი, პური, წყალი) | 85 – 95 |

თავი III

გადარჩენა 95 – 104

რეზიუმე ინგლისურ ენაზე 105 – 106